CMYK

# საერთო გაზეთი

№47 (176) ● 26-29.XI, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## 2011 wlis 11 dekembers sazogadoebrivi moZraoba `qarTuli ocneba~ dafuZndeba



**ნინო ქადაგიძე-ქვანია:**

biZina ivaniSvilTan pirveli Sexvedridan Zalian moxibluli gamovedi, imitom rom vnaxe adamiani, romelsac aintersebs, ras eubnebi



**ვაჟა ბეჟიძე:**

`es aris is, rasac qurdul Jargonze `bezpredeli~ hqvia...~



# kaci, romelic saqarTvelos ukvdavebas afinansebs

„საერთო გაზეთის" არქივიდან (№12, ივლისი, 2008 წ.)



**ელიზბარ ჯაველიძე:**

biZina ivaniSvilma CiraRdani aanTo imbnel gvirabSi, romelSic mixeilI saakaSvilma qarTveli xalxi gamoketa

**მედეა ხანგოშვილი:**

CeCnuri `iavnana~ da `kamikaZe~ qarTvelebi



**გია ცაგარეიშვილი:**

xelisufleba axali kanoniT patimrebis srul izolacias axdens



## სახალხო დამცველი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას უერთდება



საქართველოს სახალხო დამცველი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც შემაშფოთლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა კვლავ რჩება მწვავე გლობალურ პრობლემად.

„შემაშფოთებელია მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობით განპირობებული სიკვდილიანობის სტატისტიკაც – 16–44 წლამდე ასაკის ქალებისა და გოგონების სიკვდილიანობის და შეზღუდული შესაძლებლობების ძირითად მიზეზს ძალადობა წარმოადგენს“, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ძალადობის მიმართ განსაკუთრებით დაუცველნი არიან ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული, ლტოლვილი, სოფლად მცხოვრები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, ინსტიტუციებსა თუ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ხანდაზმული ქალები და გოგონები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მსოფლიო დღით გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია იწყება , რომელიც 10 დეკემბერს – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს სრულდება.

საქართველოს სახალხო დამცველი უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დღის ძირითად მიზანს და კონკრეტულ საჩივრებზე მუშაობს.

ომბუდსმენი იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოების და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით მოხდება ამ პრობლემის სისტემური დაძლევა და არც ერთი ქალი ძალადობის წინაშე მარტო არ დარჩება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მთელ მსოფლიოში, ყოველ მესამე ქალს ცხოვრების მანძილზე განუცდია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა, ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობა და როგორც წესი, მოძალადე ნაცნობი ადამიანია, ხოლო ძალადობის ფაქტი ხშირად ოჯახში ხდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1999 წლის 54/134 რეზოლუციით, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე ყოველი წლის 25 ნოემბერს აღინიშნება.

## ედუარდ კოკოითი არჩევნების მეორე ტურში მხარს არცერთ „საპრეზიდენტო“ კანდიდატს არ უჭერს



ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქმედი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, 27 ნომბერს ქვეყანაში „საპრეზიდენტო“ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე არცერთ „საპრეზიდენტო“ კანდიდატს მხარს არ დაუჭერს. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

„მე შევქმნი სასურველ პირობებს ყველასთვის, რათა აღნიშნული არჩევნები თანაბარ პირობებში და სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში ჩატარდეს. ამასთან ერთად მე არ შემიძლია დავხუჭო თვალები იმ ტყუილსა და დეზინფორმაციაზე, რასაც კანდიდატები ავრცელებენ. მე პრინციპულად არ ვუჭერ მხარს მეორე ტურში არცერთ კანდიდატს – არც ბიბილოვს და არც ჯიოევას“- აღნიშნა კოკოითმა.

მისივე თქმით, ის 28-29 ნოემბერს ხალხს მიმართავს, სადაც განაცხადებს საკუთარ პოზიციას, როგორც ჩატარებულ არჩევნებზე, ასევე მომავალ ხელისუფლებასთან დაკავშირებით.

„ახლა მე ამას არ ვაკეთებ, რათა საარჩევნო პროცესში ჩარევა და ამომრჩეველებზე ზეგავლენა არ დამაბრალონ“- აღნიშნა კოკოითმა.

შეგახსნებთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბერს ჩატარდა. მასში ვერცერთმა „საპრეზიდენტო“ კანდიდატმა ხმების 50 პოცენტზე მეტის მოპოვება ვერ შეძლო, აქედან გამომდინარე, არჩევნების მეორე ტური, 27 ნოემბრისთვის დაინიშნა. მეორე ტურში მონაწილეობას „პრეზიდენტობის“ ორი კანდიდატი- ანატოლი ბიბილოვი და ალა ჯიოევა მიიღებენ.

`medianiusi~

## biZina ivaniSvilis pressamdivnos gancxadeba



საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, ა.წ. 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართება. წერილობითი თანხმობა ფილარმონიის ადმინისტრაციისგან დღეს მივიღეთ. პრეზენტაცია 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, მისი გადადების მიზეზი კი ხელოვნურად შექმნილი წინაამდეგობები გახდა. გვინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია. სპორტის სასახლის გამოყოფას ჩვენ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ვითხოვდით, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება.

სპორტის სასახლის ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე „ქართული ოცნების“ პრეზენტაციამ სპორტის სასახლეში გადაინაცვლოს. მზად ვართ, ამ შემთხვევაში, ფილარმონიის ადმინისტრაციას პირგასამტეხლოც გადავუხადოთ. ჩვენი ინფორაციით, იმ დროისთვის სპორტის სასახლეში არანაირი ღონისძიება დაგეგმილი არ არის და შესაბამისად არ არსებობს რეალური მიზეზი, რის გამოც შესაძლოა სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ დარბაზის გამოყოფაზე უარი გვითხრას. იმ შემთხვევაში თუ, მიუხედავად ყველაფრისა, სპორტის სასახლე მაინც უარს იტყვის, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში სამწუხაროდ ყველა მსურველს დასწრების საშუალება არ მიეცემა, რისთვისაც საქართველოს მოსახლეობას წინასწარ ვუხდით ბოდიშს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის თარიღის შეცვლა არ მომხდარა ჩვენი ინიციატივით და მოლაპარაკებების გაჭიანურება მიზანმიმართულად ხორციელდება, რაც პირველი შემთხვევა არ არის. ◆

## dagtiri, Cemo lalxoralo

**ჩიტსაც უყვარს თავისი ბუდე, ხოლო ბაყაყისთვის სულ ერთია რომელ გუბეშიაც არ უნდა დაისადგუროს (ხალხური)**

ლალხორალი – უძველესი ცივილიზაციის – შუმერების შერქმეულია, რაც ნიშნავს შესაკრებ ადგილს, საიდანაც სვანი ვაჟკაცები მუდამ მიდიოდნენ დედა-სამშობლოს დასაცავად, როცა მტერი შემოგვესეოდა.

ეპატარავა რომელიღაც წალენჯიხელ მეგრელს ეს ისტორიული სახელი და წალენჯიხის თვის სოფლის სახელი „ხუდონი“ უწოდა, რაც გეოგრაფიული დამახინჯებაცაა.



ჩვენი პატარა და ლამაზი სოფელი 20 წელია მიწასთანაა გასწორებული, ეხლა რუსეთის დაწყებულ საქმეს ინდოელები აგრძელებენ და არავის არაფრად მიაჩნია, რომ იქ არის წმ. გიორგის ნიში და 2 კმ-ში უძველესი წმ. გიორგის სახელობის ტაძარი და სასაფლაოები, სადაც 1983 წ. მიმდინარე გათხრებით უნიკალური, ქრისტიანობამდელი საფლავები იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთებით, ხოლო იმაზე ადრე, გათხრებისას აღმოჩენილი იქნა უნიკალური ოქროს საკიდი, რომელიც ჟურნალ დროშაშია დაბეჭდილი.

ჩემმა ძმამ, მწერალმა აკ. გელოვანმა – სახელწოდების დასაბრუნებლად სადაც არ მისწერა, დადადებითი პასუხი მიიღო, გაანადგურეთ ოჯახები, სადაც ბაღები და ტყეებიც კი ბაღნარებად იყო ქცეული, ხოლო იმდენი ფუტკარი, კალმახით სავსე მდინარე, ყველაფერი კაპიკებად შეფასებულა, რომელიც სანამ იქ მცხოვრები ჩემი ძმა რევაზი არ გარდაიცვალა, აკაკიმ მერე ძლივს აიღო და მის გასვენებაშიც კი არ გვეყო, ხოლო ტყეები, იყიდა მამამ ვინც კი ჩვენგან გადავიდა – ნიკოლოზის თუმნიანებით იყიდა მიწა, 3 ბიჭი მყავს და დასჭირდებათო, ურთხმელის ნარგავებს ხომ შვილებივით უვლიდა – ისე გაანადგურეს, ნასახიც კი არ დარჩა. ყოველივე ამის შემდეგ – ქრთამებით დაამტკიცეს, რომ ვითომ ჩვენს კლდეებს რკინა ურევიაო – ესაა ტყუილი – შეამოწმონ. წინა დღეებში პრაღიდან გადმოსცა რადიო „თავისუფლებამ“, რომ აგრძელებენ ჰესის მშენებლობასო, რომელიც ხალხს არ უნდა და სვანეთის უნიკალური მხარე როგორ უნდა განადგურდესო.

სოფლები წინააღმდეგობას უწევენ... არ შეიძლება ხალხის ასე უგულებელყოფა, იცვლება ყველაფერი ბუნებრივი და ღმერთის შექმნილი... ჩვენ გვიყვარს ჩვენი მშობლიური მხარე, ნუ გაგვინადგურებთ – რაც დარჩა იმას მაინც. სხვამ აიცდინა და იმ სხვის სინჯები გააგზავნეს მოსკოვში, იქ მართლა იყო რკინანარევი კლდეები. მოვითხოვ, შემოწმდეს, თუ მაინც არ ეშვებით, სახელი მაინც დაარქვან „ლალხარალჰესი“.

ტელეგადაცემაში ვნახე, თითქოს ენგურჰესმა ვითომ უმნიშვნელოდ ავნო სვანეთს. ეს ტყუილია, ხალხი დაავადდა ასთმით, ისე დანესტიანდა იქაურობა, ხავსიანი გახდა ხეებიც და სახლებიც, როცა ჰესი შენდებოდა, ძმის ორმოცზე მიმავალი (ის ძმა შთანთქა ნიაღვარმა) თამარა ავალიანი თავისი ვაჟიშვილით – გზის მშნებლობისას წარმოქმნა მეწყერმა, მანქანიანად შთანთქა და როცა იპოვეს, მკლავი მოწყვეტილი ჰქონდა, გაღმა სოფ. დაკარებში ორჯერ მოწყდა მთელი მხარე ახლა საფრთხემ მიაღწია მაცხოვრებელთა სახლებამდე.

შეიძლება ხალხის გაუბედურების ხარჯზე ჰესის აშენება? ტყეების განადგურება? მანამ დროა დავუკვირდეთ ყველაფერს და ისე ვიმოქმედოთ.

ეროვნულობა და ადამიანების ბედი დავაყენოთ მაღლა, ვიდრე გასაყიდი დენის მოპოვება.

**ლალხორალელი**
**ელისო გელოვანი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„საერთო გაზეთის“ არქივიდან

# kaci, romelic saqarTvelos ukvdavebas afinansebs

„ამიტომაც ეს პიროვნება არის ქართველი ერის მტერი“ — ამ რუბრიკით ერთი ქართული გაზეთი უკვე მესამე კვირაა გამოკითხვებს აქვეყნებს, რომლის მონაწილენი — ცნობილი ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები — ბიძინა ივანიშვილს ათასგვარ ბრალდებას უყენებენ და მას, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის მტრად აცხადებენ. როგორც ჩანს, რესპონდენტებიც სპეციალურადაა შერჩეული — ივანიშვილზე აზრის გასაგებად მხოლოდ იმ პიროვნებებთან მიდიან, რომლებიც წინასწარვე იციან, რომ აუგს იტყვიან მასზე. ასეთი არაკეთილსინდისიერი, ყოვლად მიუღებელი მეთოდით აყალბებს გაზეთი „საზოგადოებრივ აზრს“ და მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად „ძერწავს“ სამშობლოს მოღალატის და ხალხის მტრის ხატს, რომლის ფინანსებითაც ხდება თურმე საქართველოს ჩაძირვა, მიტინგების დარბევა, თავისუფალი პრესის განადგურება და ა.შ

**ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებულმა ამ კამპანიამ გასული საუკუნის დასაწყისის ამბები გამახსენა — ზუსტად ასეთი პიარტექნოლოგიების გამოყენებით ხდებოდა მაშინ ქართული პოლიტიკური პრესის მიერ ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაცია.**

**„წურბელა“, „ხალხის მტერი“, „ბოგოლა“, „კლასობრივი მტერი“, „საქართველოს მოღალატე“ — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ეპითეტებისა, რომლებსაც ილიას მისამართით უხვად აფრქვევდნენ ათასი ჯურის პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.**

საფუძველი ამ განაჩენისთვის, რომელიც წიწამურთან სისრულეში იქნა მოყვანილი, სწორედ ამ პოლიტიკოსებმა და მათთან მიტმასნულმა ავანტიურისტმა კალმოსნებმა შეამზადეს.

ილიას ლანძღვა-გინება მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა, მანამ, სანამ სტალინმა მაგიდას არ დაარტყა მუშტი და არ თქვა: — შეწყვიტეთ ეს უმსგავსობა, ილიას ტოლი კაცი საქართველოს არ ჰყოლიაო.

ახლა სტალინი საიდან მოვიყვანოთ, ძვირფასო ქართველებო, მაგრამ მის გარეშეც ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ეს უმსგავსო ჟივილ-ხივილი დროულად არის შესაწყვეტი — ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება სამუდამოდ დავიმკვიდროთ სახელი ისეთი ერისა, რომელიც განსაკუთრებული საიხარბითა და დაუნდობლობით მაინცდამაინც თავის გამორჩეულ შვილებს ჭამს.

სამწუხაროდ, ამის უამრავი მაგალითია ქართულ სინამდვილეში.

განა ტყუილად ამბობს „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი: — „დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ოპოზიცია მთავარ ბრალდებად იმას უყენებს ივანიშვილს, მან თურმე ოპოზიციური სპექტრი არ დააფინანსა.

კი, მაგრამ, ვინც დაგაფინანსათ, იმას როგორ გადაუხადეთ სამაგიერო, პატივცემულო ოპოზიციონერებო?

თქვენ არ იყავით ერთიმეორეს მიყოლებით რომ აცხადებდით: — მაგასთან (პატარკაციშვილთან — ვ.ხ) რა გვესაქმება, ვემიჯნებით და ვეყრებით სამარადისოდო?

პირველი ქვა სწორედ თქვენ ესროლეთ ხელისგამმართველ კაცს და პირველი დანაც თქვენ ჩაარტყით გულში.

ამის შემდეგ ივანიშვილი ფულს როგორ მოგცემდათ, განა იმასაც იგივეს არ გაუკეთებდით, რაც პატარკაციშვილს გაუკეთეთ?

ხელისუფლებასთან ალიანსში სხვას ადანაშაულებთ, ამ დროს ის, რაც თქვენ ხელისუფლების ანუ თქვენი პოლიტიკური კონკურენტის გასამარჯვებლად გააკეთეთ, მილიონებს კი არა, მილიარდებს გადასწონის.

2007-2008 წლების მოვლენების ობიექტური ანალიზი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ ის აუცილებლად დასაწერია, თუნდაც იმიტომ, რომ ხალხის მოტყუებაში დაოსტატებულმა ფსევდოგმირებმა ისტორიის მოტყუებაც არ სცადონ.

ბიძინა ივანიშვილს არ ვიცნობ, არასდროს არცერთი თეთრი არ მიმიღია მისგან ან მისი რომელიმე ორგანიზაციისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ კაცის წინაშე ისეთ ვალში ვარ, რომელსაც ვერასოდეს გადავიხდი.

**როგორ შეიძლება ამ კაცის წინაშე ვალში არ ვიყო და ამას არ ვგრძნობდე, როდესაც სამების დიდებულ ტაძარს ვუყურებ, ან რომელიმე მისგან დამშვენებულ-აშენებულ თეატრში შევდივარ, ან ქუჩაში ჩემს საყვარელ ადამიანებს ვხედავ, რომლებსაც სული თუ უდგათ და ცოცხლები არიან, სწორედ ბატონი ბიძინას წყალობით.**

ვერც ივანიშვილი და ვერც სხვა ვინმე თითოეულ მოქალაქეს ვერ ჩამოუვლის და თუმნიანს ვერ ჩაუკუჭავს ჯიბეში, მაგრამ როცა ადამიანი აკეთებს ქვეყნის საქმეს, აკეთებს საერთო ეროვნულ საქმეს, ის ამავდროულად თითოეული ჩვენგანისათვის იღწვის და ზრუნავს.

„თუ რამე კეთდება საქართველოში, ყველაფერ ამას აკეთებს ბიძინა ივანიშვილი, მის გაკეთებულს კი სააკაშვილი იბრალებს“, — ბრძანებს ერთი რესპონდენტი, თითქოს ივანიშვილი დიდ დანაშაულში გამოეჭიროს.

ჭეშმარიტი სიკეთე ის სიკეთეა, რომელიც სიკეთის წილ არაფერს ითხოვს — არც მადლობას, არც ტაშს, არც სახელს, არც ძალაუფლებას — ჭეშმარიტი სიკეთე უჩინარია, უმისამართოა, უსახელო.

ბიძინა ივანიშვილი სწორედ ასეთ სიკეთეს თესავს თავის სამშობლოში, გასცემს და თვითონ ჩრდილში რჩება, გასცემს და თვითონ არაფერს ითხოვს.

როგორ არა ჰგავს იგი ამ კუთხითაც იმ ფსევდოქველმოქმედებს და მეცენატებს, ერთ ასლარიან ტელევიზორს რომ წაიმძღვარებენ წინ და უკან ხუთ ტელეოპერატორს გაიყოლებენ — არიქა, დააფიქსირეთ და მთელ ქვეყანას ანახეთ როგორი ქველმოქმედი ვარ, როგორი გულმოწყალე და პატრიოტიო.

ასეთ რამ სიკეთე კი არა, ფარისევლობაა, უფრო მეტიც, ანგარებაა და კიდევ უარესი — სულმდაბლური გარიგება...

ბიძინა ივანიშვილი, როგორც მისი ცხოვრების წესიდან ჩანს, შემდეგი პრინციპით მოქმედებს: — მთავარია, კარგი საქმე გაკეთდეს და დაბრალებით ვინც გინდა იმან დაიბრალოს.

ივანიშვილი არა მარტო ბევრ სიკეთეს აკეთებს, არამედ, იმასაც გვასწავლის, როგორ და რანაირად უნდა იქცეოდეს სიკეთის მკეთებელი კაცი.

ეს კი ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის ჩვენს გავაჭრუკანებულ დროში, როცა ვილაცებმა სიკეთეც კი ალებ-მიცემობისა და გარიგება-შეთანხმების საგნად აქციეს.



**დავით სარაჯიშვილმა, დიდმა ქველმოქმედმა და მეცენატმა კარგად იცოდა, რომ ერთადერთი რამ, რაც ექსპროპრიაციასა და განადგურებას არ ექვემდებარება, განათლება და კულტურაა და მათ განვითარებაში დაბანდებული ფული, გარდასახული სულიერ ღირებულებად და ფასეულობად, ერს მარადიულ საგანძურად რჩება.**

მე-20 საუკუნის ვანდალებმა, ბოლშევიკებმა, დაიტაცეს და გაანაფეს სარაჯიშვილის დანატოვარი მატერიალური ქონება, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს იმ ინტელექტუალურ სიმდიდრეს, რომელიც სარაჯიშვილის დახმარებით შეიძინეს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ქართველმა ახალგაზრდებმა — მომავალმა მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, ექიმებმა, აგრონომებმა.

სწორედ სარაჯიშვილის დამსახურებაა რომ კომუნისტების ზეობის ჟამს, დიდი სიბნელისა და უმეცრების ჟამს საქართველოს ჰყავდა უბრწყინვალესი პლეადა ინტელიგენციისა, რომელმაც საქართველო სულიერ კვდომასა და დეგრადაციას გადაარჩინა.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილი დღევანდელ საქართველოში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც თავის დროზე ასრულებდა დავით სარაჯიშვილი — ის იმ მომავალს აფინანსებს, ის იმ სიკეთეს და სინათლეს აფინანსებს, საუკუნეებს რომ გავივლით და წინ დაგვხვდება.

**ერთ უკეთურ თვისება ვამჩნევ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს და არ შემიძლია ა,აზე ორიოდე სიტყვა არ ვთქვა.**

**ამ უკეთურ თვისებას უმადურობა ჰქვია, უმადურობა კი ადამიანისთვის ბევრ სხვა ცუდ თვისებათა შორის, ყველაზე საშინელი და საშიში თვისებაა.**

**კონკრეტული შემთხვევები კიდევ ჰო, მაგრამ ეს სენი — უმადურობა, გულგრილობაში გადაზრდილი, თუ მთელი საზოგადოების სენად იქცა, კაცი არ დარჩება ქვეყანაზე, სიკეთის კეთების სურვილი შერჩეს...**

გლობალიზმის ეპოქაში, როცა გლობალური ინტერესების სასარგებლოდ უკანა პლანზეა გადაწეული ეროვნული ინტერესები, როცა გლობალისტირი კონცეფციების მხრდამჭერი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ბოძებული თითოეული ცენტი მკაცრად კონტროლდება და ის მხოლოდ იმ მიზნებისთვის უნდა დაიხარჯოს, რისთვისაც ის გვეწყალობა, ქვეყანა კომერციულად წარმატებულ ცალკეულ ინდივიდებს უნდა დაეყრდნოს.

ასე ხდება ეს თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში, დიდსა თუ მცირეში.

თანამედროვე მსოფლიოში ცალკეული ინდივიდების ინიციატივები, გამოხატული ქველმოქმედებაში, შეიძლება აღვიქვათ როგორც საპირწონე იმ იდეოლოგიისა, რომლითაც დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები იმართება.

ქველმოქმედება, კეთილი ნების გამომხატველი ერთჯერადი ჟესტიდან იქცა კარგად ორგანიზებულ სისტემად, მძლავრ მოძრაობად, რომელშიც მონაწილეობის მიღება თითქმის სავალდებულო ნორმად იქცა ასე თუ ისე შეძლებული ყველა ადამიანისთვის — ბიზნესმენი იქნება, ხელოვანი თუ მეცნიერი.

როგორც ზემოთ ვთქვი, ამ რთულ ეპოქაში ქვეყანა და მისი ხელისუფლება კომერციულად წარმატებულ ცალკეულ ინდივიდებს უნდა დაეყრდნოს და ამთი დახმარებით უნდა სცადოს იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის მოგვარება, რომელთა გადაწყვეტა მრავალი ობიექტური მიზეზის გამო, არც ქვეყანას ძალუძს და არც მის ხელისუფლებას.

ამ ნათქვამის გაშიფვრა და ბოლომდე ფრჩხილების გახსნას არ ვაპირებ, თუმცა რისი თქმა მინდა, ამას, ალბათ, მშვენივრად ხვდებიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც ძალად იბრმავებენ და იყრუებენ თავს და ქვეყანაში არსებული პრობლემის მთავარ მიზეზებზე, ფაქტობრივად, არ საუბრობენ, ისე, როგორც არ საუბრობენ ამ მთავარ მიზეზებზე ჩვენი საინფორმაციო

5 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გვესაუბრება მწერალი
**ელიზბარ ჯაველიძე:**



# biZina ivaniSvilma CiraRdani aanTo imbnel gvirabSi, romelSic mixeil saakaSvilma qarTveli xalxi gamoketa

**— ბატონო ელიზბარ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის მერე პოლიტიკური აღმასვლა დაიწყო, თუმცა მალევე ხალხში უიმედობამ დაისადგურა. რა უნდა მოხდეს, რომ საზოგადოება დეპრესიიდან გამოვიდეს?**

— 26 მაისს ხელისუფლებამ უპრეცენდენტო მეთოდებით დასაჯა საკუთარი ხალხი, ანუ სასაკლაო მოაწყო და მერე ქართველების სისხლზე აღლუმი გამართა. ამ დროს პარტიების ერთი ჯგუფი „რვიანები“ და „ექვსიანები“ საიდუმლო სერობას მართავდნენ ხელისუფლებასთან, ვაჭრობდნენ თუ ვის რამდენი ადგილი უნდა რგებოდა პარლამენტში. ამ სიტუაციაში ხალხმა დაკარგა იმედი, რომ ხელისუფლების ძალმომრეობის მანქანას წინ ვერაფერი აღუდგებოდა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილმა ჩირაღდანი აანთო იმ ბნელ გვირაბში, რომელშიც მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ხალხი გამოკეტა. პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ამ დრომდე პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა, რაც დადებით მოვლენად მიმაჩნია. იგი პოლიტიკოსის ლავირებას ჩვეული არ არის და პირდაპირ, ღიად საუბრობს პრობლემებზე და სწორად აფასებს მოვლენებს. დადებითი ფაქტია ისიც, რომ ივანიშვილი ეწეოდა უდიდეს ქველმოქმედებას, რასაც არასდროს აპიარებდა — მარჯვენა ხელი სიკეთეს ისე აკეთებდა, მარცხენამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. შეიქმნა მითი ივანიშვილის შესახებ, რაც სიკეთითაა გასხივოსნებული, რასაც ქართველი ხალხის იმედი ერთვის თან.

**ჩემთვის ბიძინა ივანიშვილი იმითაც არის ძვირფასი, რომ იგი ჭეშმარიტი ქართველია, რასაც მისი განვლილი ცხოვრება და საქმიანობა მოწმობს. მან განაცხადა — მივხვდი, რომ სამშობლო მეკარგებოდა და ამიტომაც გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლაო. არ შემიძლია არ ვენდო მის სიტყვებს. მეორე საკითხია ის, რომ მისი გამოჩენისთანავე ამოქმედდა ამ სისტემის დამთრგუნველი მანქანა, მძლავრობს ბოროტების ურჩხული, რაც მოსალოდნელიც იყო. არ მიკვირს, როდესაც ხელისუფლება უკიდურეს ზომებს მიმართავს, რადგან ხვდება, რომ პოლიტიკაში მოვიდა ძალა, რომლის მხარესაც ხალხის სიყვარულია.**

თუკი სააკაშვილს სხვა ე.წ. ოპოზიციურ პარტიებთან საერთო ენა გამონახული ჰქონდა, განაღდებული ჰქონდა პრემიერ-მინისტრობა 20-30 წლით და ქვეყნის გაჩანაგება, ახლა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და კიდეც დაიწყო ამ ძალის მისამართით ბრძოლა. ხალხს იცით რა ეგონა? — ბიძინა ივანიშვილი ცეზარივით მოვიდოდა და იტყოდა ვენი, ვიდი, ვიცი — მოვედი, ვნახე, დავამარცხე. ასე მარტივად არ არის საქმე, ხანგრძლივი ბრძოლა იქნება საჭირო. ხალხმა ერთი რამ უნდა იცოდეს — ბიძინა ივანიშვილი ვერც თავისი სახელით და ვერც სახსრებით ვერაფერს გახდება, თუ მთელი საქართველო ფეხზე არ დადგა და გარეთ არ გამოვიდა. „სახალხო კრებას“ დღესაც იმის განცდა გვაქვს, რომ ხალხი არ დაგვიდგა გვერდით, 100-200 ათასი კაცი რომ გამოსულიყო, ეს ხელისუფლება აღარ იქნებოდა. თუმცა, ხალხს არ ვამტყუნებ იმიტომ, რომ 300 ათასი კაცი გამოვიდა და ხელმოცარული დაბრუნდა შინ. სოსო ჯაჭვლიანმა თქვა — თუ საზოგადოებას უნარი არ აქვს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა დაუბრუნოს, მაშინ არჩევნებსაც არ აქვს აზრიო. დავრჩებით ისევ ხელმოცარულები, დასავლეთი ისევ „აღიარებს“, რომ არჩევნები ბრწყინვალედ, დემოკრატიულად ჩატარდა. მაგრამ მე სულ სხვა რამ მინდა ჩავრთო ამ ინტერვიუში —

**არსებობენ მიხეილ სააკაშვილის ზონდერ-ბრიგადები, რომლებიც ოფიციალურად არსად არიან გაფორმებული და პოლიციელებთან ერთად ყოველგვარ საზიზღრობას სჩადიან. მაგრამ სამწუხაროდ დღეს მედია-საშუალებები, თავისი ბუნებით ამ ზონდერ ბრიგადებზე არანაკლებია. ვგულისხმობ, ელექტრონულ მედიას, პრესაში ვერ გაბატონდა სააკაშვილი. ე.წ. ოპოზიციურ ტელე-არხებს თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა სავსებით სამართლიანად უწოდა უფრო საშიში, ვიდრე ნიღაბჩამოხსნილი რუსთავი-I, II, და III-ია. „რუსთავი 2“-ის წამყვანები ისეთი ტონით ესაუბრებიან რესპონდენტებს, თავი მართლა მე-4 ხელისუფლება ჰგონიათ.**

მაგრამ თავიანთი საქციელით მე-4 ხელისუფლებას კი არა, უძველესი პროფესიის ხალხს მაგონებენ. ავიღოთ თუნდაც ეკა ბერიძე. რამდენიმე დღის წინ მის საუბარს ვუსმენდი ნინო ბურჯანაძესთან და გაოგნებული დავრჩი. მივმართავ ბერიძეს — თავისი უმეცრებით, უტაქტო შეკითხვებით საზოგადოებას ნუ აბეზრებს თავს. ჟურნალისტის მოვალეობაა დასმულ შეკითხვაზე პასუხი მოისმინოს. შეფასება საერთოდ არ მაინტერესებს იმიტომ, რომ ეკა ბერიძე ჩემთვის ორი ნულია, სხვა არაფერი, დაბალზე დაბალი დონის ჟურნალისტია. ასევეა, „სუბიექტური აზრი“, სადაც შალვა რამიშვილი და ნათია მიქიაშვილი როგორც ქილილა და დამანა, ორი ტურა მიესევიან რესპონდენტს და საუბარს არ აცლიან. საშინელებაა ამის მოსმენა, უკვე ვერცერთ არხს ვერ ვუყურებ. ფეხბურთზე გადავრთავ და კომენტატორები მაგიჟებენ — ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ლაპარაკობენ. ეს ავადმყოფობაა, რაც პროვინციალიზმის ნიშანია. რაც მთავარია, ეს საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა იმ პოლიტიკოსების ბრალია, რომელთაც იციან, რომ მათი ბედი მთლიანად ტელევიზიაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, აქამდე არ მითქვამს და თქვენს გაზეთს მინდა ვუთხრა პირველად, ივანიშვილის ნაკლად მიმაჩნია, ის, რომ იგი 6-7 წელი ჭორვილაში იყო გამოკეტილი და არ იცნობს ქართულ საზოგადოებას. იგი, მათ მხოლოდ ტელეეკრანიდან იცნობს. სინამდვილეში, ხალხი, რომელიც ეკრანიდან დადებით კონტექსტში მოსჩანს, ბრიყვი და სამშობლოს გამყიდველია. პირადად, არცერთ ტელევიზიაში არ ვიკადრებ მისვლას — ეს ხომ სიცრუის დიდი გუდაა. 1 ნოემბერს კონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილის ზონდერ-ბრიგადა ჟურნალისტები იყვნენ, რას ბოდავდნენ, როგორ იქცეოდნენ, ეს ხომ ამაზრზენია. ბატონი ბიძინას მეორე ნაკლი ის გახლავთ, რომ მან ვიღაცების რჩევით გვერდით ანტიეროვნული, ანტიქართული პარტიები დაიყენა. განსაკუთრებით „რესპუბლიკელები“, რომლებიც არ მალავენ როგორ ეზიზღებათ ქართველი ხალხი და თავი მსოფლიოს მოქალაქეებად მოაქვთ. ივანიშვილს სიები გამოუქვეყნეს ვისაც აფინანსებდა — აძლევდა, ხომ არართმევდა, კაცო. ნაციონალებმა დღიდან მოსვლისა გაყვლიფეს ქართველი ხალხი. მილიონერები გახდნენ, ისეთი სასახლეები წამოჭიმეს, მგონი არცერთ ქართველ მეფეს მსგავსი არ ჰქონია. ამ პრობლემას მიხედვა არ უნდა?! დღეს თავზე გვენგრევა ქვეყანა, სამშობლო აღარ გვაქვს. სხვათაშორის, აქვე მინდა აღვნიშნო, ძალიან მომეწონა „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის წერილი, ბატონი ვახტანგი ძალიან ნიჭიერი კაცია, ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტია. ძალზედ დროულია მისი წერილი, დიახ, ერი აღარ გვყავს, მართალს ბრძანებს თქვენი რედაქტორი, ძალიან მნიშვნელოვანი წერილია იმ კუთხით, რომ ერი მართლაც ჰაერშია გამოკიდებული, არცერთ დოკუმენტ-



ში, არც პასპორტში არ გვიწერია, რომ ქართველი ერი არსებობს. როცა შევარდნაძე მოვიდა და ვითომ ევროპისკენ დაიწყო გზის გაკაფვა, იმ დღიდანვე დაიწყო ქართველი ერის მოსპობა, რეკვიზიტებიდან ამოიღეს — ეროვნება, მამის სახელი და ა.შ.

**— დღევანდელი ხელისუფლება უკვე ჩვენი კულტურის, ტრადიციების ამსახველ ძეგლებსაც ებრძვის.**

— დიახ, დღეს ძეგლებს ებრძვის სააკაშვილი იმიტომ, რომ ეს სიმბოლურად ჩვენი დიდი წარსულის ამსახველია. აღმაშენებელის ძეგლი ისეთ ადგილას გადაიტანა, ბავშვს ვერ მიიყვან, რომ შეახედო, მიუდგომელია. მის ადგილას ორრულიანი უზარმაზარი ველოსიპედი წამომიჭიმა. ორივე ცოლ-ქმარი — სააკაშვილიც და მისი მეუღლეც საკმაოდ კარგად ატარებენ ველოსიპედს — ერთი აქედან შეჯდეს, მეორე — იქიდან და სადაც უნდათ იქ წავიდნენ. იმ ადგილას კი სადაც 100 ათასი მოწამის ძეგლის დადგმა გვინდოდა, რეიგანის ძეგლი წამოჭიმა. ახლა, ერთი ოცნება მაქვს, ღამეები არ მძინავს ფიქრში, რეიგანის ძეგლთან მივიდე და გვერდით ჩამოვუჯდე. ეს არ არის სასაცილო, ეს პოლიტიკაა. უბრალო ადამიანი, ვინც არ იცის რა ხდება, რატომაა დადგმული, მივა ძეგლთან, სურათს გადაიღებს, მიაქვს სახლში და ასე ხდება ამერიკანიზაციის განფენა საქართველოში. ამიტომ მგონია, რომ მეტი აქტიურობაა საჭირო.

**— აქტიურობაში რას გულისხმობთ, ქუჩაში გამოსვლას?**

— მართალია, ქუჩაში ხალხის გამოსვლა მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა თვითონ ხალხი გამოვა გარეთ — აღარც ბიძინა ივანიშვილს შეეკითხება რამეს და არც არავის. ხალხი მშიერია, სააკაშვილი კი მათ ეუბნება, დაგაპურეთო. მათი გამოკითხვებით თურმე 17 პროცენტია მხოლოდ უმუშევარი. ამ დროს მთელი საქართველო შიმშილობს. „ნაციონალური მოძრაობის“ რჩეულები, უსაზღვროდ გამდიდრდნენ, მთელი საქართველო ლაჯებში ამოიდეს, საზოგადოებას,

**ქართველი ხალხს დასცინიან. ესეც ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ დავჯექით სახლში. რა დროს შიშია, ერთხელ დაიბადე და ერთხელ მოკვდები — ეს ხომ გარდაუვალია, მთავარია როგორ იცხოვრე, ღირსება დაკარგე თუ არა. მთელი უბედურება ისაა, რომ შიში რომც დაძლიოს, ქართულ გენში კოდირებულია ერთი რამ — იგი სოციალური პრობლემების გამო გარეთ არ გამოდის. ისტორიულად,**

გარეთ გამოვდიოდით, როდესაც ღირსებას, რწმენას გვილახავდნენ, მამულს გვიკარგავდნენ. ერთადერთი გზა არსებობს საქართველო საქართველოდ აშენდეს და არა სინგაპურისკენ წავიდეთ. სააკაშვილმა გვაქცია უკვე სინგაპურად, საქართველო „პრახადნოი დვორია“, ვისაც უნდა ყველა მიდის, ყველა მოდის, ყველა მკვიდრდება ქართველის გარდა. სააკაშვილი ამბობს — არც ქართველი ვარ, არც სომეხი, არც ოსი, ყველაფერი ვარო. ეს თანამედროვე მასონური დევიზია. სააკაშვილი, რა თქმა უნდა პატარა მასონია. მაგრამ მთელი უბედურება იცით რა არის? — ევროპამაც და ამერიკამაც ჩვენზე არანაკლებად იცის, რომ სააკაშვილი პირწავარდნილი, პირსისხლიანი ტირანია, რომელიც კალიგულას ტყუპისცალია. ეს არ იცის ამერიკამ, დემოკრატიის შუქურად რომ წარმოაჩინა სააკაშვილი? — იცის, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე აწყობთ. უფრო მეტიც, იგი რუსეთსაც აწყობს, მთელი ეკონომიკა — სხეულის ნაწილები რუსეთის მიუგდო. თავის სხეულის ნა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# kaci, romelic saqarTvelos ukvdavebas afinansebs

3 gv.

საშუალებები, როგორც ბეჭვდითი, ისე ელექტრონული.

ცალკეული ინდივიდებიო, ვთქვით, — კი, მაგრამ ბევრი გვყავს ქართულ სინამდვილეში ეს ცალკეული ინდივიდები, რომ ბიძინა ივანიშვილს ომი გამოვუცხადოთ და ცილისწამების, ყურით მოთრეული „ბრალდებების", ჭორების, შეურაცხყოფის საშუალებით ისე გავიხადოთ საქმე, ამ ქვეყნისკენ გამოხედვა დაეზაროს?

ამის მიღწევა გინდათ თქვენ, საქართველოზე გულატკიებულო პოლიტიკოსებო?

ეს არის თქვენი პატრიოტობა და სახელმწიფოებრივი აზროვნება?

ამასწინათ ტაქსით ვიმგზავრე.

— სადაური ხარ-მეთქი, — ვკითხე მძღოლს.

— თბილისელი ვიყავი, მაგრამ უკვე არ ვარ, დიდი ხანი არ არის ამოვეწერე, — რატომღაც ძალიან მხიარული ხმით მითხრა მძღოლმა და დასძინა: — ერთ-ორ კვირაში ამ მანქანას ჩავაბარებ პატრონს და წავალ აქედან.

— ყველა აქეთ მოდის და შენ სად მიდიხარ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— სად მივდივარ და ჭორვილაში მივდივარ, ძმაო, ჭორვილაში, იქიდან ვარ მე, მამა-პაპისეული სახლი მიდგას იქ... თბილისიდან ამოვეწერე და ჭორვილაში ჩავეწერე.

უცებ ვერ გავიხსენე, ისეთი რა ალთქმული მხარე იყო ეს ჭორვილა, მისი გულისთვის კაცი დედაქალაქს რომ ტოვებდა და სიხარულით მიდიოდა იქ.

— ივანიშვილის სოფელია, ჭორვილა, იქიდან ვარ მეც, ჰოდა, ჩემს სოფელში ვბრუნდები, — დამიზუსტა მძღოლმა.

— ბედი შენ გქონია, ძმაო, ჭორვილაში რომ დაიბადე, პატარა ამბავი კი არ არის ეს ჩვენს დროში, — დავეთანხმე ჭორვილელ კაცს და, სიმართლე გითხრათ, თეთრი შურით შემშურდა მისი...

მართლაც არ არის პატარა ამბავი, ჭორვილელი იყო, ჭორვილაში ცხოვრობდე მაშინ, როცა ქვეყანაში 700 000 ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და შიშით და სასოწარკვეთით შეჰყურებს ხვალინდელი დღის გათენებას.

„ამიტომაც ეს პიროვნება არის ქართველი ერის მტერი" — როგორც გითხარით, კვირაში სამჯერ გვაუწყებს ერთი გაზეთი და თითიდან გამოწოვილი ჭორებით ცდილობს აკვიატებული ბრალდება გაამყაროს.

არაფერი გამოვა ამ სამარცხვინო კამპანიიდან, რადგან ეს პიროვნება — ბიძინა ივანიშვილი — ქართველი ერის დიდი მოამაგე რომ არის, ეს მის მიერ გაკეთებული არაერთი მამულიშვილური საქმით არის დამტკიცებული.

სამწუხაროდ, სიკეთეს, ნამდვილ პატრიოტობას და ერისკაცობას უფრო მეტი მტერი ჰყავს, ვიდრე ბოროტებას და ფარისევლობას.

რას იზამ, ასეა ადამიანთა ერთი ნაწილის გუნება და ფსიქიკა მოწყობილი — კარგის ქმნას არ გაპატიებენ, თორემ ცუდზე ადვილად ხუჭავენ თვალს...

**ღამის თბილისს ზემოდან რომ გადმოხედავ, საოცარი სურათი იშლება თვალწინ — სინათლის სვეტებით შეკრულს ჰგავს სამების ტაძარი და ეს სინათლის შენობა თითქოს ვილაცის ვეებერთელა ხელისგულზე დევს...**

**საუკუნეები გავა, ჩვენ არ ვიქნებით, მაგრამ იქნება ჩვენი შთამომავლობა და კიდევ ეს ტაძარი, ქალაქის შუაგულიდან ამოზრდილი ვილაც უჩინარი ხელისგულით ქვემოდან ზემოთ რომ აწევა და მაღლა, ცისკენ წევს.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

„საერთო გაზეთი", №12, ივლისი, 2008 წ.

***P.S.** ამ წერილის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა გადადგა ის ნაბიჯი, რაც მას აუცილებლად უნდა გადაედგა როგორც მოქალაქეს, როგორც ადამიანს.*

*როცა ქვეყანას ეშმაკები ეპატრონებიან, მას უფლება არ ჰქონდა სხვანაირად მოქცეულიყო...* ◆



## biZina ivaniSvilma CiraRdani aanTo imbnel gvirabSi, romelSic mixeil saakaSvilma qarTveli xalxi gamoketa

წილს ახსენებს ხშირად. ვაი, მაგის პატრონს. ის, რომ აფხაზეთის სახით თავი მოგვაჭამეს, გული ამოგვგლიჯეს, ეს თურმე არაფერია. სააკაშვილისთვის ეს ქვა-ღორღია. ვისაც სამშობლო უყვარს, იგი სალ კლდეებს სამოთხეზე არ ცვლის. ამათ ეს გრძნობა არ აქვთ იმიტომ, რომ ავადმყოფები არიან. მეც ავადმყოფი ვარ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით.

**—ამ ფონზე, როცა სააკაშვილს სამშობლო არაფრად უღირს, რამდენად დათმობს არჩევნებით ხელისუფლებას?**

— ჩემი აზრით, ესენი არავითარ შემთხვევაში არჩევნებით ხელისუფლებას არ დათმობენ იმიტომ, რომ სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან. გემი იძირება და ვირთხებმა გადარჩენისთვის დაიწყეს ზრუნვა. რასაც სააკაშვილის ხელისუფლება სჩადის, მსგავსი რამ არცერთ ისტორიულ წყაროში არ წამიკითხავს. ესენი მკვლელები, შარა-გზის უთოფო ყაჩაღები არიან, რომელიც ოჯახში შემოგივარდება და მოგკლავს, თან დაგცინებს. როგორც გურამ შარაძე მოკლეს სამშობლოს სიყვარულისთვის, მერე ოთხი საათი მიწაზე სისხლიანი ეგდო, არავინ მიაკარეს, რათა ხალხს ეს ენახა და დაშინებულიყო.

**— ბატონო ელიზბარ, ახლა აღნიშნეთ, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას არჩევნებით არ დათმობს. ხომ არ იყო ივანიშვილის მხრიდან შეცდომა, როცა განაცხადა, რომ ქუჩაში არ გამოვა. ქუჩაში თუ გამოვალთ? გაზს შემოგვასხამენო, ვამბობთ არჩევნებში მისვლით რა გველოდება კარგი? რა ვქნათ, სახლში დავჯდეთ და არჩევნებს დაველოდოთ?**

— ივანიშვილი მსოფლიოს და ამ ხელისუფლების გასაგონად ამბობს არჩევნების გზით მოვდივართ. ახლა შეკვეთაა ასეთი, თორემ მთელი ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა ფერადი რევოლუციებით მოხდა. დღეს, როგორც ჩანს დასავლეთს, ამერიკას არ აწყობს აქ არეულობის დაწყება.

**კავკასია რთული ორგანიზმია და შეიძლება გამწვავება მოხდეს. მთავარი ერთი რამაა — პოლიტიკური თვალსაზრისით ქუჩის და რევოლუციის უარყოფა არ შეიძლება. დღეს, მთელი მსოფლიო ამერიკიდან დაწყებული ქუჩაშია გამოსული. მეორეც, რევოლუცია ნორმალურ ადამიანს არავის უნდა, ბავშვობიდან წიგნის მეტი არაფერი მჭერია ხელში, მაგრამ თუ სამშობლოს დასჭირდა ქუჩაშიც გავალ, ხეზეც ავალ და კიდეც გადმოვხტები იქიდან. ვიდრე სააკაშვილი, მერაბიშვილი და გოგორიშვილი განაგებენ პროცესებს, საქართველოში არჩევნები არ ჩატარდება.**

ივანიშვილი ამბობს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პრეცენდენტი უნდა დავუშვათო. ასეთი პრეცენდენტი უკვე იყო, როდესაც ზვიად გამსახურდიამ კომუნისტების დროს ხელისუფლება არჩევნებით შეცვალა. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მაშინ ზვიად გამსახურდია უკვე ქუჩაშივე განაგებდა ხელისუფლებას. დღესაც მოხდება ასე, თუ ხალხი იგრძნობს, რომ გამარჯვება გარდაუვალია. მაგრამ ამას ხალხი ვერ გრძნობს. ხელისუფლებას უნდა ბიძინა ივანიშვილი ქუჩაში გაიყვანოს. უკვე გამოცდილება არსებობს და ივანიშვილი ქუჩაში არ გავა. მაგრამ ხალხი აღარ ჰკითხავს მას, როცა იგრძნობენ რა უსამართლობა, ძალმომრეობა ხდება ქვეყანაში, ისინი თვითონ გამოვლენ ქუჩაში.

თქვენ გგონიათ „ვარდების რევოლუციით" მოვიდნენ ესენი?! ეს იყო „შპრიცების" რევოლუცია. მათ იცოდნენ, რომ არჩევნებით ვერ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში და შპრიცებით შემოვარდნენ.

**— ბოლო დროს, რაც ივანიშვილი მიჩუმდა, „შპრიცების რევოლუციით" მოსული ხელისუფლება გაყოჩაღდა. თითქოს რაღაც პერიოდი საზოგადოებამ გამოიღვიძა, თუმცა ისევ ძილისკენ მივდივართ. ამასობაში კი პრეზიდენტმა გამოიღვიძა და როგორც თქვენც აღნიშნეთ ბედთან შეგუებას სულაც არ აპირებს.**

— კი, ბედს არ შეეგუება, მაგრამ მისი ზედმეტი ენერგიულობა, გამოცოცხლება შიშითაა გამოწვეული. აღგზნებულია, მისი საუბარი არ ტოვებს ნორმალური კაცის შთაბეჭდილებას. მისი ლანძღვა ბიძინა ივანიშვილისთვის წარმატებაა. საშინელება მაშინ იქნება, თუ მათ ქება დაიწყეს. ანუ მიშა გამოფხიზლებული კი არ არის, არამედ ისეთ სიტუაციაშია ძილბურანში რომ რაღაც მოელანდება ადამიანს და წამოხტება. ამიტომ ისტერიულად აშენებს რაღაცებს. პლეხანოვი „პოტიომკინის სოფელზე" უარესია — მოყვარეს თვალს უბნელებს და მტერს ახარებს, შიგნიდან ყველაფერი ჩამონგრეულია. ამას ურჩევნია ხალხზე იზრუნოს — ნახევარი საქართველო სანაგვესთან დგას. სააკაშვილი ვირტუალურ, გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს. ამ დროს მოვიდა კაცი, რომელმაც იგი შეაჯანჯღარა და მან ნორმალურად კი აღარ გამოიღვიძა, არამედ გიჟივით, რა გააკეთოს აღარ იცის. მან იცის რაც მოელის, თუ გონს არმოვა. არცერთი დიქტატორი თავისი ბუნებრივი სიკვდილით არ ამთავრებდა სიცოცხლეს. დღესაც ასე მოხდება თუ დროზე არ წავა. მაგრამ როგორც წეღან აღვნიშნე, იგი არ აპირებს დათმობას. მთელი მსოფლიო ეუბნება — გეყოფა, წადიო, მაგრამ არ მიდის. საოცარია, კიდევ ერთი რამ გამოდის, მართლაც მდაბიო — წიკლაური რომელი ბაგრატიონი ეგ მყავს, უჭკუო და გაჰყვირის — აღიარეთ ვინ დაიწყო ომიო. მე ვაღიარებ, კარგად გაიგონოს მაგ მდაბიომ, ომი სააკაშვილმა დაიწყო, გამოაცხადა კონსტიტუციური წესრიგი უნდა აღვადგინოო და თავისი ქვეყანა დაბომბა. ასე აპირებდა ბათუმის დაბომბვას. ახლა, შემაშინებს მე წიკლაური?! ეს ის ხალხია, რომელმაც ორ დღეში წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადა. ეკონომიკურად თურმე ვეფხვი გახდა საქართველო, მაშინ როდესაც ვეფხვი კი არა წრუწუნა არ ვართ ეკონომიკაში, უკანასკნელ ადგილზე ვართ პოსტ საბჭოთა სივრცეში. სააკაშვილი რომ იძახის გაურეცხავი, ჭუჭყიანი საცვლები ალოკესო. თვითონ ვის ულოკავს? თვითონ მართლა ლოკავს, არ არსებობს ამერიკის პატარა ჩინოსანიც კი, რომ მან არ აულოკოს. მუხრანს აქვს — სირცხვილი კია, ხელ-ფეხ ლოკია კაცს ქართველი ვუწოდოთო.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ხალხის ქუჩაში გამოსვლა ხელისუფლებას აწყობს. მაგრამ რა არის მაშინ ამ საზოგადოების ვალი — იჯდეს სახლში და არჩევნებს ელოდოს თუ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას?**

— კარგად უნდა გაანალიზდეს რა გვინდა. თუ ხალხს აწყობს ეს ხელისუფლება, მაშინ იჯდნენ სახლში. კაცი, რომელიც ადრე მორფის გასაღებაზე იჯდა, დღეს პარლამენტიდან უსირცხვილოდ ჭკუას მარიგებს, როგორ უნდა მოვიქცეთ და სამშობლოს სიყვარულს გვასწავლიან ეს ვიგინდარები, რომელთაც არასდროს ჰყვარებიათ თავიანთი ქვეყანა.

◆ **თამარ შველიძე**

# facebook

# xalxis azriT

ყველა შეწყალებულ ადამინას იმპერატიულად ნაბრძანები აქვს, რომ არჩევნებისთვის უნდა იმუშაოს მთელმა ოჯახმა და ახლობლებმა ნაც.მოძრაობაზე. რატომ არ უშვებ მიშა ჩემს მეგობრებს, რომლებიც იცი რომ შენ წინააღმდეგ იმუშავებენ!, რატომ არ უშვებ ბიჭებს, რომლებზეც შეწყალება არაერთხელ შემოსულა საპატრიარქოდან! რატომ გეშინია ყველა განსხავავებული შეხედულების მქონე ადამიანის! რატომ ტანჯავ ათი ათასობით ოჯახს საქართველოში თავიანთი ქმრების, შვილების, მამების მონატრები გამო?! ესაა შენი წარმატებული ქვეყანა?! "ნურას უკაცრავად"! ამაზე პასუხი აუცილებლად მოგეთხოვება ბუმერანგის პრინციპით და არა ჩემი სურვილი გამო! დღეს ათასობით ადამიანს გაუთენე ეს გიორგობა ტირილისა და სიცივის, შიმშილისა და მონატრების! არ გეშინია?!

დღეს ვიყავი განახლებულ პლეხანოვზე. ძალიან ლამაზია. ოღონდ მხოლოდ ფასადებია გაკეთებული. შიგნით კატასტროფულად გამოიყურება ყველაფერი. შსს -ს ერთ ერთმა მაღალჩინოსანმა მომცა 20 ლარი (მეთოდი აქვთ ასეთი -ფულს მაძლევენ ხოლმე. იმ პონტში რა " შე ფულზე დახარბებულოო") გამოვართვი და ვანო მერაბიშილის სახელით იქვე ევროპაში ყველაზე მაგარ გასართობ ქუჩაზე მდგარ მოხუც მათხოვარს მივეცი

ვარდების რევოლუციის 8 წლის თავზე დიდი მადლობა სააკაშვილს რომ დენის ,გაზის და წყლის გადასახადს ნაგავი მიება , ერთადერთი რაც კიდევ დარჩა ამ მთავრობას გასაკეთებელი ისაა რომ მიაბას ეხლა ამ ნაგავს თავისი თავი პრეზიდენტის მეთაურობით და პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდნენ

თუ რუსეთის დღეები დათვლილია, მაშინ თვეში ერთხელ რომ აცხადებს ხოლმე ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო, მზად ვართ რუსეთთან ურთიერთობისთვის აღდგენისთვისო, ვისთან აპირებენ მაშინ ურთიერთობის აღდგენას?...

კოსმეტიკის სალონი "ნაცმო ფორ ჯორჯია" და მისი სახელოვანი დიზაინერ ეპილატორი სურენ გორში ფონ ჩაჯმანდიანი&კოლეგები, მსოფლიო სტანდარტების დონეზე, ფუფალას ფერუმარილით შეგიკეთებენ შუშაბანდებს თქვენი თავისუფლებისა და ღირსების სანაცვლოდ. იჩქარეთ !!!

რევოლუციის წლისთავზე მიშას ფსიქიკური ადექვატურობის კითხვებს აჩენს აშკარად. კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ითხოვს მოხელის სამედიცინო შემოწმებას. მიშას საიტზე ჯანმრთელობის ცნობა არ დევს. მოდი და გინდაც აქ გამოკითხვით, გინდა რეალურად – რეფერენდუმის სახით მოვითხოვოთ მისი ფსიქიკის შემოწმება (ნარკოლოგიურიც ალბათ). აუცილებელია მგონი. ამ მოთხოვნაში არაფერია უკანონო. მოვნახოთ ფორმა. კანონიერ მოთხოვნაზე პასუხი ექნება გასაცემი

მზადდება ახალი ფოჩიანი ტყუილების შეკრა – რომ პენსია 2012 წელს გახდება ნანატრი 100 დოლარი, რომ საქართველოში ინვესტიციები 3 მილიარდ დოლარს მიაღწევს და საშუალო ხელფასი 500 დოლარი გახდება, რომ მალე ევროკავშირი უვიზო რეჟიმს დაგვიწესებს, რომ ნატო უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ – მსოფლიოში პირველად ონკანში შამპანური წამოვა და ციდან – ბრილიანტების თოვლი.




# xelisufleba patimrebis Sesaxeb kanonSi Sesatani cvlilebebiT msjavrdebulebis srul izolacias axdens

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ინიციატივით, „პატიმრების შესახებ" კანონში ცვლილებები შედის. ოპოზიცია ახალი კანონპროექტის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს და ქვეყანაში პოლიტიკური რეპრესიების დაწყების ახალ ტალღაზე საუბრობს.**

**„საერთო გაზეთს" თემის ირგვლივ „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი პარლამენტის დეპუტატი, გია ცაგარეიშვილი ესაუბრა:**

– კანონპროექტის წარმოდგენილი ვარიანტის ორ ნაწილად დაყოფა შეიძლება, ცვლილებების ნაწილი პოზიტიურია, ზოგიც მიუღებელი. კანონში 7-8 თვის უკანაც შევიდა ცვლილებები და „თავისუფალმა დემოკრატებმა" პარლამენტში პირველი მოსმენით კანონპროექტის განხილვისას ჩვენი ალტერნატიული წინადადებები დავაყენეთ. ხელისუფლებამ ნაწილი გაიზიარა, ნაწილი – არა.

პატიმრებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ უფრო ხშირად ისარგებლონ სატელეფონო საუბრებით, გრძელვადიანი პაემნებით, მიიღონ მეტი ამანათი და ა.შ. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მსჯავრდებულს საშუალება ექნება თვეში სამჯერ, არაუმეტეს 15 წუთი საკუთარი სახსრებით ისარგებლონ სატელეფონო მომსახურებით. წახალისების შემთხვევაში კი თვეში ერთხელ დამატებით ეძლევა უფლება განახორციელოს სატელეფონო კავშირი, ამ შემთხვევაშიც, მაქსიმუმ 15 წუთი. მოქმედ კანონმდებლობაში სატელეფონო საუბრების რაოდენობა ფაქტობრივად, განახევრებული იყო, არ იყო წახალისებები. ცვლილებების მიხედვით კი წახალისების შემთხვევაში, პატიმარს თვეში ერთხელ მიეცემა ხანმოკლე პაემნის შესაძლებლობა. ცხადია, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია და პოზიტიურად შემიძლია შევაფასო.



ახლა რაც შეეხება კანონპროექტის იმ ნაწილს, რაც მიუღებლად და დაუშვებლად მიმაჩნია. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, პატიმრების შესახებ, პატიმარს დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში სამი თვის განმავლობაში ეკრძალება: თ) პირადი კორესპონდენციების მიღება-გაგზავნა, ე) თავისუფლების აღკვეთის ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობა. ლ) ფულადი გზავნილების მიღება. ამ ვადებით უფლებების შეზღუდვა არღვევს ადამიანის უფლებების ელემენტარულ ნორმებს, რომელიც ქართული კანონმდებლობითა და უამრავი საერთაშორისო აქტითაა დაცული. ცვლილებების ეს ნაწილი, სახალხო დამცველის აპარატისთვისაც მიუღებელია და გიორგი ტუღუშმაც არაერთხელ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია. სამწუხაროა, როცა ხელისუფლება საპატიმროებში მსგავსი დისკომფორტული მეთოდების დამკვიდრებას ცდილობს. სამი თვის ვადით პატიმრისთვის გარესამყაროსთან ურთიერთობის გაწყვეტა ცუდად იმოქმედებს თავად მსჯავრდებულსა და მის ოჯახის წევრებზეც. დროის ამ მონაკვეთში პატიმარს შეიძლება დასჭირდეს ადვოკატის მომსახურება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და ა.შ.

იცვლება ასევე 90-ე მუხლის რედაქციაც. არსებული კანონპროექტის მიხედვით, მსჯავრდებულმა თუ დისციპლინარული სასჯელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა დისციპლინარული დანაშაული, მას შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული სასჯელი, არაუმეტეს 60 დღე-ღამის. აქამდე ადმინისტრაციული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პატიმარს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, შესაძლოა, მიეღო გაფრთხილება და მხოლოდ დანაშაულის განმეორების შემთხვევაში მიეღო სასჯელი. ანუ პატიმარს ეძლეოდა დისციპლინარული დანაშაულის გამოსწორების საშუალება. ცვლილებების მიხედვით კი ეს შეზღუდულია. ახლა ციხის ადმინისტრაციას პირდაპირ ეძლევა უფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პატიმარს თავი უკრას 5-6 კვ ზომის კარცერში, სადაც აბსოლუტური ჯოჯოხეთია, არ დგას საწოლი, არსებობს მხოლოდ დასაკეცი ლეიბი, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე ბოქლომით საგულდაგულოდ კეტავს.

**– ხელისუფლება რატომ მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც უხეშად არღვევს პატიმრების უფლებებს?**

– მთავრობას, შესაძლოა, ცვლილება მსჯავრდებულების სრული იზოლირებისთვის სჭირდება. ქვეყანაში არსებობს უამრავი პოლიტიკური ნიშნით დაკავებული, ალბათ, „ნაცმოძრაობა" ახალ კანონპროექტს მათ წინააღმდეგაც გამოიყენებს.

**– სამი თვის განმავლობაში პატიმრებზე გაიზრდება ზეწოლისა და ძალადობის შემთხვევები?**

– თავისუფლად შემიძლია გითხრათ, რომ დროის ეს ნაწილი მთლიანად პატიმრებზე ზეწოლისთვის იქნება გამოყენებული. ნაცმოძრაობის მხრიდან კანონპროექტი საკმაოდ ოსტატურადაა შედგენილი. დიდი ნაწილი კანონპროექტის პოზიტიურ მხარეებს ეთმობა. ერთი შეხედვით, კანონპროექტის 82–ე მუხლი ტექნიკური თვალსაზრისით, პატარაა, მაგრამ საკმაოდ დისკრიმინაციური და ინკვიზიციური. 82-ე მუხლის ოთხივე ქვეპუნქტის წაკითხვისას, გიჩნდება კითხვა– განა რა ვითარებაა ქართულ ციხეებში, რომ ხელისუფლება მსგავს დრაკონურ ნორმებს იყენებს.

**– თქვენ საერთოს ხედავთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასა და პატიმრების კოდექსში შესატან ცვლილებებს შორის?**



– ამ ეტაპზე შესაძლოა, საერთო მართლაც არაფერია, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად ექნებათ. ნაცმოძრაობის წარმომადგენლები დააკავებენ ოპოზიციურ აქტივისტებს, პოლიტიკურ ლიდერებს (გვახსოვს 7 ნოემბერი და 26 მაისი) და აღნიშნული მიზეზების გამოყენებით შეუზღუდავენ გარე სამყაროსთან ურთიერთობას. მთავრობა ყველანაირად ცდილობს როგორმე გააპაროს კანონპროექტის ეს ნაწილი.

**– ბატონო გია, მთავრობის ლაფსუსი თქვენ ამოიცანით, მაგრამ როგორ აპირებთ ხელის შეშლას?**

– იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე კანონპროექტის განხილვას საკმაოდ მწვავე დებატები და კამათი მოჰყვა. გვინდა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ხმა მივაწვდინოთ, რომ კანონპროექტის ამ ფორმით ამოქმედების შემთხვევაში, ძალიან ცუდი შედეგები გვექნება. ქართულ ციხეებში ამგვარი ცვლილებები პატიმრებზე საპატიმროების ადმინისტრაციის მხრიდან უხეშად იქნება გამოყენებული. მაგალითისთვის: გლდანის №8 კოლონიაში პატიმრების უმრავლესობა არ იყენებს ყოველდღიური გასეირნების შესაძლებლობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები სასტიკად უსწორდებიან მსჯავრდებულებს.

**– თუმცა ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც სურს?**

– ამიტომაც არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა არჩევნები და ამ პროცესამდე აუცილებლად უნდა მივიდეთ, დავასრულოთ სააკაშვილისეული მმართველობა.

**– რატომ ამყარებთ დიდ იმედებს არჩევნებზე, როცა არაერთხელ გვინახავს გაყალბებული არჩევნები?**

– საქართველოში გაყალბებულ არჩევნებს ერთხელ რევოლუცია მოჰყვა, მეორედ ლამის სამოქალაქო ომი, 2008 წლის 5 იანვარ. უკვე მესამედ იგივე პროცესი აღარ განმეორდება.

**მირანდა ნაბახტეველი**

# biZina ivaniSvilTan pirveli Sexvedridan Zalian moxibluli gamovedi, imitom rom vnaxe adamiani, romelsac ainteresebs, ras eubnebi

**ნინო ქადაგიძე-ჟვანია:** საერთოდ, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, გკარნახობს იმას, რომ საერთოდ არ უნდა ელოდო პრეზიდენტისგან ზურაბ ჟვანიას ხსენებას, არც იმ პრინციპებზე ლაპარაკს, რასაც ზურა ემსახურებოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ხელისუფლება ამას არ აპირებს. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. გავიხსენოთ სარკოზის ვიზიტისას, პრეზიდენტმა ფაქტობრივად ზურას ციტირება გააკეთა – „ჩვენ ვართ ქართველები, მაშასადამე, ჩვენ ვართ ევროპელები“ და რახან მრავლობითში გადაიყვანა, ჩათვალა, რომ მისი ფრაზაა. ამ დროს ჯობდა ეთქვა ორიგინალში და მოეყვანა ციტატის ავტორი. ის არა მარტო ზურას სახელის ხსენებას გაურბის, არამედ ფიქრს იმაზე, ვინ იყო ზურაბ ჟვანია და რას აკეთებდნენ ისინი ერთად.

თუმცა მაინც მიკვირს ხოლმე ზურას თანაგუნდელების მოქმედება, ვისთან ერთადაც 15 წელი მოდიოდა ზურა, ჩემზე დიდ ხანს ხედავდნენ მას, ერთად გაიარეს საინტერესო პროცესები და იმდენი რამ აკავშირებთ, შეიძლება კაცმა ერთ რამეზე არ ამოიღოს ხმა, ორზე, მაგრამ საერთოდ არ ამოიღო ხმა?! თითქოს არც უნახავთ. ალმოჩნდა რომ ესენი არ არიან იდეის ადამიანები, არიან ბიუროკრატები და მოემსახურებიან იმას, ვინც იქნება ხელისუფლებაში. ანუ ზურა იქნება, ზურასთვის გააკეთებენ საქმეს, ვილაც იქნება, იმ ვილაცისთვის და არც ის გამიკვირდება, ვინმე ახალი რომ მოვიდეს, მე, შეიძლება, ისევ ოპოზიციაში ალმოვჩნდე და ისინი ისევ თავიანთ ადგილებზე იყვნენ.



რაც შეეხება ვარდების რევოლუციის დასაწყისს. მაშინ ჩვენ საბურთალოზე ვცხოვრობდით, ფაქტობრივად ერთ ოთახში და ჩვენს ლოჯიაში დაიგეგმა ეს რევოლუცია. მე ყველაფერი მესმოდა. მიშაც იქ იყო. ყოველ ღამით მოდიოდნენ და მესმოდა მათი ყვირილი. ზურას ჰქონდა გაურკვევლობა, არ ჰქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი. მაგალითად, სახლიდან რომ გავიდა, არ იცოდა, შეუერთდებოდა თუ არა მიშას. არც მე არ ვიცოდი; ტელევიზორში რომ ერთად დავინახე, არ ველოდი, რადგან ბოლომდე არ ენდობოდა.

ვარდების რევოლუციის მერე ზურასა და სააკაშვილს შორის მიდიოდა ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა ყოველთვის იყო და ამას შეგუებული ვიყავით. თუმცა რა ფორმითაც წავიდა ბრძოლა, ამას არ მოველოდი, თორემ დაპირისპირება იმ ერთი წლის მანძილზეც იგრძნობოდა. გახსოვთ, ალბათ, ბარამიძე-ოქრუაშვილის დაპირისპირება, ისიც, ცხინვალში რომ გავარდა ოქრუაშვილიდა ზურა გადაეფარა იქაურობას, რითაც აარიდა კონფლიქტის გალვივებება. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა. მიშა უკვე აღარ მოდიოდა ჩვენთან.

ზურა არათუ გრძნობდა დაუფასებლობას, ისიც იცოდა, რომ სააკაშვილისთვის ის ყოველთვის იქნებოდა მტერი. მაგრამ ყოველთვის ჰქონდა საკუთარი თავის იმედი და ახერხებდა სიტუაციიდან გამომძვრალიყო, საერთო ინტერესებიდან გამოსულიყო. ბოლო-ბოლო, როცა რაღაც კრიტიკული მომენტი იყო, კრიზისი, ჭკუის საკითხავად მაინც ზურასთან მიდიოდნენ.

ყველას გვახსოვს, რა როლი ითამაშა აჭარის კრიზისის დაძლევაში და ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ აჭარის გათავისუფლების ერთი წლისთავზე, მაშინ ზურა უკვე ცოცხალი აღარ იყო, იგი ამოიღეს ყველა კადრიდან.

სააკაშვილს ეშინოდა ჟვანიას ფენომენის, რადგან ზურა იყო ღირებულებების ადამიანი, შეიძლება იგი, როგორც მანევრების მიმდევარი კრიტიკასაც იმსახურებდა, მაგრამ ყველა მისი მოქმედების უკან იყო ზემიზანი. ის თავისი მოწოდებით, იდეებით იყო დემოკრატი.

ზურა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ დაპირისპირება აუცილებლად იქნებოდა. ოპოზიციაში რომ გადასულიყო, ამათი ხსენებაც არ იქნებოდა. სულ ვნატრობ ხოლმე, რომ ვუყურებ რა სიტუაციაა, რამდენი თეემაა, რამდენი რესურსია, რაზეც ოპოზიცია უნდა მუშაობდეს და არ არის უბრალოდ პოლიტიკოსი, რომელიც ყოველივე ამის მობილიზაციას გააკეთებს. ზურა იყო სწორედ ასეთი ადამიანი.



მაშინ ოპოზიციაში წასვლაზე ცოტა ადრე იყო საუბარი, სულ ერთი წელი იყო გასული. მაგრამ ძალიან დაახლოვდნენ ბადრისთან და ეს არ იყო შემთხვევითი. გარდა იმისა, რომ მათ რაღაც საერთო ადამიანური იპოვეს, დაიწყეს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, ფიქრი იმაზე, როგორ უნდა განავითარონ ეს ქვეყანა. საერთო ენა მოძებნეს და ეს იყო სერიოზული ტანდემი.

ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა ზურას მოულოდნელ გარდაცვალებაზე. საქმე დახურული არ არის. და თუ ეს იყო ძალადობრივი სიკვდილი, იგი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

რაც შეეხება ბატონ ივანიშვილთან შეხვედრას, იმის მოლოდინი, რომ მას რაღაც მეტი ინფორმაცია ექნებოდა, არ მქონია; უფრო იმის გასაგებად მივედი, რა დამოკიდებულება აქვს ზურას და მისი გარდაცვალების მიმართ. ზურას წიგნი წავუღე. რომ მივედი, მაგიდაზე ედო გადაშლილი და კითხულობდა. ორჯერ ვნახე ეს ადამიანი. მე ხომ არა ვარ პოლიტიკოსი, ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ცდილობს გაერკვეს პიროვნებაში, რომელსაც შეიძლება ჩემი ქვეყნის მომავალი დაუკავშირდეს. ყველა ვარიანტში უკეთესობისკენ იქნება ეს ცვლილებები, რადგან ალტერნატივის გარეშე განვითარება არ ხდება საერთოდ. ამიტომ, შეუძლებელია ამ ქვეყანაში ვიყოთ სულ ამ ჩაკეტილ სივრცეში. ამიტომ ვცდილობდი, ყველა ჩემი ალღო ჩამერთო, რათა როგორმე დამენახა ეს ადამიანი. პირველი შეხვედრიდან გამოვედი ძალიან მოხიბლული, იმიტომ რომ ვნახე ადამიანი, რომელსაც აინტერსებს რას ეუბნები, იწოვს ინფორმაციას და ძალიან სხარტად აზროვნებს. იყო საუბარი თანამშრომლობაზე. ის აყალიბებს საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მე ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში მინდა, რაღაც გავაკეთო. მეორე შეხვედრა შეეხებოდა ჩემ პრაგმატულ გათვლებს, თუ რა როგორ უნდა გავაკეთო და აღმოვაჩინე, რომ ის არის საშინლად პრაგმატული ადამიანი. შეიძლება ეს პირად ურთიერთობებში სასიამოვნოც არ იყოს, როცა გრძნობ, როგორ აფასებს ის შენ ყოველ ნათქვამს, მაგრამ რომ გამოვედი მისგან, ვიფიქრე, რომ ამ თვისების გარეშე ამ კაცს არაფერი არ გამოუვა. ის უნდა იყოს ძალიან პრაგმატული.

იგი მართლაც არ ჰგავს სააკაშვილს. ზურას?! ზურას კიდევ სხვა თვისებები ჰქონდა. მან ძალიან ბევრი რამ იცოდა. ყველა თემაზე ჰქონდა უაზარმაზარი ინფორმაცია. ამასთან ძალიან უყვარდა ადამიანები, შენს მიღმა ყოველთვის ხედავდა შენს საუკეთესო თვისებებს. ამან დაღუპა კიდეს ის ფაქტიურად.

ახლა გვეძლევა შანსი, მომავალ წელს სააკაშვილისა და თარგამაძის გარდა გვქონდეს სხვა ადამიანის არჩევის უფლება. თუმცა ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, ყველა რესურსს გამოიყენებს. და ძალიან რთული იქნება წინააღმდეგობის გაწევა. უბრალოდ, ყველა ადამიანმა უნდა გადააბიჯოს შიშს, მეც მეშინია,მაგრამ ვცდილობ დავძლიო, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არ გამოვა. სხვათა შორის ზურას აქვს ასეთი ჩანაწერი სტუდენტებისთვის, სადაც ლაპარაკობს დემოკრატიაზე, პარლამენტზე, არჩევნებზე და იქვე დასძენს, რომ ეს არის მანქანა, რომელიც არ იმუშავებს სპეციფიური საწვავის გარეშე. და ეს საწვავი არის სამოქალაქო თვითგანწირვა. ანუ თვითშეგნება ძალიან მაღალ დონეზე აყვანილი.



**ერთადერთხელ შევხვდი სააკაშვილს ზურას გარდაცვალების საკითხზე და მისი ნათქვამიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე, რაც გინდა მთხოვე, ოლონდ გამოძიებაში ნუ ჩაერევიო. ზურა აღარ არის და ჩემ არსებობას როგორღაც შეეგუებიან.**

ზურა ახსოვს საზოგადოებას, როგორ მუშაობდა იგი, რა ნაბიჯებს დგამდა, როგორ ვითარდებოდა მაშინ პარლამენტი. რა თქმა უნდა, სრულყოფილი ვერ იქნებოდა, რადგან მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები იყო. რვა წლის წინ, როცა მე ჩემ შვილებთან ერთად ვმონაწილეობდი რევოლუციაში, მქონდა იმის განცდა, რომ მე ჩემს ქვეყანას ვაშენებ; ავაშენებ დემოკრატიულს და არა ისეთს, სადაც ყველაფერი შიშზეა დამყარებული. და რაც არ უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, რამდენი ქუჩაც არ უნდა გახსნას და ჭალი ჩამოკიდოს, თუ ქვეყნის ფუნდამენტს არ აშენებ, შენი შრომის შედეგი არის ნული. ფუნდამენტი კი არის ელემენტარული დემოკრატია.

სააკაშვილს კი მიაჩნია რომ თავად არის დემოკრატია. როგორ ფიქრობთ, მას რომ დასჭირდეს, ის პირველი არ შევარდება რუსეთში?! ზურას რუსეთთან მიმართებაში ჰქონდა ძალიან პრაგმატული დამოკიდებულება, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა და რუსეთი უნდა შეაჩვიო ამ დამოუკიდებლობას. ამასთან აუცილებლად უნდა დაიცვა რაღაც თამაშის წესები და ყოველთვის მოძებნო საერთო ინტერესები. იგი არ დაუშვებდა აგვისტოს კონფლიქტს. თავის დროზე ცდილობდა კოკოითთან საერთო ენის გამოძებნას. რაღაც ბიზნესის გაკეთებას მათთვის, რათა საერთო ინტერესები ყოფილიყო. მაგრამ ზურას სიკვდილთან ერთად ყველა ეს გზა ჩაჭრეს. ზურა თვლიდა, რომ საერთო ინტერესებით უფრო მოიგებდა ქვეყანა და არა ისე, რომ 10 წელი ლანძღო უდიდესი იმპერიის პრეზიდენტი.

მე მგონია, მიშამ რაღაც მომენტში გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლებოდა ყველაფერი ისწავლა ზურასგან და ზურა აღარ სჭირდება!

**მომზადებულია „მაესტროს“ გადაცემის მიხედვით**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# raxdeba ucxoeli investorebis mier daarsebul sawarmoebSi?

**უკვე რამდენი წელია ჩვენი მეზობელი თურქეთის რესპუბლიკა საქართველოდან გასული იაფი მუშახელით მარაგდება. თურქ დამქირავებლებს აწყობთ არალეგალები, არცთუ იშვიათად, მათ პასპორტებს ართმევენ და სულ არ უხდიან ხელფასს, თავის მთავრობას კი გადასახადებს უმალავენ. რისი უფლება აქვს და როგორ არის დაცული ქართველი დასაქმებული საკუთარ მიწაზე, ამ საკითხებზე ჩვენ ვესაუბრეთ პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარეს დარეჯან მექვაბიშვილს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მსუბუქი მრეწველობის კვების და გადასამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ კლარა მაჭარაშვილს.**

**დარეჯან მექვაბიშვილი:** – აჭარაში თურქი ინვესტორების მიერ გახსნილი მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს. საწარმოებში, სადაც პროფკავშირული ორგანიზაცია არ არსებობს, ჩვენ ვერ ვახორციელებთ მონიტორინგს, რათა ვნახოთ რა პირობებში შრომობენ ჩვენი მოქალაქეები. 2008 წელს „ხელვაჩაურის ტექსტილში“, შრომის გაუსაძლისი პირობების გამო, 200-მდე მომუშავე ქალმა გამოთქვა სურვილი, რომ შექმნილიყო პროფკავშირული ორგანიზაცია. აირჩიეს თავმჯდომარე, 11 დასაქმებული შევიდა პროფკავშირის კომიტეტში. იმ დღესვე საწარმოს გაერთიანების ხელმძღვანელს, იურისტთან ერთად ვეწვიეთ და შევთავაზეთ დაგვეწყო კანონით გათვალისწინებული ცივილური ურთიერთობა. სამწუხაროდ, ექვსი საათის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ დასაქმებულებთან შეხვედრა, ისინი სათადარიგო კარით გაისტუმრეს ფაბრიკიდან. დირექტორი ჯერ გაცხარებული იყო, მერე ნერვები დაიმშვიდა და თითქოს შევთანხმდით კიდეც. მეორე დღეს თერთმეტივე დასაქმებული დაითხოვეს სამსახურიდან. ჩვენ მივმართეთ სასამართლოს. 2008 წლის შემდეგ აჭარის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ყველა სასამართლო ინსტანცია წააგო, მათ შორის უზენაესი სასამართლო პროცესიც, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად გამოიკვეთა ჩვენი სიმართლე. იძულებული შევიქენით და სტრასბურგის სასამართლოს მივმართეთ. ვიმედოვნებთ, რომ განიხილავენ, სამართალი აღდგება და 11 ქალი დაუბრუნდება სამუშაო ადგილს, სადაც ანაზღაურება, სამარცხვინოდ, საშუალოდ 150 ლარს შეადგენს. ამ პროცესის მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სტიმული მიეცემათ სხვა საწარმოებში, ხალხი შეძლებს პროტესტი გამოთქვას და თავიანთი უფლებები დაიცვან რაღაცნაირი ფორმით მაინც. მითუმეტეს, რომ პროფკავშირი თავის თავზე იღებს მშრომელებზე პასუხისმგებლობას. დღევანდელ შრომის კოდექსში, ყველაფერი უფრო ინვესტორზეა გათვლილი, ვიდრე დასაქმებულზე. ამას ხელისუფლება იმით ხსნის, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტორი უნდა შემოვიდეს ქვეყანაში. ამ დროს ქართული გენოფონდი საშინელ მდგომარეობაშია, ხალხს ჯანმრთელობა ერყევა იმის გამო, რომ დაზღვევა არა აქვთ, ხელფასი არ ყოფნით, რომ სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ, ირღვევა შრომის ტექნიკური უსაფრთხოება. ვერ ვარწმუნებთ დამსაქმებლებს იმაში, რომ მათთვისაც უფრო იოლია, ჰყავდეთ ჯანმრთელი მუშახელი. ჩვენ გათვლაც გავაკეთეთ: დამსაქმებელს უფრო ნაკლები უჯდება დააზღვიოს მუშა, რომ მან წელიწადში ერთხელ სამედიცინო შემოწმება გაიაროს. ერთადერთი სამრეწველო საწარმო, სადაც ძლიერი ორგანიზაცია გვაქვს არის თურქულ-ქართული „ბათუმის ტექსტილი“, სადაც 500 ქალია დასაქმებული. ქართველ მენეჯერთან და თურქ მეწარმესთან მოლაპარაკებების გზით მეტნაკლებად ვაგვარებთ პრობლემებს. წელს ქობულეთში, ოქტომბრის თვეში, საქართველოს პროფკავშირის ინიციატივით ორდღიანი სემინარი ჩატარდა თემაზე „შრომითი უფლებები“, რომელსაც უძღვებოდნენ თურქეთიდან და ევროპიდან მოწვეული ტრენერები.

**კლარა მაჭარაშვილი:** – უცხოელ ინვესტორთა მიერ გახსნილ საწარმოებში საკითხი ასე დგას: მონობა თუ დასაქმება? დამსაქმებელი დასაქმებულს უდებს ხელშეკრულებას და აძლევს შრომის უფლებას. შრომის კოდექსში ჩადებული მუხლები დასაქმებულის უფლებას არ იცავს. მხედველობაში მაქვს ის ყბადაღებული 37-ე მუხლი, რომლის მიხედვით დამსაქმებელს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს კონტრაქტი დასაქმებულს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მას შემდეგ, რაც ბატონმა კახა ბენდუქიძემ თავდაყირა დააყენა ეს კანონები, ძალიან ბევრი მუხლი შეიცვალა დამსაქმებლისთვის პრიორიტეტულად, თუმცა ევროპის ქარტია ჩვენთან რატიფიცირებულია. აჩვენი შრომის კოდექსი საერთაშორისო შრომის ნორმებთან შეუთავსებელია. სამკერვალო დარგი ქვეყანაში განუსაზღვრელი დროით ფუნქციონირებს, ამიტომ ხელშეკრულებას, წესით, ვადა არა აქვს. მაგალითად „ბათუმტექსტილში“ დამსაქმებელმა განუსაზღვრელვადიანი ხელშეკრულება ვადიანით შეცვალა. სამი თვის შემდეგ მუშას ათავისუფლებს, მერე ისევ უდებს ხელშეკრულებას, ამ დროს არ უხდის ერთი თვის ანაზღაურებას, რომელიც მუშას გათავისუფლების შემთხვევაში ეკუთვნის. შრომის კოდექსში ჩადებული საათობრივი სამუშაო ნორმები მიუღებელია. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას არსებული საათობრივი ნორმა თანდათან შეამციროს. ამავე დროს კოდექსში არის მუხლები, რომელიც დამსაქმებელს საშუალებას აძლევს არათუ შეამციროს, არამედ გაზარდოს ეს ციფრი. შრომის კოდექსში არსებობს „კიდევ ერთი მუხლი, რომელიც ხელფასის დაგვიანების შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე რაღაც დანამატებს ითვალისწინებს. ამას არ აკეთებს არც ერთი დამსაქმებელი. მსუბუქი მრეწველობიდან საქართველოში მხოლოდ საფეიქრო დარგი (დღეს „ტექსტილს“ უწოდენ) ვითარდება. სამკერვალო დარგში იაფი მუშახელია, ეს ინვესტორს მოგების საშუალებას აძლევს. ცნობილი თურქული ფირმები ფილიალებს ხსნიან ბათუმში, ბობოყვათში, მახინჯაურში, ხულოში. ამ საწარმოებში ძირითადად, ქალები მუშაობენ. შრომის პირობები ყველგან ირღვევა. მოაქვთ ისეთი ქსოვილები, რომლებიც დაჭრის დროს ფქვილივით სინთეტიკურ მასას ყრიან. ეს ნივთიერება ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა და ამაზე არავინ ფიქრობს. იმ საწარმოში, სადაც პროფკავშირული ორგანიზაცია გვაქვს, ვდებთ კოლექტიურ ხელშეკრულებას და კონტროლს ვაწესებთ მაგალითად ჰაერის დაბინძურებაზე. დაზღვევაც დამსაქმებლის კეთილსინდისიერებაზეა, თუ წარმოებას კარგი მოგება აქვს, დაზღვევა თანადაფინანსებით ხდება. ხალხი დაბეჩავებული და დამონებულია. „კოკა-კოლაში“ თურქ წარმომადგენელს 18 000 ათასი ლარი აქვს ხელფასი, მომუშავეების საშუალო ანაზღაურება 450 ლარია, მინიმალური კი 110 ლარი, მაშინ, როცა ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 162 ლარია, ე.ი. ჩვენი მუშის ხელფასი საარსებო მინიმუმსაც არ აღწევს. კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-მუშაკებს 80 ლარი აქვთ ხელფასი, დაქვითული 20%-ის შემდეგ 64 ლარი რჩება. ორხევში ერთ-ერთ წარმოებაში დღეში 15 ლარს უხდიან ქალებს, არც ფეხმძიმობის, არც შვებულების ანაზღაურება არ ხდება. შევკრიბე იქ მომუშავე ახალგაზრდები და შევეცადე დამერწმუნებინა, რომ დააფასონ საკუთარი შრომა, ენერგია, უნარი, იყვნენ თავდაჯერებულები და შესაბამის სიტუაციაში დაიცვან თავიანთი უფლებები. სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა ჩვენთან, ამიტომ ვიბრძვით სოციალური დიალოგისთვის, რომ დამსაქმებელმაც და დასაქმებულმაც იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობები. ამ ახალგაზრდებს არ გააჩნიათ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. სამუშაო დღე უმრავლეს საწარმოებში იწყება 8 საათიდან და გრძელდება 10-12 საათამდე. „ჩემი საკუთრებაა“ – ამბობს ინვესტორი, მაგრამ დასაქმებული ხომ არ არის მისი საკუთრება. ყველა წარმოებას აქვს თავისი წესდება. საქართველოში რეგისტრირებული ყველა უცხო ინვესტორი აცხადებს, რომ დაიცავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ თავად საქართველოს კონსტიტუცია არ იცავს საკუთარ მოქალაქეებს. საბოლოო ჯამში, თუ შრომის კოდექსს არაფერი ეშველა, არ შეიცვალა, პროფკავშირი ვერ გაუმკლავდება ამ პრობლემებს.





**საქართველოს მთავრობა ორიენტირებულია იმაზე, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი შემოვიდეს ქვეყანაში, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილები შეიქმნას. უცხოელები ამ ვალდებულებას ასრულებენ იმის სამაგიეროდ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ, ოღონდ ფული შემოიტანონ, ისინი მდიდრდებიან ჩვენი მოქალაქეების ზურგზე. ქართველი მონურ შრომას მიეჩვია უცხოეთშიც და საკუთარ მიწა-წყალზეც და რაოდენ სამწუხაროა, რომ საკუთარი მთავრობის მიერ დამტკიცებული დისკრიმინაციური შრომის კოდექსი მას სამარცხვინო, დამამცირებელ პირობებში ამყოფებს.**

**ნათია გოგიტიძე**




## ხელისუფლება ირწმუნება, რომ თბილისის ბიუჯეტი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად შეადგინეს



**თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილი საკრებულოს ოპოზიციურ უმცირესობის კრიტიკას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ ეს კრიტიკა კი არა, ცილისწამებაა.**

**მისი თქმით, საკრებულოს უმცირესობის წევრების განცხადებები დილეტანტი და საქმეში ჩაუხედავი ადამიანების მდგომარეობას ჰგავს.**

**როგორც ის განმარტავს, დედაქალაქის ბიუჯეტში „სხვა ხარჯების“ სახით გაწერილია ზუსტად ის თანხები, რაც საჭიროა მოსახლეობისათვის მთელი წლის განმავლობაში.**

**„ბიუჯეტი გახლავთ თბილისელების გამოკითხვის შედეგად შედგენილი და ის არის თბილისელების დაკვეთა. „სხვა ხარჯები“ გახლავთ ის თანხები, რომელსაც გასწევს ქალაქის ბიუჯეტი, თუმცა ბალანსზე არ რჩება. ეს არის იგივე „თბილისის კორპუსის“ პროგრამით სახურავების და ლიფტების შეკეთება, მეტროს ვაგონების შეკეთება და სხვა“, – განაცხადა შოშიაშვილმა და დასძინა, რომ „სხვა ხარჯებში“ ასახული თანხები პროგრამებში დეტალურად არის განმარტებული.**

**საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებს თბილისის მერის სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზი აინტერესებდათ და მერის ამ ქმედებას აკრიტიკებდნენ.**

**საკრებულოს უმრავლესობის წევრის კოკი იონათამიშვილის განცხადებით კი, სხდომაზე იმყოფება მერის მოადგილე და ნებისმიერ დეპუტატს შეუძლია მას კითხვით მიმართოს.**

**„მედიანიუსი“**

# vaJa beriZe: `es aris is, rasac qurdul Jargonze `bezpredeli~ hqvia...~

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **ვაჟა ბერიძე:**

**— ბატონო ვაჟა ხელისუფლება განაგრძობს ღია ბრძოლას ივანიშვილის წინააღმდეგ. საპარლამენტო საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი „ქართუ ბანკში“ წესრიგის დამყარებაზე დაიქადნა. ამით „ქართუ ბანკის“ გაკოტრება უნდათ თუ რასთან გვაქვს საქმე?**

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პათოსი ასეთია — თუ „ქართუ ბანკში“ წესრიგი არ დამყარდება, მე დავამყარებ წესრიგსო. ქადაგიძე დროებითი ადმინისტრაციის შეყვანით იმუქრება, რაც, ფაქტობრივად ბანკის დახურვის, გაკოტრებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მხრიდან. განა ვინმეს საქართველოში ეჭვი ეპარება, რომ ეროვნული ბანკი ჩვენი ხელისუფლების ნაწილია და არ არის დამოუკიდებელი სტრუქტურა. იგი მოქმედებს ამჟამინდელ ხელისუფლებაში მყოფი დაჯგუფებების ინტერესების შესაბამისად. ეროვნული ბანკი ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს. აქედან გამომდინარე ეს გახლავთ პოლიტიკურ არენაზე გამოსული ბიძინა ივანიშვილისადმი ხელისუფლების მუქარა. ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც ამ დონის ფინანსური რესურსი არ აქვს, ხელისუფლებას პრობლემა არ აქვს იმიტომ, რომ მათ ან დააშინებენ, ან მოისყიდიან, რაც ივანიშვილთან მიმართებაში გამორიცხულია. ამიტომ მას ებრძვიან ყველა მეთოდით, მოცემულ შემთხვევაში, ეს მეთოდი გამოხატულია ბანკის წინააღმდეგ ლაშქრობაში, აბსოლუტურად უნიადაგო საუბრები მიდის ფულის გათეთრების შესახებ.

**— ფულის გათეთრება ახსენეთ და რამდენად კანონიერია ხელისუფლების ბრალდებები. უნებართვოდ თბილისში მილიონების ტარების უფლება არავის აქვსო — განაცხადა ხელისუფლების ერთ-ერთმა წევრმა. რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდება და როდემდე უნდა იყოს ეს თანხა დატუსაღებული?**

— თანხის დაპატიმრება უკანონოა. საქმე ფორმალურადაა აღძრული — ბიძინა ივანიშვილს რუსეთის გარდა აქტივები ამერიკასა და ევროპაშიც აქვს. იქ, მისი აქტივების თაობაზე შეკითხვები დღემდე არ დასმულა. ვფიქრობ, დღევანდელი მთავრობის ლობი ვერ შეძლებს კითხვები გააჩინოს. აქედან გამომდინარე, ეს ელემენტალურად პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ასეც რომ არ იყოს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თავს უფლება მისცა და კომერციულ ბანკებს მიუთითა, რომ მათ კვარტალური და წლიური ანგარიშგების თაობაზე, კანონით გათვალისწინებული მასალა არ დაბეჭდონ ერთ-ერთ კონკრეტულ გაზეთში —„ბანკები და ფინანსებში“. იგი თავს უფლებას აძლევს შეხვდეს ზოგიერთ ბიზნესმენს და უთხრას — რატომ არის თქვენი რეკლამები „ბანკები და ფინანსებშიო“, „ეროვნული ბანკის“ ასეთი პრეზიდენტი თავის მხრივ წესრიგის დამყარებას ცდილობს „ქართუ ბანკში“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეროვნული ბანკი არ არის დამსჯელი ორგანო. ეროვნული ბანკი არის სტრუქტურა, რომელიც ბანკებში არსებულ მდგომარეობას არეგულირებს და ამავე დროს იცავს მათ ინტერესებს. მისი საქმე არ არის სადამსჯელო ოპერაციების წარმოება, ბანკების გაკოტრება და ა.შ. თუმცა ამ ფაქტს საქართველოში რამდენჯერმე უკვე ჰქონდა ადგილი.

**— თქვენ, ალბათ ბადრი პატარკაციშვილის „სტანდარტ ბანკის“ შემთხვევას გულისხმობთ.**

— დიახ, საკმარისია გავიხსენოთ „სტანდარტ ბანკის“ ისტორია, ასევე, კახი კალაძის ბანკის მიმართ განხორციელებული რეპრესიები და ა.შ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ცი-



ვილიზებული საზოგადოება არის მითი, დემოკრატიული საქართველო არის — მირაჟი. აქ ავტორიტარული ტენდენციები სჭარბობს რისი გამოხატულებაცაა ხელისუფლების პოზიცია — თუ ბანკი პოლიტიკას არ შეეშვება, მაშინ ისინი იქ წესრიგს დაამყარებენ. რა უფლება აქვს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, სახელმწიფო მოხელეს, რომელი წესდება, კანონი აძლევს მას უფლებას, რომ ერთ-ერთი ბანკის — „ქართუს“ ხელმძღვანელის ნოდარ ჯავახიშვილის მისამართით მითითება გააკეთოს — რა განცხადებების გაკეთება შეუძლია და რისი არა ნოდარ ჯავახიშვილს. რაც შეეხება კვალიფიკაციას, როგორც ცნობილია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უნდა შეხვდეს ბანკის გენერალურ დირექტორად დანიშნულ პიროვნებას. ირაკლი ქადაგიძე არ ხვდება ნოდარ ჯავახიშვილს. რატომ, რა უფლება აქვს მას, არ შეხვდეს ნოდარ ჯავახიშვილს? ჯავახიშვილს კომპეტენტურობას საბანკო სფეროში ნამდვილად ვერ დაუწუნებს. მაშინ რა ხდება? — უბრალოდ, იგი ასრულებს ხელისუფლების რუპორის როლს, ანუ ეს არის მორიგი მუქარა ბიძინა ივანიშვილის მიმართ — თუ იგი პოლიტიკიდან არ წავა, დაუხურავენ ბანკს, დრაკონულ ზომებს მიიღებენ მისი ქონებისა და საკუთრების მიმართ. როსტომ მეფის სასახლე პირწმინდად, თვითნებურად, ყოველგვარი საბუთის გარეშე დაკავებული აქვს რაღაც ჯგუფს არარსებული მითიური ხელშეკრულების საფუძველზე და „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლებს არ უშვებენ იქ რემონტის დასასრულებლად. ეს არის ის, რასაც ქურდულ ჟარგონზე „ბეზპრედელი“ ჰქვია. „კანონიერი ქურდები“ სხვადასხვა ჯგუფებისა და საზოგადოების წინაშე „ბეზპრედელს“ აღარ ეწევიან, სამაგიეროდ უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების გარეშე გავანადგურეთ ქურდული სამყარო, რაც კარგია, მაგრამ ეს კანონგარეშე მოხდა და ახლა უკვე კანონიერი ქურდების სტილში მოქმედი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები სახელისუფლებო წრეებში აღმოვაჩინეთ. სწორედ ამ „ბეზპრედელის“ გამოვლინებაა ქადაგიძის განცხადებები, ის, რაც „ქართუ ბანკის“ თავს ხდება, ასევე როსტომ მეფის სასახლის და მოქალაქეობის ჩამორთმევა ბიძინა ივანიშვილისადმი და ა.შ.

**— თქვენ ბადრი პატარკაციშვილის და კახი კალაძის ბანკების გაკოტრების პრეცენდენტი გაიხსენეთ. რამდენად მოსალოდნელია იგივე დაემართოს „ქართუ ბანკსაც“ და რა საფრთხეებს ქმნის ეს?**

— ეს შექმნის სერიოზულ პრობლემებს, მაგრამ ამქვეყნად არსებობს არამხოლოდ ქართული სასამართლო, რომელიც ხელისუფლების წნეხის ქვეშაა, არამედ საერთაშორისო სამართალიც და ვფიქრობ, ამის გათვალისწინებით ხელისუფლება ვერ შეძლებს ამ უკანონობის დაკანონებას.

**— ზოგადად რაზეა დაფუძნებული დღეს ქართული საბანკო სისტემა. არის თუ არა ეს მახინჯი, მაფიოზური სისტემა, რომელსაც პოლიტიკური კონიუნქტურა მართავს?**

— მოგახსენებთ. ქართული ბანკების მეპატრონეები, ძირითადად ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები არიან. ჩვენ ზოგჯერ არ ვიცით თუ ვინ არიან წამყვანი ბანკების მეპატრონენი, რა კაპიტალი აქვთ. შესაძლოა სულაც მათ უკან რუსული კაპიტალი არსებობს, ან უფრო უარესი, წარმომავლობის შავი ფული არის ამ სისტემაშემქმნელი ბანკების აქციონერთა უკან? ამიტომ საუბარი ივანიშვილის რუსულ ფულზე სასაცილოა მა-



შინ, როდესაც ხელისუფლებას ეკონომიკის 2/3 რუსული კაპიტალისთვის აქვს გადაცემული. ჩვენს ხელისუფლებას უბრალოდ ეშინია პერსონიფიცირებული ფინანსური რესურსის, რომელიც, მათი აზრით ზღუდავს მათ ძალაუფლებას. იმიტომ, რომ ფული თავისთავად თავისუფლების, პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების, დემოკრატიის გარანტია. პარტიებს ფული რომ ჰქონდეთ, გვექნებოდა დემოკრატია და არ იქნებოდა ამ დონის უმუშევრობა, სიღარიბე. მაგრამ როდესაც მხოლოდ ერთი ჯგუფის ხელშია ყველა ბიზნესი, ფინანსური რესურსი, ყველა ბანკის უკან სახელისუფლო ძალები დგანან, ამიტომ ისინი ისეთი ოაზისების გაჩენასაც კი ეწინააღმდეგებიან, როგორიცაა ერთი მხრივ ბიძინა ივანიშვილის ბანკი, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად კანონიერად და ცივილიზებულად ითამაშებს. როდესაც იგი სამთავრობო პროექტებს აფინანსებდა, არაჩვეულებრივი, წესიერი, კანონიერი ბანკი ჰქონდა, ხოლო როდესაც პოლიტიკურ სარბიელზე პოზიციის დაფიქსირება გადაწყვიტა იმ წამსვე გახდა საეჭვო ოპერაციების და პოლიტიკური განცხადებების გამკეთებელი ბანკი. საგარეო საქმეთა კომისარმა პირდაპირ უთხრა ჩვენს ხელისუფლებას — ბატონებო, მივცეთ ყველას პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირების საშუალება, პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭირვალე, არბიტრმა — ქართველმა ხალხმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია ყველა წყაროდან, რათა შემდეგ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს. ამის გაგონება დღევანდელ ხელისუფლბას არ სურს. საუბრობენ, რომ ეს თითქოს სინგაპურიზაციისკენ სვლაა. ამას მე ვერ დავეთანხმები იმიტომ, რომ სინგაპურის სინამდვილეს კარგად ვიცნობ და ვიცი — იქ კანონის უზენაესობაა. ჩვენ ავტორიტარიზმის უფრო მძიმე ფორმისკენ მივდივართ, ეს არის ჩინური მოდელი. ჩინეთის ეკონომიკა ჰყვავის, ჩვენი — არა, ციფრები გამოგონილია, საქ.სტატი ობიექტურ ციფრებს არ აწვდის საზოგადოებას, განსხვავებით ჩინეთისგან — იქ ყველა მონაცემი სწორია, მაგრამ სამაგიეროდ თუ 600 მილიონი ჩინელი დაპურებულია და მათთვის ცხოვრების დონე ამაღლდა, 700 მილიონი ჩინელი ისევ შიმშილობს და კაცმა არ იცის როდის დანაყრდებიან ისინი. მაგრამ ჩინური მოდელის, შანჰაის ტიპის მეგაპოლის — ბათუმი, ქუთაისი, ფოთის სამკუთხედის შექნის უკან უნდა იდგეს მილიარდ 300 მილიონი ჩინელი. ამ მეგაპოლისის უკან ვინ იდგება? — ჩვენი მეგობარი თურქები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ჩვენი მტერი რუსეთი. რა თქმა უნდა ეს სასაცილოა და საბოლოოდ ცუდ შედეგებს მოიტანს.

**— ბატონო ვაჟა, ზემოთ ახსენეთ, რომ ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი არ არის. ზოგადად, დღეს მას ზედამხედველის ფუნქცია უფრო აქვს. რა იგულისხმება დამოუკიდებლობის არქონის მიღმა, საბანკო საქმეს დღეს საქართველო ვერ აკონტროლებს?**

— ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი, ნოდარ ჯავახიშვილის პრეზიდენტობისას საკმაოდ მაღალი იყო. მანაგაძე ცდილობდა პოზიციის შენარჩუნებას, მაგრამ ახლა ძალიან შესუსტებულია ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი. მოგეხსენებათ, დიდხანს ნომინალურად ვადგენდით ეროვნული ვალუტის კურსს სხვა ვალუტებთან მიმართებაში მცურავი პროცედურების მეშვეობით. დღეს, ეს კურსი პირთა შეზღუდული წრის მიერ განისაზღვრება, ზოგიერთს ეროვნულ ბანკთან არანაირი კავშირი არ აქვს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა კახა ბენდუქიძე, როგორ ხასიათზეც გაიღვიძებს იმის მიხედვით უკარნახებს ეროვნული ბანკის მესვეურს ამ შეფარდებას და ხდება ამის დაკანონება. როდესაც რამდენიმე კაცმა იცის ლარის კურსი აიწევს თუ დაიწევს დოლართან მიმართებაში — ეს ძალიან სახიფათოა, რადგან კორუფციული გარიგებების საფრთხეს ქმნის. აქედან გამომდინარე საბანკო სფეროს რეგულირება ძალზედ შესუსტებულია. უფრო მეტიც, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორი კახა ბენდუქიძე ამბობს — უკეთესი იქნება თუ ეროვნულ ბანკს გავაუქმებთო. სახელმწიფოებრიობის მოშლა ბენდუქიძისთვის პრობლემა არ არის. ბუნებრივია, სახეზეა ეროვნული ბანკის შესუსტების კონცეფცია. ვფიქრობ, უცხოელი მრჩევლების გარდა, რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ არ ვიცით, ქართველი მოღვაწეებიდან ყველაზე მეტი წონა ამ პროცესებში ბენდუქიძეს აქვს.

დარწმუნებული ვარ, თქვენი გაზეთი სწორად, ობიექტურად შეაფასებს იმ მოვლენებს, რაც ეროვნული ბანკის მხრიდან ხორციელდება „ქართუ ბანკზე“, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება იმიტომ, რომ ქვეყანაში შეზღუდულია დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, ბიზნესის თავისუფლების ხარისხის არარსებობის გამო ყველაფერი ძალადობრივი და ავტორიტარულია.

**— ხელისუფლება უკან არაფერზე იხევს, თავადაც აღნიშნეთ, რომ მოსალოდნელია „ქართუ“ ბანკის გაკოტრებაც. არჩევნებამდე კი საკმაოდ დიდი დრო რჩება. რამდენად შესაძლებელია ამ მუხტის შენარჩუნება?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ნაბიჯებს გადადგამს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ივანიშვილის ირგვლივ ყალიბდება. თუ ეს ნაბიჯები თანმიმდევრული, კარგად გათვლილი იქნება, ხელისუფლების მხრიდან ვერანაირი ძალისმიერი მეთოდები ვერ შეძლებს იმ ტალღის შეჩერებას, რაც მისმა პოლიტიკაში მოსვლამ გამოიწვია. ახლა ეს საკმაოდ საფუძვლიანი ეიფორია, რომელიც საზოგადოებაშია, პიკს უახლოვდება. ამის შემდეგ არის საფრთხე, ეს პიკი თანდათან განელდეს. სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანა საკმაოდ ძლიერია და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს მოისყიდოს მოსახლეობა და არჩევნების გზით დარჩეს ხელისუფლებაში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბანკები და ფინანსების“ და „IPN“-ის გაუყალბებელი გამოკითხვებით ბიძინა ივანიშვილს ბევრად მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“.

**— როგორ ფიქრობთ რამდენად არსებობს საფრთხე ხელისუფლებამ არჩევნების თარიღი გადმოსწიოს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს ამ დროისთვის არ ჰქონდეს მოსწრებული პოლიტიკური პარტიის შექმნა?**

— ასეთი საფრთხე არსებობს. ამით ხელისუფლება ცოტა მეტ პრობლემას შეუქმნის ივანიშვილს, მაგრამ იმ შეცდომებს, რაც ხელისუფლებას საზოგადოების მიმართ აქვს დაშვებული ვერაფრით გადაფარავს. ერთადერთი რჩება ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, რის უფლებასაც ხელისუფლებას არ მისცემს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები — ამერიკელი და ევროპელი მეგობრები.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, როგორ გესახებათ „ქართული ოცნების“ ახდენა?**

— თუ „ურალმაშის“, „ატომსტროი ექსპორტის“ მეპატრონე, რუსეთში მილიონების მშოვნელი ბენდუქიძე საფრთხე არ არის, საქართველოსთვის, რატომ შეიძლება იქცეს საფრთხედ ადამიანი, რომელსაც საბანკო, სამშენებლო, ფარმაცევტული ბიზნესი აქვს. სავსებით ბუნებრივია, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა. ქართული ოცნება არის ვიცხოვროთ ნორმალურ, დაპურებულ, მშვიდობიან, გამთლიანებულ საქართველოში. განა ეს არ არის თითოეული ჩვენთაგანის ოცნება? გარდა ამისა, ყველა ადამიანი პიროვნულ ბედნიერებაზე ოცნებობს, მაგრამ ეს არ შედგება თუ ქვეყანა არ იქნა ბედნიერი. აქედან გამომდინარე, ჩვენი პიროვნული ბედნირებაც ამ ქართულ ოცნებაზეა დამოკიდებული. არავინ დააფრთხოს და შეაშინოს მსაზღვრელმა — ქართული იმიტომ, რომ ქართული ოცნება არა მარტო ეთნიკური ქართველების ოცნების ახდენას გულისხმობს, არამედ საქართველოში დაბადებული, გაზრდილი და დღეს აქ მცხოვრები ყველა ადამიანის.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტები და მუდმივი დაძაბულობაა. აი, ამ ვითარებაში ჩვენი ხელისუფალნი მაინც „იღწვიან“ და ახალ-ახალი ინიციატივებით დათვის, ანუ რუსეთის ხახაში თავის ამოყოფას ლამობენ.*

*ჩრდილო კავკასიელებისათვის კორიდორის გახსნა ჩერქეზების გენოციდის აღიარება და სხვა მსგავსი პროექტებით საფრთხეებზე გათვლებს კი არ გვთავაზობენ, არამედ ჩვენი ხელისუფლება დემაგოგობს და დღემდე კრიჭაში უდგას რუსეთს, სწორედ იმ სახელმწიფოს, რომელსაც უკვე დიდი ხანია დასავლეთი ენის მოჩლექით ელაპარაკება, ხოლო ამერიკა პირდაპირ კონფრონტაციას ვერ ბედავს და საამისოდ წვრილ-წვრილ ლიფსიტებს ეძებს (ღმერთმა ნუ ჰქნას, მეორედაც წამოვეგოთ სატყუარაზე) თუ რას ნიშნავს რუსეთთან დაპირისპირება, რა ანალოგია და განსხვავებაა ჩვენსა და ჩეჩნებს შორის, ამის გასარკვევად, გასაანალიზებლად, მეტიც, მეორე ჩეჩნეთის თავიდან ასაცილებლად „საერთო გაზეთმა“ გადაწყვიტა საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლის **მექა ხანგოშვილის** გამოცდილება გაგიზიაროთ:*

# CeCnuri `iavnana~ da `kamikaZe~ qarTvelebi



**— ქალბატონო მექა, რა პროცესებია ჩრდილოეთ კავკასიაში და როგორ აისახება ეს მეზობელ საქართველოზე?**

—ჩრდილოეთ კავკასიაში მძიმე ვითარებაა. განსაკუთრებით, საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში:დაღესტანსა და ინგუშეთში დღე არ გავა ტერაქტის და თავდასხმების გარეშე. ან ოპოზიციონერს ჰკლავენ, ან მთავრობის წევრებს. არც ჩეჩნეთშია ადამიანის სიცოცხლე გარანტირებული. ასე რომ, ჩვენ მეზობლად მდგომარეობა ძალიან რთულია და თავისთავად, ეს პროცესები ნეგატიურად აისახება საქართველოზე. კავკასიური ქვეყნები არის ერთი ორგანიზმი. მათ შორის, საქართველო ცენტრალური და მეტად დინამიური ნაწილია.

**— სულ ახლახან ჩეჩნეთში დოკუ უმაროვმა ჯიჰათისკენ, ანუ საღვთო ომისკენ მოუწოდა თანამებრძოლებს, თუ არსებობს საშიშროება კონფრონტაციამ გლობალური ხასიათი მიიღოს, ანუ ქრისტიანული სამყარო და მუსულმანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ?**

— კავკასიაში კონფლიქტები სარწმუნოებრივ ნიადაგზე გამორიცხულია. ისტორიულად ასეთი რამ არასოდეს ყოფილა. კავკასიაში ორი ფუნდამენტური რელიგიაა: ქრისტიანობა და ისლამი. ორივე შემწყნარებლობით გამოირჩევა და წმინდა წიგნიდან იღებს სათავეს.

თუმცა გარე ძალებმა მაინც მოახერხეს და რეგიონში ვაჰაბიზმი, ანუ ისლამის ექსტრემალური სახესხვაობა დანერგეს. ამ იდეით კავკასიელი ხალხების გახლეჩა ჩაიფიქრეს. აქ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან ერთად რუსეთის ხელიც ურევია. სხვათა შორის, შეძლეს და ვაჰაბიზმის დათესვით ჩეჩნებში განხეთქილება შეიტანეს.

**— ხშირად საუბრობენ ჩეჩნეთ-საქართველოს ე.წ. ანალოგიებზე, რამდენად მართებულია შედარება და თუ არსებობს საშიშროება საქართველოში სხვა და სხვა ფაქტორების გავლენით (შესაძლოა, ქვეყნის ხელისუფლება, ან სულაც საზოგადოებრივი განწყობა) მეორე ჩეჩნეთის (ანუ ცხელი წერტილის) მოწყობის?**

— კი, რაღაც ანალოგიები არსებობს. წინააღმდეგობა არის ჩეჩნეთის მხრიდან, წინააღმდეგობა არის საქართველოს მხრიდანაც. ხოლო რუსებისათვის ქართველები და ჩეჩნები მოაზრებიან კავკასიაში ერთ-ერთ მოწინააღმდეგე შტოდ. თუმცა განსხვავებით საქართველოსგან ჩეჩნეთი თვითაღიარებული რესპუბლიკაა. ამიტომ რუსეთი ჩეჩნეთს ყოველთვის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. კიდევ ერთი განსხვავება: საქართველოს მხარდაჭერა ამერიკისა და დასავლეთის მხრიდან და შესაბამისად, საქართველოს მეტი გარანტიები აქვს, ვიდრე ჩეჩნეთს. როცა ჩეჩნებთან დაძაბული მდგომარეობა აქვს, რუსეთი ამბობს: ეს არის ჩემი საქმე, ჩემი ტერიტორიაო. აქედან გამომდინარე, ვხედავ, რომ საქართველო მეტად არის დაცული. ღმერთმა ნუ ჰქნას, აქ მეორე ჩეჩნეთი მოეწყოს. ისიც კმარა, რომ ქვეყნის ტერიტორიების 20%-ია ოკუპირებული.

სხვათაშორის, ჩეჩნეთი ცივილიზებული სამყაროს გულგრილობის შედეგიცაა. მართალია, საქართველოც ერთი-ერთზე აღმოჩნდა რუსეთთან, როცა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, თუმცა ეს იყო რამდენიმედღიანი ბრძოლა, ხოლო ჩეჩნეთში წლებია სისხლისღვრა და დაპირისპირება გრძელდება.

**— სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, ჩვენგან განსხვავებით ჩეჩნები სხვა მუხტის მატარებელი ხალხია, შეუძლიათ წლობით გაიხიზნონ ტყეებში და იქედან წარმართონ ბრძოლა...**

— ჩემგან არ გამოდის ჩეჩნების ქება, ეს ტრაბახში ჩამეთვლება. რადგან მკითხეთ, მაინც გიპასუხებთ: ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია, რაც ჩეჩნებს აქვთ, ამაზე ბევრი ერი იოცნებებდა. ამ ხალხს ბრძოლის მეტი არაფერი უკეთებია. ყოველი ჩეჩენი იბადება მეომრად.

მიუხედავად იმისა, ევროპულმა ქვეყნებმა დიდი საქმე გაგვიკეთეს და ჩვენი ახალგაზრდობა შეიფარეს, იქ უზრუნველი ცხოვრების პირობებს უქმნიან, ჩეჩენი ახალგაზრები მაინც გამორბიან და ტყეში პარტიზნებად იხიზნებიან. ამას ხომ მართლა სხვა მუხტი, სხვა სულიერი სიმტკიცე სჭირდება?

დღესდღეობით უკვე ჩეჩნეთში რუსებსა და ჩეჩნებს შორის ღია დაპირისპირება არ არსებობს. აქ ქვეყნის პრეზიდენტს კადიროვს დაუპირისპირდა საკუთარი ხალხი.

პრეზიდენტი კადიროვი კი აცხადებს ჩეჩენი ვარო და ასე გამოდის, ჩეჩნები ერთმანეთს ებრძვიან.

**— ამბობენ ჩეჩნები სხვაგვარად ზრდიან შვილებს, ამიტომ არიან ისინი უშიშარნიო**

— არის ასეთი ზღაპარი „მგელი“ (მგელი-ჩეჩნეთის ემბლემაა), იქ მოთხრობილია, როგორ არ ეპუება ბუნების ძალებს მგელი დედამიწაზე მცხოვრები სხვა ცხოველებისგან განსხვავებით. მხოლოდ ის არ ტოვებს საცხოვრებელს. აი, ღონივრად ჩაასო ბრჭყალები მიწაში, ტყავშემოფლეთილი ადგილზე რჩება. როცა აპოკალიფსი გადაივლის და მხეცები დაბრუნდებიან ჰკითხავენ: მგელო, ეს რა ხდება, როცა ყველა გავრბოდით, შენ რატომ არ მოგვყევიო. მგელმა მიუგო: სხვა სამშობლო არ მაქვს, ჩემი სამშობლო მხოლოდ ეს არის და ვერ დავტოვებდიო.



ჩეჩნური ლექსია „იავნანა“ქართველმა პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა თარგმნა: „ყელს შეგაბამ გულში გავლილ ტყვიას, ეს ის არის, ვინც მოგიკლა მამა...“ მოკლედ, დედა უმღერის, თუ შენ არ გაიზრდები ისეთი გმირი, რომ მამაშენის შურს იძიებ, შენვე მოგხვდეს ეგ ტყვიაო, ასე ჩააგონებს ჯერ კიდევ ჩვილს.აი, ქართველი როგორ ჩაწვდა ჩეჩნების ფსიქოლოგიას და „იავნანა“ გადმოთარგმნა.

ამ პათოსით ზრდიან შვილებს დღემდე. ჩეჩნური ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა, იარაღის სიყვარული, იარაღის მოხმარების სურვილი პატარაობიდანვე აქვთ. არ ვანებივრებთ ბავშვებს ხვევნა-კოცნით. ეს ცუდ ტონად ითვლება. ალბათ, ასეთ „მკაცრ“ მოპყრობასაც აქვს თავისი დანიშნულება აი, ის რაღაც-ჩეჩნური რასაც ჰქვია შენარჩუნდეს. კიდევ ერთი წესია: ბიჭებს ხუთი წლის ასაკამდე არასოდეს არც სცემენ და არც უყვირიან, რომ არ დაითრგუნოს. ვაჟი თავისუფლად უნდა გაიზარდოს, შიში არ უნდა ჰქონდეს. აი, სწორედ ის მკაცრი ტრადიცია ინარჩუნებს ერის თვითმყოფადობას და მენტალობას.

**— კავკასიაში სომხების და ოსების სახით, ე.წ. მშვიდი„მოთამაშეებია“, მათ ლავირების პოლიტიკით გენოფონდიც შეინარჩუნეს და არც ტერიტორიები დაუკარგავთ, ანუ შეიძლება ითქვას, რუსეთს კავკასიის რეგიონში ერთიანი თამაშის წესები არ აქვს?**

— ვერ დაგეთანხმებით. უფრო სწორი შედარებაა, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის ე.წ. საჭადრაკო დაფაზე საბრალო პაიკები ვართ. როგორც უნდა ისე გამოგვიყენებს და დღემდე წარმატებით აგრძელებენ ერების წაკიდების ე.წ. პოლიტიკას.

მართლაც, ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა გენოფონდი ნადგურდება, თანაც ომში და წინა ხაზზე საუკეთესო ვაჟკაცები იღუპებიან, ეს ჩვენი-ჩეჩნების ტრაგედიაა. 1994 წელს მოკლეს ჩვენი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა მერაბ ჩუხუამ შენიშნა ჯოჰარისთანა ვაჟკაცები ათასწლეულში ერთხელ იბადებიან. ვინ იცის რამდენი საარაკო ვაჟკაცი დაიღუპა იმ ბრძოლებში 1994, 1999 წელს და ეს თავგანწირვა დღემდე გრძელდება. განადგურდა არქივები, ახლა მათი ვაჟკაცობის ამბები ზეპირსიტყვიერადღა შემოგვრჩა.

ახლა კადიროვი კი „ჯახირობს“ საკუთარი ხალხის წინაშე რაღაც რეაბილიტაციას მიაღწიოს, მართალია, გროზნო ულამაზეს ქალაქად იქცა, მიუვალ სოფლებშიც კი შეიყვანეს გაზი. ხალხს მაღალი ხელფასები და პენსიები დაუნიშნეს. თუმცა მეორე მხრივ, პუტინი თავის საკეთებელს აკეთებს და აი, ამ კადიროვის სახით, მსოფლიოს ვითომდა უჩვენებს, ნახეთ, ასეთივე უკულტუროები და მდაბიოები არიან ჩეჩნებიო.




**— ქალბატონო მექა, გვერდში დგომის ფასი შეუდარებელია, თუმცა სათქმელი ხომ მაინც უნდა ითქვას: ჩერქეზების გენოციდის აღიარებითა და ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის კორიდორის გახსნით საქართველო დარტყმის ქვეშ დგება, ნუთუ ამას ხელისუფლება არ უნდა ითვალისწინებდეს?**

— არც ერთი ხელისუფლების ინტერესებში არ უნდა იყოს თავის ქვეყანაში ხალხს მეორე ჩეჩნეთი მოუწყოს. ვერ დავიჯერებ და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ საქართველოს ხელისუფლებას რამე თვითმიზანი ჰქონდეს და საკუთარ ქვეყანაში ამ უბედურების მოწყობით იყოს დაინტერესებული.

ვიცი, როგორ ემადლიერებიან ჩრდილოეთ კავკასიელები ქართველებს ლარსის კორიდორის გახსნის გამო. ჩვენ ერთობაზე ბევრად არის დამოკიდებული საკუთარი ქვეყნების მომავალი და **ყოველთვის დავუჭერ მხარს კავკასიის ერთიანობის იდეას.** მართალია, ამ ინიციატივებით, როგორც შენიშნეთ, საქართველო დარტყმის ქვეშ დგება, ოღონდ ეს დარტყმა ამხელა სასიკეთო საქმედ ღირს.

ამბობენ, თითქოსდა, 2008 წლის 8 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიელებმა ქართველების წინააღმდეგ სისასტიკე ჩაიდინესო, ვერ დავიჯერებ, რადგან ბევრ ქართველს უთქვამს მადლობა პირადად ჩემთვის: კავკასიურმა ბრიგადამ „ვოსტოკმა“ სიცოცხლე შეგვინარჩუნაო. თუკი, ვინმემ სისატიკე ჩაიდინა, ჩეჩნები კი არა, სხვა ჩრდილოეთ კავკასიელები იქნებოდნენ.

ამას გარდა, ერთხელ და სამუდამოდ, მინდა პასუხი გავცე იმ თემას, რომ ჩეჩნებმა აფხაზეთის ომში ქართველების თავებით ფეხბურთი ითამაშეს.ესეც რუსეთის მოგონილია. საერთოდ, ჩვენ რელიგია გვიკრძლავს მიცვალებულის შეურაცხყოფას, ქართველის კი არა, ჩვენი მოსისხლე მტრის-რუსების გვამებიც არასოდეს დაუმცირებიათ ჩეჩენ მებრძოლებს.

მინდა ერთი ფაქტი გითხრათ, თუ როგორ ექცევიან მოყვარეს მოღალატეს ჩეჩნებში და ეს ჩემი მოგონილი არ არის, რეალურ ისტორიას ვყვები: აფხაზეთის ომის შემდეგ ჩეჩნეთში მისვენებული შვილი მშობელმა არ დაიტირა, საერთოდ არ მიიღო ოჯახში, რადგან ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა—

**P.S. ფაქტი ფაქტად რჩება. როგორც ჩანს კავკასიურ ოჯახში ერთიანობის პრობლემები მაინც არსებობს და ლომის ხახაში თავის ჩაყოფას, არც უშიშარი მეზობლები მოგვიწონებენ.**

**არც ის დაგვავიწყდეს, როგორია ჩეჩნური „იავნანა“, ხოლო რა რუდუნებითა და სითათუთით იზრდებიან ჩვენი პატარები. მერე კი როგორ ერთბაშად, თვალსა და ხელ შუა ვავალებთ გმირობასა და ამტანობას. ან კიდევ ისეთ გაუმართლებელ მსხვერპლშეწირვას, რასაც „კამიკაძეობის“ გარდა, სხვა სახელი, სამწუხაროდ, არ მოეძებნება.**

**ნათია ნოდია**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## arCevnebi ruseTis `proteqtoratebSi~

**საყოველთაო აზრის თანახმად, რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე არსებული ავტორიტარული რეჟიმების მხარდაჭერას. ეს გარკვეულწილადდ სიმართლეა — მაგალითად, იგი შესანიშნავად იყენებს ლუკაშენკოსა და ნაზარბაევის ყაიდის პოლიტიკოსთა შიშს, რომ ქუჩის საპროტესტო გამოსვლების „არაბული“ ეპიდემია მათ ქვეყნებსაც მოედება. მარტივი სქემები ყოველთვის არ ამართლებს — ამის დასტურად გამოდგება არჩევნები, რომლებიც რუსეთის სამ „პროტექტორატში“ გაიმართა.**

დავიწყოთ აფხაზეთით, სადაც არჩევნები პრეზიდენტ ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ, 26 აგვისტოს გაიმართა. რუსეთს გააჩნია საკმაოდ სამწუხარო გამოცდილება: 2004 წელს, როცა ბაღაფში პირველად იყრიდა კენჭს პრეზიდენტის თანამდებობაზე, იგი სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობდა. მოსკოვი ეჭვით შეჰყურებდა კანდიდატურას — ხომ არ ჩააბარებდა იგი აფხაზეთს საქართველოს. ყველაზე „მაგარი“ არგუმენტი, რომ ბაღაფში ქართველზე იყო დაქორწინებული, მართალია, სულელურად გამოიყურებოდა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებს სერიოზულ ეჭვს უჩენდა. საბოლოოდ, ბაღაფშის გამარჯვება არ აღიარეს, არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი იძულებული გახდა, განმეორებით არჩევნებსა და თავსმოხვეული მეტოქის — ხაჯიმბას მომავალ ვიცე-პრეზიდენტობას დათანხმებოდა. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ბაღაფში იმ რუსეთის



მოკავშირე აღმოჩნდა, რომელმაც მის მიმართ ლამის დიდი შეცდომა დაუშვა.

2004 წლის აფხაზური გამოცდილება შემდგომში გაითვალისწინეს. 2009 წლის, ისევე როგორც წლევანდელი არჩევნების მიმდინარეობაში მოსკოვი აღარ ჩარეულა. შედეგად გაიმარჯვა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრ ანქვაბმა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ რუსეთი ეჭვით უყურებდა და რომელმაც ამომრჩეველთა 54 პროცენტი მიიღო. საკმაოდ დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს მისმა მოწინააღმდეგეებმა: შამბამ — 21, ხაჯიმბამ — 19 პროცენტი.

გასულ კვირას არჩევნები გაიმართაასამხრეთ ოსეთში, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის დანიშვნა გახდა აუცილებელი. აფხაზეთისგან განსხვავებით, ამ რესპუბლიკაში მოსკოვი აქტიური მოთამაშის როლში მოგვევლინა. რუსეთი აღარ ენდობა პრეზიდენტ კოკოითის, რომლის მოღვაწეობაც როგორც ფინანსურ, ისე პოლიტიკურ სკანდალებს უკავშირდება. თავისი მმართველობის პერიოდში, კოკოითიმ შეუძლებელი შეძლო — საქართველოსგან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უამრავი მონაწილე საააკაშვილის ბანაკში იმიტომ გადაბარგდა, რომ არ შეეგუა მართვის ავტორიტარულ კურსს. კოკოითის ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სანაკოევის „პროქართული“ ფენომენის შექმნა.

ასე რომ, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ვერ შეძლო თავისი უფლებამოსილების გახანგრძლივება. კოკოითის გარეშე ჩატარებული არჩევნების შედეგები რუსეთმა მაინცდამაინც ვერ განჭვრიტა: მისი ფავორიტი ბიბილოვი მეორე ტურში კენჭს იყრის ოპოზიციის წარმომადგენელ ალა ჯიოევასთან ერთად, რომელიც განათლების ყოფილი მინისტრია. ორივე კანდიდატმა დაახლოებით თანაბარი ხმა მიიღო. ჯიოევას მხარი დაუჭირა თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თედეევმა, ვისაც კოკოითის სერიოზულ პოტენციურ მოწინააღმდეგედ ასახელებდნენ და რომელიც ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში არ დაუშვა. ჯიოევას მხარდამჭერთა შორის აღმოჩნდა რესპუბლიკაში პოპულარული გენერალი ბარანკევიჩი — სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, რომელიც 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კოკოითის ლამის პირველი ოპოზიციონერი გახდა. რეჟიმის ეროზიის პირობებში, ოპოზიციის საწინააღმდეგო მცდელობებმა უკუშედეგი გამოიღო — ჯიოევას პოპულარობა გაიზარდა, ხოლო კოკოითის სახელთან დაკავშირებული კანდიდატები მეორე ტურში ვერ მოხვდნენ.

ახლა მოსკოვი დილემის წინაშეა — ან ბიბილოვს უნდა დაეხმაროს გამარჯვებაში, ან აღიაროს, რომ მეორე ტურში ნორმალური კონკურენცია აუცილებელია. პირველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კოკოითის რეჟიმის აღდგენა-განმეორება, ოღონდ სხვა პერსონის სახით, მეორე შემთხვევაში კი არჩევნების ლეგიტიმურობა მნიშვნელოვნად მოიმატებს.

„პროტექტორატებში“ ვითარების პლურალიზაცია ხდება და ამას რუსეთი იდეალისტური მოსაზრებებით როდი აკეთებს. მას სურს შეცვალოს ძველი ლიდერი ახლით, მაგრამ არსებული კონკურენცია არ იძლევა შედეგების წინასწარ განჭვრეტის საშუალებას. არსებული რეჟიმების ეროზიის მცდელობით, იგი თითქოს გზას უხსნის რეალურ პოლიტიკურ ბრძოლას, რისი ნიშნებიც კი არ შეინიშნება თანამედროვე რუსეთში — 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები უკვე წინასწარ არის ცნობილი; რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, გაურკვეველია — „ერთიანი რუსეთის“ წარმომადგენლები კონსტიტუციურ უმრავლესობას მოიპოვებენ თუ „მხოლოდ“ აბსოლუტურს.

*ავტორი — ალექსეი მაკარკინი, პოლიტტექნოლოგიების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი*

**Ðîñáàëò.ru**

## afxazeTi unda ecados, miiRos legitimacia

**აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად მოსაძებნია სხვა, უფრო კრეატიული მიდგომა — წერს ბრიტანული გამოცემა The Guardian. წერილის ავტორის ჰიუ უილსონის აზრით, აფხაზეთში გამართული საერთაშორისო ჩემპიონატი დომინოში სპორტულზე მეტად დიპლომატიური ღონისძიება იყო.**

„საქართველოს კონფლიქტური რეგიონი უნდა ეცადოს, ლეგიტიმაცია მიიღოს არა დომინოს თამაშით, არამედ ადგილობრივ ქართველთა უფლებების მხარდაჭერით. აფხაზეთში უყვართ დომინოს თამაში. მზის ჩასვლის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცები შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმში იკრიბებიან. აფხაზეთში დომინოს უფრო ფართო, დიპლომატიური მნიშვნელობა ენიჭება, ისევე როგორც ჩინეთში — პინგპონგს. ცოტა ხნის წინ სოხუმში გამართულ ჩემპიონატში გაიმარჯვა არა აფხაზეთის, არამედ დომინიკის რესპუბლიკამ, მაგრამ სოხუმმა მაინც მიაღწია მიზანს — იგი ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩემპიონატში ოცზე მეტი ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, 200 მოთამაშე მონაწილეობდა“, — ვკითხულობთ სტატიაში.




აფხაზეთის სტატუსი რუსეთსა და საქართველოს შორის მწვავე დაპირისპირების საგანია. მიუხედავად ამისა, ის შეთანხმება, რომელიც მხარეებმა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ მიიღეს, დამაიმედებელია — იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით კომპრომისი შესაძლებელია.

„აფხაზეთი მხოლოდ რუსეთმა, ვენესუელამ და კიდევ ორმა ნამცეცა სახელმწიფომ აღიარეს და მისი სტატუსი 2008 წლის სამხედრო დაპირისპირების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთ-ერთი უმწვავესია. მხარეებს შორის 9 ნოემბერს მიღწეული შეთანხმება კომპრომისის შესაძლებლობაზე მიანიშნებს. ისეთი უწყინარი ღონისძიება კი, როგორიც დომინოს ჩემპიონატია, ერთი მხრივ, ვაშინგტონისა და თბილისის გაღიზიანების, ხოლო მეორე მხრივ — მოსკოვისა და სოხუმის სიამაყის მიზეზი ხდება. მედიაში იწერებოდა, რომ ამერიკელ მოთამაშეებზე ცდილობდნენ ზეგავლენის მოხდენას, რომ მათ მატჩი შეეწყვიტათ. ყველაფერი ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი მეტისმეტად პოლიტიზებულია“, — ვკითხულობთ გამოცემაში.

ავტორის აზრით. ორი მეზობელი ქვეყნის დაპირისპირებით აფხაზეთის რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან, რადგანაც ყოველდღიურად ირღვევა მათი უფლებები.

„აუცილებელია, მოიძებნოს უფრო კრეატიული მიდგომა ჩვეულებრივ ადამიანთა უფლებების დასაცავად. „ახალი რეალიები“ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირძველი მოსახლეობის უფლებების დაცვას უნდა ეფუძნებოდეს“, — წერს ავტორი.

**The Guardian**

## rogor moatyues afxazebi da osebi

**რუსეთელ ექსპერტთა მოსაზრებით, რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის განცხადებამ — „აგვისტოს ომმა ხელი შეუშალა საქართველოს შესვლას ნატოში“ — აფხაზებსა და ოსებს კრემლის ნამდვილი მიზნები დაანახვა.**

რუსეთის ოპოზიციონერთა და ექსპერტთა შეფასებით, კრემლმა მკაფიოდ გამოხატა თავისი მთავარი მიზანი — საქართველო ნატოს გარეშე.

ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი კითხულობს: „საინტერესოა, რას იფიქრებენ აფხაზები და ოსები, როცა გაიგებენ, თუ როგორ მოატყუა მედვედევმა ისინი და ომის ნამდვილი მიზეზი ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა იყო“.

„ვერ წარმოვიდგენდი, რომ მედვედევი ასე აშკარად დაასახელებდა მიზეზებს. რუსეთის პრეზიდენტმა უკვე ორჯერ მიაყენა საკუთარ თავს დარტყმა — პირველად, როცა განაცხადა, რომ ეს ოსების გენოციდის გამო მოხდა, მეორედ კი ახლა. საინტერესოა, რას იფიქრებს ეს ხალხი, როცა გაიგებს, რომ მედვედევმა ისინი მოატყუა და ომის რეალური მიზეზი საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა იყო. აღმოჩნდა, რომ ოსები და მათთან ერთად აფხაზებიც, ვითარების მძევლები აღმოჩნდნენ. საქართველომ მართალია, მძიმე დღეები გადაიტანა, მაგრამ იგი მაინც გახდება ნატოს წევრი“, — განაცხადა განაპოლსკიმ.



**abkhaxeti.info**

## germania da safrangeTi evrokavSiris reformacias cdiloben



**გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის აზრით, ევროზონის უკეთ მართვის მიზნით, შესწორებებია შესატანი იმ შეთანხმებებში, რომლებიც ევროკავშირის საფუძველს წარმოადგენს.**

სარკოზის თქმით, ისინი სთავაზობენ ისეთ ცვლილებებს, რომლებიც გაამყარებს ნდობას ევროზონის მიმართ და მასში შემავალი ქვეყნების უფრო მეტ ინტეგრაციასაც ხელს შეუწყობს. თავის მხრივ, ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ცენტრალური ბანკის როლი უცვლელი დარჩება.

უახლოეს დღეებში გაირკვევა, კონკრეტულად რა შინაარსის იქნება შეთავაზებული შესწორებები.

გერმანია და საფრანგეთი ვერ თანხმდებიან, უნდა გახდეს თუ არა ევროპის ცენტრობანკი „ბოლო ინსტანციის“ კრედიტორი და უნდა გამოუშვან თუ არა სახელმწიფო ობლიგაციები არა ცალკეული ქვეყნებისთვის, არამედ მთლიანად ევროზონისთვის.

**apsny.ge**

# Jurnalistika, rogorc esmeralda da qeTi sesiaSvilis samkvdro-sasicocxlo brZola `uxilav~ mterTan

**ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საპროტესტოდ სამების ტაძარში შეკრება და სანთლების ანთება პირველად რომ მოუწოდა საზოგადოებას სოსო ჯაჭვლიანმა, იმ დღეს შევხვდი ჩემს კოლეგას და ყოფილ რედაქტორს ქალბატონ ქეთი სესიაშვილს.**

**არსად აღარ ვმუშაობ, — გულდაწყვეტილმა მითხრა და დასძინა, ბევრი რამ მაქვს სათქმელი და თუ გამომივლი, ვისაუბროთო.**

**რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონ ქეთის სახლში ვესტუმრე. მასთან საუბარი კი იმაზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი.**

— ჟურნალისტიკა ჩემი გული, სული და მთელი ცხოვრებაა. პრესა ჩემი ცხოვრების მთავარი გზაა. ტელევიზიაშიც ვიმუშავე საინფორმაციოს წამყვანად, გადაცემებიც მქონდა, ცოტა ხანს რადიოშიც ვიყავი, მაგრამ ჩემთვის გაზეთი, ჟურნალი, ბეჭდური მედია სულ სხვაა.

თქვენ გეხსომებათ, ირანდა, ჟურნალი ,,პრეს-პრემიერი", სადაც თქვენც მუშაობდით, როგორც ჟურნალისტი. ,,პრეს-პრემიერი" 2002 წლის 15 მაისს დავაარსე და 2005 წელს გამინადგურეს. 2005 წლის ივლისის ბოლოს, როცა ჟურნალისტები შვებულებაში მყავდა გაშვებული სექტემბრამდე, მე ზუგდიდში გახლდით ჟურნალისტური გამოძიებისთვის მასალების მოსაკრებად, ჩასაწერად და ფაქტების გადასამოწმებლად. ზუგდიდის ამბებს ქვემოთ მოგიყვებით, მაგრამ ახლა იმას გეტყვით, რა მდგომარეობაში დამხვდა რედაქცია სამეგრელოდან დაბრუნებულს — დალეწილი, გაძარცვული იყო ყველაფერი. არაერთი ჟურნალისტური გამოძიების დოკუმენტაცია, ფოტოები, ვიდეოფირები დაგლეჯილი ეყარა ოთახში... როგორც უპატრონო ცხვრები, ისე დამიფანტეს ჟურნალისტები. დავრჩი მარტო. ხელისუფლებას ეგონა, რომ მე, როგორც შეურიგებელი ჟურნალისტი, ავტეხდი ხმაურს, მოვიწვევდი პრესკონფერენციას, უცხოელებს, მაგრამ მათი იმედები გავაცრუე. მივხვდი, იმ ეტაპზე ვერაფერს მივაღწევდი და აღარ მინდოდა უაზრო მსხვერპლი ვყოფილიყავი, მით უმეტეს, რომ გასულ დღეებში უდიდესი მორალური სტრესი ისედაც მქონდა მიღებული...

გადიოდა დრო. ჩემი აპათია არ სრულდებოდა და მაშინ დამიდგა გვერდით მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ადამიანი — ჩემი მოძღვარი მამა კონსტანტინე (კოლუაშვილი), მან ეკლესიის შემოწირულობებიდან 200 ლარი მაჩუქა, რასაც მე და ჩემმა მეუღლემ ზაქარია როჭიკაშვილმა ცოტაოდენი კიდევ დავამატეთ და ინტერნეტჟურნალი ,,პრესკავკასია. გე." შევქმენი. ეს ჟურნალი იმავე პრინციპით დაარსდა, რაც ,,პრეს-პრემიერს" ჰქონდა.

წელან ბეჭდურ მედიაზე ვსაუბრობდით. მოგეხსენებათ, პრესის ჟურნალისტიკა უფრო შრომატევადია, ვიდრე ელექტრონული მედია, თუმცა, ასე თუ შეიძლება ვთქვა, პრივილეგია მაინც რატომღაც ტელე და რადიოჟურნალისტებს აქვთ. არადა, პრესის ჟურნალისტი პრობლემასთან ყოველთვის უფრო ახლოა, შესაბამისად, ახლოა ადამიანთან და მოქალაქესთან... ამიტომაც, სულ ერთი წელია, რაც ინტერნეტ-ჟურნალი ,,პრეს-კავკასია. გე" დავაფუძნე, რომელიც თემატიკითა და გრიფით ჟურნალისტური გამოძიების ჟურნალ ,,პრეს-პრემიერის" ანალოგია ინტერნეტსივრცეში.

პრობლემური თემაა და პირდაპირ ვიტყვი, პრესა დღეს დაჩაგრულია.

**— რატომ?**

— მოდი, შედარებებით ვისაუბროთ. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ ვნახე შესანიშნავი ფილმი ,,პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი". ყველას გახსოვს, რაც ხდება ფილმში, მაგრამ ამაზე ახლა არ ვსაუბრობ. მთავარი ისაა, რომ რაღაცით დაუკმაყოფილებელი, სუსტი, არასრულფასოვანი ყოველთვის ცდილობს ჩაკლას, გაანადგუროს, დათრგუნოს, გათელოს, ლამაზი და ძლიერი საშინელი და სამარცხვინო განადგურებით.

**— ქეთი, ყველას გვახსოვს, სააკაშვილმა რომ გამოაცხადა, ქართულ პრესას არ ვკითხულობო, ანუ უცხოურს კითხულობს. მას შემდეგ ბეჭდურ მედიას მრავალმხრივი პრობლემა შეექმნა. ზოგადად, პრესის პრობლემები, გასაგებია, მაგრამ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართული ბეჭდური მედიის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს?**

— დიახ, არსებობდა ასეთი გეგმა, რომ უნდა განადგურებულიყო ქართული პრესა. მე იმას გარდა, რომ დავაარსე რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი და გახლდით მთავარი რედაქტორი, პირველ რიგში, ყოველთვის ვიყავი ჟურნალისტი და ვიცი, რა როგორ ხდებოდა. უნდათ, რომ ბრბოდ აქციონ ქართველი ხალხი. აზროვნების უნარი დააკარგვინონ. ჩემს თვალწინ ხდებოდა ის, რომ შევარდნაძე და მისი გამოზრდილი ჟვანია და სააკაშვილი თანმიმდევრულად ახორციელებდნენ ქართული პრესის დისკრედიტაციას. დიახ, ასე იყო მაშინ და ასე გრძელდება დღემდე. რა, ჟვანია ან სააკაშვილი? ფულს არ უხდიდნენ ჟურნალისტებს? რითაც პირდაპირ ხრწნიდნენ ქართულ ჟურნალისტიკას? ყველამ ჩაიხედოს გულში და გაიხსენოს, რამდენი ათასი აქვთ აღებული სახელისუფლებო წრეებიდან. ასე მოიყვანეს სააკაშვილი, რომელმაც თქვა: ისტორია ჩემგან იწყება.

პრესა რა არის? წარსულის შეხსენება. ჟურნალისტიკა დგას ხელისუფლებაზე მაღლა. ის არის ზეხელისუფლება. ამიტომ უნდათ მისი დისკრედიტაცია და განადგურება.

25 წელიწადია პრესაში ვარ. არაერთი პროექტი მქონია გრანტზე



წარდგენილი. ვერავითარ გრანტს ვერ მიიღებ, თუ ძალიან, ძალიან, ძალიან ამათი, ანუ ამ ხელისუფლების არ ხარ. ასე რომ, ჩემთან რომ მოსულიყო სასაუბროდ რომელიმე გრანტით გამძღარი გაზეთის ჟურნალისტი, ასეთი გულახდილი მასთან ნამდვილად არ ვიქნებოდი. თუმცა არავინ მოსულა არასდროს ჩემთან, არც მაშინ, როცა ამ ხელისუფლებისგან სიკვდილს სასწაულად გადავურჩი. თუ ვინმე დაინტერესდებოდა, ალბათ, ლოგინის ისტორიით, თორემ ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი ნაკლებად აინტერესებთ. მე დღეს არ ვჩანვარ ე.წ. ელიტარულ წრეებში. რატომ? იმიტომ, რომ ქეთი სესიაშვილი არავის შეეკრა და მიეყიდა არაფრის ფასად.

2005-ში, როცა ძალადობით დამახურინეს, დამირბიეს ,,პრეს-პრემიერი", სკანდალების მოყვარული ჟურნალისტები ჩემგან ინფორმაციებს ითხოვდნენ, მაგრამ ყველასგან გასაოცრად და მოულოდნელად, ხმაური არ ავტეხე, გავჩუმდი.

**— რატომ დაარბიეს ჟურნალი, რა იყო ამის მიზეზი?**

— მიზეზი ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობა გახლდათ, საბაბი კი ერთ-ერთი სტატია, რომელიც ადამიანის გატაცების დანაშაულზე იუწყებოდა. გაშიფრული გვქონდა ადამიანების გატაცების მექანიზმის მთლიანი ჯაჭვი და ზოგიერთი მაღალჩინოსნის ბრალეულობის საკითხიც დგებოდა. არავის ეგონოს, შევარდნაძის ხელისუფლებაზე ვლაპარაკობდე. დიახ, ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ ადამიანის გატაცებასა და მძევლად აყვანაზე მქონდა სტატია. კვალს ამჯერად სამეგრელოს რეგიონის მაღალჩინოსნებთან მივყავდით. მეც გადავწყვიტე ადგილზე გამერკვია ყველაფერი. ამასობაში ჩემმა ერთმა ჟურნალისტმა ახალი თანამშრომელი მომიყვანა. ეს არის ჟურნალისტი, აფხაზეთიდან დევნილი ნანა ფიფია, — მითხრა მან. ეს ის ნანა ფიფიაა, რომელმაც შემდეგ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე, მან თავი დაიწვა. მოკლედ, ნანა ფიფია დავნიშნე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ კორესპონდენტად და მისი, როგორც თვითონ ამბობდა, კავშირების წყალობით, სამეგრელოში წასვლა გადავწყვიტე ადამიანის გატაცების საკითხზე.

ივლისის თვე იყო. აგვისტოში დასვენებას ვაპირებდით, ხოლო ივლისის ნომერში უკვე აშკარად მყავდა მხილებული მიხეილ სააკაშვილი არაერთ უკანონობასა და დანაშაულში, ვამხელდი ვანო მერაბიშვილს, მქონდა ინფორმაციები საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან, მძიმე სოციალური ვითარების შესახებ წერილები და კიდევ, ვინმე ფონიას იდუმალებით მოცული გატაცების ისტორია. არ დაგავიწყდეთ, 2005 წლის ზაფხულია.

გიგი უგულავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობიდან ახალგადაყვანილი იყო სხვა პოსტზე. ნანა ფიფიამ ზუგდიდში სტუმრად თავის ნაცნობთან, ვინმე ნინოსთან მიგვიყვანა მე და ჩემი ორი ჟურნალისტი. ზუგდიდში ჩასულს ფიფიამ მითხრა, თუ მოვისურვებდი, მას შეეძლო აფხაზეთში გადავეყვანე, რომ იქიდან ინფორმაციები წამომეღო. ნანა გალიდან დევნილი იყო და ვიცოდი, მას ეს შეეძლო. მით უმეტეს, გატაცებული ფონია აფხაზეთში ჰყავდათ გარკვეულ ხანს. ნანამ მითხრა, მარტო უნდა წამოხვიდე, ჟურნალისტების გარეშეო. მეც დავთანხმდი და წავედით ძველი, ნაცრისფერი გაზ-24-ით სოფელ ოტობაიასკენ...

მეორე დღეს პროკურატურაში წასვლა გვქონდა დაგეგმილი. დილიდანვე გავემზადე, თუმცა ისე მოხდა, რომ ვერაფრით მოვახერხე სახლიდან გასვლა. დამარწმუნეს, საშიშროება გელოდებათო და ქალაქში მასალებზე მხოლოდ ჩემი ჟურნალისტები ქეთი და გოგა წავიდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი გაურკვეველი მიზეზის გამო ქალაქ ზუგდიდის პოლიციაში ჰყოლიათ დაპატიმრებული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დიდი ამბის შემდეგ ძლივს გავათავისუფლებინე ჩემი ჟურნალისტები, მაგრამ მათთვის ჯერ კიდევ დაჭერამდე წართმეული ჩანთები, დიქტოფონები, ფოტოაპარატები, ვიდეოკამერა და ბლოკნოტები არ დაუბრუნებიათ.

მივედით ისევ ჩვენს მასპინძელთან.

ქალბატონ ნინოს პატარა ბიჭუნა ჰყავდა, რომელიც დაგვიახლოვდა და რადგან, ჩვენ, რატომღაც, შიმშილობა გვქონდა მოსჯილი, ეს ბავშვი გვიდუღებდა ყავას, ჩაის, თან გვეუბნებოდა: დედამ არ გაიგოს, რადგან თქვენ აქ პატიმრები ხართო. ბოლოს მასაც აუკრძალეს ჩვენთან კონტაქტი.

**— ასეთ მდგომარეობაში რომ იყავით, თბილისში ვერავის შეატყობინეთ? კოლეგებს ხმა ვერ მიაწვდინეთ?**

— პირველი, რაც გავაკეთე, დავრეკე ჟურნალისტ ზაზა დავითაიასთან, რომელმაც იმის თქმა მოასწრო: მითხარი, სად ხარ და მოვდივარო და ჩემი ტელეფონიც გაითიშა, დასატენი თბილისში დამრჩენოდა. მერე ქეთის ტელეფონით ვცადე სხვა ჟურნალისტებს დავკავშირებოდი, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, ჩვენ ვერ დაგეხმარებით, პოლიციას მიმართეთო.

არ ვიცოდით, სანამდე გაგრძელდებოდა ჩვენი იძულებითი ტყვეობა, არც ის ვიცოდით, რა ხდებოდა ჩვენს თავს, სანამ მასპინძელმა საიდუმლოდ არ გამიმხილა ყველაფერი. აღმოჩნდა, თურმე ჩემი მკვლელობა ყოფილა დაგეგმილი და ეს, ქალბატონი ნინოს სიტყვებს ვიშველიებ, სამეგრელოს პოლიციის მაღალჩინოსნებს ჰქონიათ დავალებული. თურმე რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ზუგდიდიდან ცოცხალი არ უნდა წამოვსულიყავი.

როგორც კი ამ გეგმის შესახებ შევიტყვე, დავიწყეთ გაქცევაზე ფიქრი. ქალბატონი ნინოს დახმარებით ეზოდან გავაღწიეთ და ზუგდიდის სადგურისკენ წავედით. არც ერთს ერთი თეთრიც არ გაგვაჩნდა, ქეთის, ჩემს ჟურნალისტს, ტელეფონიც მოჰპარეს. როგორც იყო, მივაღწიეთ რკინიგზის სადგურს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთი გაყიდული იყო, მოლარემ მითხრა: ერთი ადგილი არის დარჩენილი მე-9 ვაგონში, თუ ერთ ადგილზე სამნი დასხდებით, კი, ბატონოო. ვაგონში ჩაჯდომა მაინც ვერ მოვახერხეთ. მერე გავიგე, მე-9 ვაგონს იმ ღამეს ცეცხლი გასჩენოდა. მე და ჩემი ორი ჟურნალისტი საშინელ სიკვდილს სასწაულებრივად გადავურჩით.

ამ ამბის ტყუილ-მართალი ზუგდიდის ქალაქის პოლიციაში იდო და ალბათ, უშიშროების სამსახურებშიც. ეს ყველას შეუძლია გადაამოწმოს, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ შემთხვევით არც ერთი მედიასაშუალება არ დაინტერესებულა და მეტიც, როცა ჟურნალისტმა ნანა ფიფიამ თავი დაიწვა, არც ამ ამბავს გამოხმაურებია ვინმე, ერთადერთი ვიყავი მე, რომელმაც ჩემს ინტერნეტ-გამოცემა ,,პრეს-კავკასია გე-ზე" ჟურნალისტის დაღუპვის შესახებ სტატია და სამძიმრის წერილი გამოვაქვეყნე.



**ირანდა პალანდაძე**



# ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da Tanamedrove TvalsazrisiT ganxiluli

### ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და მე-8-მე-12 ს.ს.

უძველეს დროს ლაზისტანივით ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა, მაგრამ მე-2 ს.ქ.წ.სომხებმა მათ ტაო წაართვეს და ამის წყალობით იქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა. გაქრისტიანების დროსაც ეს ქვეყანა თითქოს ისევ სომეხთა ხელში უნდა ყოფილიყო. სპარსეთი-ბიზანტიის შორის მე-6 ს. გამწვავებული და ხანგრძლივი ომიანობისა და ქოლერის მსგავსი საშინელი მორულის მძვინვარების გამო თითქმის მთელს ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით კი სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო (იხ. ქართველი ერის ისტ. მე-2. 320. 327. 333), სხვათა შორის, ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთელი ტაო უდაბური ტყით შეიმოსა მხოლოდ მე-11 ს-ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება: შიდა ქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზვნები შემოვიდნენ და დასახლდნენ, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალავი შრომის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. მე-9-14 ს.ს.-ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოო ძეგლი, რომელთა ნაშთებმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების მჭევრმეტყველი დამამტკიცებელი საბუთი მესხ მოღვაწეთა და მწერლების ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა.

### მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედ-იღბალი მე-13-18 ს. და მისი გამაჰადიანება

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი სამცხეთ-ჯავახეთითგან მიყოლებული ტაოისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. მე-13 ს-ის მეორე ნახევარში მესხეთის მთავარის განსაგებელი იწყებოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა (ჟამთთა აღ. 875, გვ. 719), მე-13 ს.ის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულის ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წ. სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა (ვახუშტი. საქართ.ცხოვრება 241).

ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა. ჯერ უმაღლეს წრითგან დაიწყო, შემდეგ ხანგრძლივი ბრძოლის საშუალებით მაჰმადიანობა თვით ხალხშიც გაავრცელეს. მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი (ვახუშტი. საქართველოს ც-ა 254-247) და მთელს მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც-კი რომ მოესპოთ, ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა"-დ გახადეს, მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობით კუთვნილებად დასტოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქა. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფებოდა. თვითეულს თემს ან სანჯაყს სათავეში მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები უდგნენ.

### უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის მე-18 ს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველო ასეთი კუთხის დაკარგვას და ამდენი მოძმე ქართველობის მოწყვეტას ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. უფრო ძველ დროითგანაც რომ არ დავიწყოთ, ისიც საკმარისი იქნებოდა თუ გავიხსენებდით, რომ მე-18 ს.-შიაც, მაგ. თეიმურაზ მე-2-ისა და ერეკლე მეფის დროს, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ახალციხის ფაშებთან, რომელთაც, მაჰმადიანობის და მიუხედავად, თავიანთი ქართველობა დავიწყებული არ ჰქონდათ, ერთის მხრით განსაკუთრებით კეთილი მეზობლური კავშირი ჰქონდათ და ეს ცდა უნაყოფო არ ყოფილა. მეორე მხრით, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ თავისი უფლება მესხეთზე, ანუ ახალციხის საფაშოზე გამოეაშკარავებინათ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს მეფეები თავის თავს სამეფო სახელწოდებაში ასე ხაზგასმით ამ ქვეყნის მემკვიდრეობით მფლობელად აცხადებდნენ. ამავე მიზნის მისაღწევად, სრულიად საქართველოს გაერთიანების განხორციელების ხელშემწყობით პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით კი სწორედ ამ ძველი ქვემო ქართლის, ახალციხის საფაშოს საქართველოსთან შემოსაერთებლად იყო, სხვათა შორის, 1783 წ. ხელშეკრულება ერეკლე მეფესა და ეკატერინე მე-2-ს შორის დადებული. ერეკლე მეფის წარმომადგენლებმა ამ ხელშეკრულებაში მეორე მუხლად შეატანინეს, რომ რუსეთის ხელმწიფე არამცთუ ერეკლე მეფის მაშინდელი სამეფოს სამფლობელოს ხელშეუხებლობის თავდებობას კისრულობდა, არამედ ისეთისაც, რომელიც შემდეგში შეძენილი იქნებოდა. და რომ ეს მუხლი სწორედ იმ აზრით იყო ჩართული ხელშეკრულებაში. ამას იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთი წარმომადგენლის ნ.ბუტკოვის სიტყვებიც ცხადყოფენ. მას პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ამ მეორე მუხლის შინაარსი სწორედ საქართველოს მეფეთა ძველ სამფლობელოს, ახალციხის საფაშოს, ანუ სამცხე-სათაბაგოს ეხებოდა"-ო. სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულების შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქართველოს მეფისაგან მის ფაშობას განსაცდელი მოელის, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდგომ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

### რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში




როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ 1828 წ.-ს დაპყრობილ იქნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი. ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-ითგან მხოლოდ 10 სანჯაყი: ქობლიანისა, ოძრხისა (აბასთუმნისა), ახალციხის, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქისა, ჯარარქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (ჩალდირისა), რაც ძველ სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს უდრის. ეს მხარე რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ, აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი და კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი – ოლთისი. აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია. თუმცა ერუშეთი (ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზ). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და ამ საბუთების ძალით თავიანთი უფლების აღდგენას თხოულობდნენ, მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით, განრისხდა კიდეც. ამავე დროს, ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთვრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 900000-ზე მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად სააახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემოთ მოყვანილი რიცხვითგან 30000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში.

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: წინათ იქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ კი დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლადშემოერთებულ ქვეყანაში 50000 ორთავე სქესის მცხოვრებიც კი აღარ იყო. უწინ. მაგ. 1828 წ. ამოდენი ხალხი მარტო ქ. ახალციხეში ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირიან-ფესვიანად შეიცვალა თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა. 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ.

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში.

### 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველესი დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცნენ და, ამ გარემოებისდა მიუხედავად, მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს. ეს განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სამზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქი შეექმნათ. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ. როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ.ვორონცოვ-დაშკოვი იყო, მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტიური მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიკურად ტფილისის გუბერნიასთან კი არა, გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილისდა თანახმად, იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის სამაზრო კომისია შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას (ალექსანდროპოლის) მიემატოს, რომ მასთან ერთად ცალკე, განსაკუთრებით სომხობით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ 14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან 8 კაცი რუსი იყო (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალი ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი). 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელნი ქართველი მაჰმადიანები მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი), და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთხმივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება. თავისი აზრის დასასაბუთებლად კომისიამ, სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ.გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისთვის. ამასთანავე, საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიაც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით, აგრედვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საურმე გზით, რომელიც ზამთარშიაც კი არ იკვრება ხოლმე. გუმბრთან-კი (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო, მთელი თვეობით ყოველგარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყვეტილია ხოლმე ზაფხულშიც-კი, როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაზ.) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთს ნაწილს ზოგიერთი საქონელი, მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდროპოლითგან) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული ერთხმივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ იმავე შემადგენლობით, როგორც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსივე საკითხის შესახებ დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, ერთხმივ დაამტკიცა.

(გაგრძელება იქნება)

რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები" იბეჭდება უცვლელი სახით.



# baRvaSebi _ saukuneebs Serkinebulni...

ვუბრუნდები წინაპრებს, რომელთა გვარია – ბალვაში... და რომელთა ტრაგიკული ხვედრი ჩემს ახალგაზრდობაში სასტიკად მტანჯავდა. მადლობა უფალს, გამოტანილი დასკვნების გამო დღეს ასე აღარ ვფიქრობ. მადლობა უფალს, უძველეს საარქივო მასალებში შემორჩენილა მათი მამულიშვილობისა და კაცური კაცობის მღაღადებელი მასალები, რომლებიც წლების დაუღალავი შრომით მოიპოვა ერთ-ერთმა შთამომავალმა ალ. ბალიშვილმა.

ბალვაშები ლაზური წარმოშობის გვარ-სახელია (საკუთარი სახელი ბალა) არიან არაგვეთისა და კლდეკარის ერისთავთ-ერისთავები. („ქართული გვარ-სახელები“ გ. 47. თ.მაისურაძე, ი.ახუაშვილი.).

„...პირველ საუკ. ქრისტეშობის უწინ კოლხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა. პორტოს სამეფოს დაცემის შემდეგ აქ იყო სამი დამოუკიდებელი სამთავრო, – ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი. მეორე საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი და სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც V საუკუნეში ბრძოლის მიზეზი შეიქნა ბიზანტიელთა და სპარსთა შორის ამ დროს სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსპეს ლაზის მეფობა. ამის შემდგომ, უფრო გვიან პერიოდში, ლიპარიტ ბალვაშ ერისთავის მიერ ჩამოყალიბდა კლდეკარის საერისთავო“. (ჟურ. „აია“ – 47.) „მათსავე მპყრობელობაში იყო თრიალეთი, მანგლისის ხევი, სკვერეთი. ფლობდნენ ატენის ციხეს, ალგეთის ზედა მხარეს, ქციის ხეობიდან მათი სამფლობელო ფიტარეთამდე აღწევდა. ეკუთვნოდათ ხურეტის ციხე, ზედა ციხე ვარძიისა. ფლობდნენ მთელ ქართლს. ეს უკანასკნელი მეფისაგან ჰქონდათ ნაბოძები (უეჭველია, არა ღალატისათვის – მ.ბ.). ბალვაშთა ძალაუფლება ჯავახეთშიც ვრცელდებოდა. მათ მფლობელობაში იყო არტანუჯი, ყველის ციხე, უფლისციხე და ბირთვისი. იყვნენ სვანეთის ერისთავები 1305 წლამდე, (ჟურ. „აია“, ნაწ. IV) რაჭის ერისთავები. ისინი იყვნენ ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანენი, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აგებდნენ ეკლესიებს, ტაძრებს, მონასტრებს. მათივე აგებულია აფხაზეთში ლიხნის ეკლესია.

მავანნი და მავანნი დღეს ზის ჩახლეჩამდე გაიძახიან, ბალვაშთა გვარი ამოხოცეს, მათგან არავინ დარჩაო. მაინტერესებს, არავის ებადება კითხვა – ასეთი ძლიერების, მრავალრიცხოვანი გვარი როგორ შეიძლებოდა ერთი ოჯახის ამოწყვეტით განადგურებულიყო მთელს საქართველოში? არადა, ცნობილია, რომ ამოჟლიტეს არა, რამოდენიმე ოჯახი, არამედ ერთადერთი, რომლის თავკაცი იმ დროს ომში სისხლს ღვრიდა ქვეყნის გადასარჩენად. სწორედ ამ დროს შეესივნენ ოჯახს და ცოცხალი არ დატოვეს არც დიდი, არც პატარა, არც მოხუცი, მაგრამ რა შუაშია აქ ის უთვალავი ოჯახები ბალვაშთა, რომლებიც ვინ იცის, საქართველოს რომელ განედში არ სახლობდნენ. იქნება ამიხსნას ვინმემ, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს? ნეტავი, მართლაც სატირალი არ იყოს და, ნამდვილად სასაცილო კი იქნებოდა... და მაინც, რა ბედი ეწია საკუთრივ გვარს, – ბალვაში... მოხდა ის, რომ დევნილმა გვარმა შეიცალა გვარის სახეობა იმის მიხედვით, საქართველოს თუ რომელ რეგიონში ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე გასაგებია, რატომ არ ფიგურირებს გვარი-ბალვაში, – მაგრამ ჩამომავლობა ხომ ბალვაშთაა, რაც კარგად იცოდნენ ჩვენმა ახლო წინაპრებმა, და ვიცით ჩვენც,



XX – საუკუნის ჩამომავლებმა იცის ისტორიამ, ეს გვარებია: ბალაშვილი, ბალიშვილი, ბალვაძე, ბალიაური, ბალბაია ბალიაშვილი. („ქართული გვარსახელები“. ი. მაისურაძე, ი.ახრუაშვილი).

თავად-აზნაურთა საზოგადოების ოფისში ყოფნისას უკითხავთ ჩემზე, ვინ არისო ეს ქ-ნი. როცა ჩემი დიდი ბებიის ბრწყინვალე გვარის – ჩხეიძეს მატარებელმა ბ-მა თენგიზმა უპასუხა, ეგ ბალვაშიაო, ერთ ფრიად განათლებულ, ჩემს კოლეგა დიდგვაროვან ქ-ნს შეუცხადნია, – როგორ, კიდევ დარჩნენ ბალვაშებიო? რა ვქნა ქ-ნო, ეს იქნებ ძალიან გეწყინოთ, მაგრამ – ვართ. სხვაგარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, არა მარტო იმიტომ, რომ ბალვაშები ვართ. ნებისმიერი გვარი შეუძლებელია ერთი ოჯახის ამოჟლეტით გადაშენდეს.

მახსოვს ჩემს დიდ ბაბუას, ბეგლარს ჰქონდა ულამაზესი დიზაინის ოქროს ვარაყიანი სიგელი. არ ვიცი, რატომ, რუსულ ენაზე შედგენილი, რომელსაც უდიდესი რუდუნებით ინახავდა. ბაბუა რომ გარდაიცვალა 11 წლისა ვიყავი, თანაც ბალვაშებზე ღიად საუბარი არ იყო მაშინ მიღებული, ამიტომ უამრავი რამ ცნობილი არ გახდა ჩემთვის, სამარეში ჩაჰყვა მას. ხოლო მამაჩემი 54 წლის გარდაიცვალა და კი ვიყავი მაშინ 16-17 წლის, მაგრამ მას, ჩემი არ იყოს, ძლიერ აწუხებდა ამ გვარის ტრაგიკული ბოლო და საერთოდ არ უყვარდა ამაზე საუბარი. ბაბუა აღმერთებდა თავის წინაპრებს. მისი მამა იყო თეიმურაზი, თეიმურაზის მამა-მანუჩარი, მანუჩარის ლევანი, ხოლო ლევანის – დემეტრე. ასე ერქვა ჩემს ერთ-ერთ ძმასაც. როცა ბაბუა სუფრასთან ჭიქას იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ 27 ვაჟი-მანუჩარი, დაღუპული ჰყავდა, პირველად მათ ადღეგრძელებდა, – თქვენ გაგიმარჯოთ ბალვაშებიო, როგორც ცოცხლებს, ისე ეტყოდა.

მოვუსმინოთ ლიპარიტ ბალვაშს, რას ეუბნება ის ჩვენს სათაყვანებელ დავით მეფეს: – „არც ჩემს წინაპრებს ჰყვარებიათ ქვეყანა შენს წინაპრებზე ნაკლებ. აი, რაა გასარკვევი. ისე არა, მემატიანენი მეფეთა დამსახურებას რომ აღნუსხავენ მხოლოდ, კლდეკარის ერისთავთა დამსახურება კი არსად ჩანს. ვინ აკავებდა მცირე აზიიდან მოწოლილ ურდოებს, თუ არა კლდეკარნის ერისთავნი. ჩემმა პაპამ, დიდმა ლიპარიტმა თბილისი აიღო, რომელიც ამირას ეკავა წლობით და ბაგრატს გადასცა – ერთგზის, ორგზის... მამულიშვილის გულით გააკეთა ეს. ბაგრატმა კი ისევ ამირას დაუბრუნა. აი, საიდან დაიწყო ყველაფერი“.



ბალვაშ - ორბელიანთა საგვარეულო გერბი

–„კლდეკარის ერისთავთ-ერისთავები უძლიერესი ფეოდალები იყვნენ, რომლის გვიანდელი წარმომადგენელი ლიპარიტი აღმოსავლეთ საქართველოს უგვირგვინო მეფეა XII-ს-ში. ამ საგვარეულოს ორბელიანებსაც ეძახიან. მათი ნამდვილი გვარის სახელია ბალვაში“. (ს.ჯანაშია) –„ბალვაშ-ორბელიანები თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებისათვის იბრძვიან და მეფეც ერთგული სამსახურის გამო უკან უბრუნებს. ბალვაშ-ორბელთა არა მხოლოდ მამულები, სახელოებიც საგვარეულოს გადაეცემოდა. მათი სახელოებია – სპასალაობა, ქართლის ერისთავობა, მანდატურთუხუცესობა.

თამარ მეფის გვირგვინის კურთხევის დროს რაჭის ერისთავმა კახაბერ ბალვაშმა შემოარტყა თამარს ხმალი, რომელიც მოართვეს დიდებულთა“. („თამარ-დედოფალი“, ზ. ჭიჭინაძეს გამოცემა I, ტფილისი 1880 წ. გვ.4.) დამეთანხმებით, განუზომელია სიდიდე ამ პატივისა, ამავდროულად, ბედნიერებაც, რაც სწორედ ამ გვარს ერგო, და დაუმსახურებლად არ მოხდებოდა უთუოდ. არც ისაა დასამალი, რომ ესეც ერთ-ერთი მიზეზი გახდა მოშურნეთა მტრობისა, როგორც ცნობილია, იმ ცნობილი ინციდენტის შემდეგ, რაც 1032 წელს მოხდა და უკავშირდებოდა ამირა ჯაფარის შეპყრობას ბალვაშის მიერ, და მის განთავისუფლებას მეფისგან, 5 წელმა განვლო. ბაგრატ IV ისევ ლიპარიტის რჩევით განიზრახა თბილისის საამიროს განთავისუფლება. ისე გაუჭირდა ამირა ჯაფარს, რომ გადაწყვიტა, გაპარულიყო. ზოგიერთ ფეოდალებს შეეშინდათ ლიპარიტის კიდევ უფრო გაძლიერებისა და ფარულად „დაამკვიდრეს ამირა ტფილისსა ზედა, და მიერთაგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარედ თავის პატრონისაგან. უფრო ამის შემდეგ იწყება ბალვაშ-ბაგრატიონების შინა დინასტიური მტრობა“. (საქ. ისტორია, გვ. 259) ვფიქრობ გასაგებადაა ნათქვამი – დინასტიური მტრობა, და არა – საქართველოს მტრობა:. საქართველოს შინაური თუ გარეულ მტრებს ებრძოდნენ ისინი. –„ბაგრატ IV-მ თბილისზე ალყის მხსნისა და ამირასთან ზავის შეკვრის შემდეგ გაილაშქრა მისი გუშინდელი მოკავშირის, კახეთის წინააღმდეგ. ამით მეფემ კიდევ ურო გადაიკიდა ლიპარიტი, რომელიც მას ამ უსამართლობის გამო მოსისხლე მტრად გაუხდა“. (საქ. ისტორია) –„1036 წელს მოკავშირეება დვინის ამირა სასტიკად დაამარცხეს. ჯარს ლიპარიტი ხელმძღვანელობდა, რომელსაც შემდგომ სპასალარობა დაჰკისრებია... ლიპარიტის შემდეგ მისი შვილი – ივანე ხდება ქართლის ერისთავი და სპასალარი. ისტორიკოს სტ. ორბელის მიხედვით, ორბელთა, იგივე ბალვაშთა საგვარეულო მეფის გვირგვინის დამდგმელნიც ყოფილან ქართლის სპასალარობასთან ერთად. სამეფო სახლის ყოველი საქმე მათ სჭერიათ. ჰქონდათ თორმეტი დროშა და თითო დროშასთან ათასი კაცი.

–„ბალვაშ-ორბელთა მტრობის მიზეზი სამეფო ხელისუფლებასთან ძირითადად სახელმწიფოს საზღვრების განმტკიცება და გარეშე მტრისაგან მისი დაცვაა“. („ისტორიანი და აზმანი“.).

ცალკე თემაა მათი ღვაწლი საეკლესიო ცხოვრებაში. ისინი დაუღალავად აგებდნენ ტაძრებსა და ეკლესიებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ჩამოვთვლი რამოდენიმე მათგანს, – ათონის ტაძარი, მანგლისის ტაძარი, ბარლამისა და სიკინეთის მონასტრები. თრიალეთის ეკლესია, ატენი, შეპიაკის, დაღეთის, ტა-ბაშის, ღვთისმშობლის, იმერის, გოხნარის, სანტის, ზარზმის, გომარეთის, არტვილის, ტათევის, პერევისის, კაცხის, ეხვევის, სავანის, ლიხნის, (აფხაზეთში). კუმურდღოს, საჩხერის, ვანის, ამბრალის და სხვა მრავალი. აღურიცხავია მათ მიერ ეკლესიებისთვის გაღებული ძვირფასი შეწირულობანი.

– ორიოდე სიტყვით არ შემიძლია არ ვახსენო ბალვაშთა საუკეთესო ასულნიც. უჭკვიანესი და ულამაზესნი, რომლებიც ღირსეული წარმომადგენელნი არიან თავიანთი გვარისა, საკუთარი სულმაღლობისა და მამულიშვილისთვის პიროვნულის დათმობის საოცარი შესაძლებლობით შემკულნი. ეს, პირველ რიგში, ლიპარიტ ბალვაშის ასული – დედისიმედი გახლავთ.

ცნობილია, რომ დიდ დავითს, აღმაშენებელს, უდიდესი სიყვარულით უყვარდა იგი. ბალვაშთა სახლი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. მეფესა და ბალვაშთა შორის ისედაც დაძაბული მდგომარეობა რომ არ გამწვავებულიყო, და ამით ქვეყანა არ დაზარებულიყო, დედისიმედმა უარი თქვა ორმხრივ უდიდეს სიყვარულზე, საქართველოს დედოფლობაზე და იდუმალად მონაზვნად აღიკვეცა... (?!) ეს მართლაც ბალვაშთა ასულს თუ შეეძლო გაეკეთებია.

–„ერისთავთ ერისთავის, რატის ასული გვანცა დედოფალი დავით ულუს თანამეცხედრეა, თავის ხალხის მხსნელი და თავისივე ნებით ურდოში მისული“. (ს.კაკაბაძე).

ხოლო ლიპარიტ დიდი? რა ბედი ეწია მას?

–„ლიპარიტ დიდი, მონაზნობაში ანტონი, ერისკაცობაში ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავად, მაგისტროსად და ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღუარად წოდებულ – დ. ბაქრაძის აზრით –„უფრო დასაჯერებელია, რომ ლიპარიტს მოსწყინდა ბოლო დროს აღელვებული და აღშფოთებული ცხოვრება და მონაზონის სახე შეიმოსა“-ო. მიხ. კახაძე ასკვნის, –„კი არ მოსწყინდა, აიძულეს ასე მოქცეულიყო“. (ჟურ. „აია“ – გვ.100). ბალვაშ-ორბელიანნი საქართველოს მტრები არა, მისი ერთგული მცველნი იყვნენ და ეს ჩემი მოსაზრება კი არა, სხვადასხვა დროისა და ეპოქის ისტორიკოსთა შეფასებაა, დასკვნის სახით წარმოჩენილი. ეს ის ბალვაშები არიან, –„რამეთუ არ იყო მსგავსი მათი საქართველოსა შინა ქრისტეს მოყვარულნი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“ (ისტორ.სტ.ორბელიანი).

ბალვაშები – უსამართლოდ, დევნილნი, იძულებით „საშვილიშვილო შურისმაძიებლად ქცეულნი“... სამშობლოსთვის საუკუნეების – მანძილზე ნაბრძოლნი, სისხლდანთხეულნი, დამაშვრალნი და... ბოლოს მისივე მტრებად შერაცხილნი... უსამართლობავ, სად იწყები და სადა გაქვს ბოლო.

... თუმცა მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში არც ერთი ბალვაში არ განისვენებს, მაგრამ სალოცავად მუხლმოყრილს მაინც ჩამესმის მათი გოდება... თითქოს იქ დაბრძანებულ თანამებრძოლთ ყვედრიდნენ, – თქვენ მაინც ხომ იცით, მოღალატენი არა ვყოფილვართ და არც თქვენზე ნაკლებ გვყვარებიაო ტანჯული სამშობლო... თქვენზე ნაკლებ არ გვიბრძოლია და ნაკლები მსხვერპლი არ გაგვიღიაო...

გმადლობთ შენ, უფალო, მტერდადებული, სიბნელეში მყოფი ნაწერები სიმართლეს რომ ღაღადებენ... მსმენელი შეისმენს, გამგები გაიგებს... გევედრები უფალო, – შეიწყალე ბალვაშები...

**მარეხ ბალიშვილი**
**(ბალვაში)**

# საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ღია წერილი

## საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა!

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირძველი ორგანიზაცია საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება გულწრფელად მიესალმება თქვენს გადაწყვეტილებას, ჩვენი სამშობლოს უკიდურესი გაჭირვების ჟამს აიღოთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გაუძღვეთ ერს სახელმწიფოებრივი თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის უმძიმეს ბრძოლაში.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის უდიდესი ქარტეხილის ჟამს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ რეალური გახდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენა, ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა ძალა, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ქართველი ერის ნება-სურვილი, მისი მარადიული სწრაფვა ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების უმძიმეს ბრძოლაში და ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერის არსებობა უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 2005 წლის 28 იანვარს გამოქვეყნებულ წერილში „ზარები, ზარები, ზარები!“ აღვნიშნავდით: „ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია მთელი სისრულით და სიზუსტით დავხატოთ ერის დაცემის ეს შემზარავი სურათი, წარმოვაჩინოთ მისი თითოეული წახნაგი, მოვიცვათ პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და მორალურ-ზნეობრივი გადაგვარების მთელი სპექტრი, ერის და ქვეყნის გამყიდველ ხელისუფალთა ცოდვათა ჯაჭვი და ვეძებოთ კიდეც გამოსავალი იმ თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან, რაშიც ქართველი ერი აღმოჩნდა ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტის ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შედეგად“.

შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ქართველი ერის გონიერი და ეროვნული ფასეულობბების შერწყმა, ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და ამ გეგმის განმახორციელებელი ხელისუფლების ფორმირებაა!

სწორედ ამას მივუთითებთ თქვენც:

„უნდა შედგეს... ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რა უნდა გაკეთდეს დასავლეთში, აღმოსავლეთში, მთაში, ბარში... ეს გეგმა უნდა შეადგინონ პროფესიონალმა და ის მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის“. ( გაზ. „ასავალ-დასავალი“, 24.30.10.2011 წ.).

ბატონო ბიძინა!

დემოგრაფიული მოძრაობის წინადადებაც აქედან მომდინარეობს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ, როდესაც ქვეყნის პოლიტიკის არსი ერთ სიტყვაში —„გავყიდი, გავყიდი, ყველაფერს გავყიდი“ — გამოიხატება. იქ რაიმე სტრატეგიულ გეგმაზე საუბარი ზედმეტია.

ხოლო ჩვენი მოსაზრება ამ აუცილებელ ნაბიჯზე ასახულია ზემოთმოყვანილ წერილში:

„ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავალი, ეროვნული კატასტროფის საშინელი ხვედრის თავიდან აცილების ერთადერთი სწორი გზა ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკის მოდელზე ქვეყნის გადაწყობაა! არცერთი ქვეყანა, გარდა საქართველოსი, დემოგრაფიული პოლიტიკას არ უგულებელყოფს. პირიქით, სწორედ დემოგრაფიულ პოლიტიკას ემყარება ამ სახელმწიფოების საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი — ეკონომიკაც, თავდაცვისუნარიანობაც, საფინანსო და სოციალურ-კულტურული პოლიტიკაც...

... ქვეყანას არა აქვს სტრატეგიული განვითარების პროგრამა და არც ექნება, ვინაიდან დემოგრაფიული პოლიტიკის უგულებელყოფის შემთხვევაში, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამის შემუშავება სრული უაზრობაა, რადგანაც სწორედ დემოგრაფიული ვითარება განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებებს (ჩინეთისაც და გერმანიისასაც).

ბატონო ბიძინა!

ქვეყნის ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „მოღვაწეობამ“ საქართველოს და ქართველ ერს წაართვა აღმშენებლობის უფლება, ხოლო ქართველების გარეშე საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგება. თორემ იცოცხლე, ამ მადლიან და ღვთითკურთხეულ მიწაზე ბიზნესიც განვითარდება და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოც ჩამოყალიბდება, ოღონდ ეს არ იქნება ქართველთა სამშობლო, ქართული სახელმწიფო!

არც ერთი ერი არ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ სამშობლოს დავკარგავთ. პასუხისმგებლობა მხოლოდ ქართველ ერს აკისრია!





ასე რომ, სინგაპურიზაციის ის გეგმა, რაც სააკაშვილმა დააბრეხვა, ჩვენი ერის, ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ფაქტია.

რა ნახა ამ უნახავმა იმ სინგაპურში, ასე რომ ყბაღია დარჩა, ხოლო ჩვენ ამ ნახევარი საუკუნის წინაც ვიცოდით, რომ სინგაპურის მოსახლეობის (ტერიტორია 581,5 კვ.კმ. მოსახლეობა 2,1 მლ. კაცი: 1971 წლის აღწერით) 76,2 პროცენტი ჩინელები, 15 პროცენტი მალაიზიელები, 9 პროცენტი ინდოელები შეადგენდნენ, ხოლო 4 სახელმწიფო ენაა აღიარებული: ჩინური, ტამილური, მალაიზური და ინგლისური.

ჩვენ ქართველებმა რამდენი ენა უნდა ვაღიაროთ სახელმწიფო ენად?!

ქართველებს უპირველეს დემოგრაფად მეფე ფარნავაზი გვესახება, რომელმაც სახელმწიფოს ერთიანობის ქვაკუთხედად, სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა!

ამ საკითხში არც წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) შეშლია რამე!

* * *

ქართული ეროვნული მოძრაობა მხოლოდ აქციებით ან ბრძოლებით არასოდეს გამოხატულა.

მას ქართული გონი ამზადებდა და ასაზრდოებდა.

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას გააჩნდა და გააჩნია ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმაც და მიზანდასახული პროგრამებიც, რომელიც თავისუფლად თავსდება საქართველოს აღმშენებლობის ყველა შესაძლო ვარიანტში, ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის პირობებში.

და არა მარტო უჯრებში!

იგი ქვეყნის საკანონმდებლო აქტებითაა განმტკიცებული და აღიარებული, ხოლო საკანონმდებლო აქტები და ქვეყნის კონსტიტუციაც როგორ მოირგეს ნაცმოძრაობის რეფორმატორებმა, ქვეყანა ხედავს.

ქართველი ერის გენოციდი, ქართული მიწების, ქონების, სიმდიდრისა და დოვლათის ასე უსინდისოდ გაყიდვა, ძარცვა და მიტაცება ე.წ. რეფორმატორების დაჯგუფების მთავარ ამოცანად იქნა დასახული და წარმატებით ახორციელებენ კიდეც სამართლებრივი დაუსჯელობის სრული იმედით!

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებული საკანონმდებლო აქტები კი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ და აქეთ ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი აღორძინების საშვილიშვილო საქმეში. ხალხს ხელიდან გამოაცალეს.

ბატონო ბიძინა!

მოკლედ შეგახსენებთ ამ საკანონმდებლო აქტებს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებულია „ქართლის დედის“ საპატიო წოდება, რომელიც ენიჭებათ დედებს, რომელთაც აქვთ მტკიცე ოჯახი, შობეს და სამშობლოს აღუზარდეს მაღალი ზნეობის შრომისმოყვარე შვილები.

საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 თებერვლის დადგენილებით „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება დარჩა, როგორც ქვეყნის ერთადერთი საპატიო წოდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1990 წელს მოიწონა და უზენაეს საბჭოს წარუდგინა „მშობელთა დიდების“ ორდენის დებულება.

1990 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა, ხოლო საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 2 მარტის დადგენილებით დაწესდა „დედის დღე“.

ვიმეორებთ, ყველა ეს საკანონმდებლო აქტია და მისი იგნორირება დანაშაულია ქვეყნისა და ერის წინაშე.

მაგრამ ამ ხელისუფლების ერიცა და ქვეყანაც ფეხზე ჰკიდიათ!

ბატონო ბიძინა!

თქვენი გადაწყვეტილება, სათავეში ჩაუდგეთ საქართველოს ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიის, სამართლიანობისა და კანონიერების აღორძინებისათვის, ერისა და ბერის თანადგომას და თავგანწირვასაც თხოულობს.

ამას, უპირველესად, ჩვენი ერის, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს!

დემოგრაფიულ მოძრაობას — ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია თქვენი განცხადება რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ.

რუსეთმა თავისებურად დაიწყო ჩვენთან თანამშრომლობა სწორედ დემოგრაფიული პოლიტიკის სფეროში, როდესაც რუსეთის ორივე პრეზიდენტმა ვ.პუტინმა და დ.მედვედევმა სრულიად უცერემონიოდ გადაიღეს და საკანონმდებლო აქტებად აქციეს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების უდიდესი ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილი დემოგრაფიული პოლიტიკის სტრუქტურები და მოდელები, მათ შორის „მშობელთა დიდების“ ორდენიც.

მაშასადამე,

ქართული დემოგრაფიული აზროვნება სრულიად სწორ გზაზე დადგა მაშინ, როდესაც რ. მალთუსისა და კ.მარქსის (მათ მიმდევართა) შეხედულებანი დემოგრაფიის სფეროში.

ბატონო ბიძინა!

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის სტრატეგიული გეგმის შემუშავების საშვილიშვილო საქმეში და სწორედაც რომ დემოგრაფიული პოლიტიკის თვალთახედვით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს ადგილსა და როლსაც საერთო ეროვნულ მოძრაობაში და თქვენს მრჩეველთა საბჭოშიც თვალნათლივ ვხედავთ.

ერის სამსახური კი არავისგან არვისთვის დასამადლებელი არასოდეს ყოფილა.

**ულრმესი პატივისცემით**
**ილია ბეგიაშვილი**
**საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მოგზაურობა სამშობლოში





ძალისი. ანტიკური ტაძრისა და აბანოს იატაკის მოზაიკა

# priske da osi mwyemsi

## მუხრანი

### ძალისი

წილკანი IV საუკუნიდან გახდა მცხეთის ჩრდილოეთით არსებული ქართლის კულტურულ-რელიგიული ცენტრი, მანამდე კი ელინისტურ ეპოქაში, ამ ფუნქციას ძალისი ასრულებდა. ძალისი წილკნიდან ჩრდილო-დასავლეთით 3-4 კილომეტრშია და რამდენადმე მცირე დასახლებაა. აქ განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი II საუკუნის კომპლექსი: ტაძარ-სასახლე და აბანოები. ეს კომპლექსი რაღაცით რომაულ თერმებს მაგონებს და სავარაუდოდ ფარსმან ქველის დროინდელად მიმაჩნია. იბერიამ მკვეთრი დასავლური ორიენტაცია ხომ მაშინ აირჩია. ძეგლის უმთავრესი ღირსება 12 ფერის კენჭით გაწყობილი მოზაიკური იატაკებია. აბანოში, რომელიც ცივი და ცხელი განყოფილებებისგან შედგება, ჩვენ ვხედავთ დელფინის თავს, თევზებსა და ბადეს, ვარდულებსა და გეომეტრიულ ორნამენტებს, ტაძრის დარბაზში კი ღვთაება პანის ჩლიქებიან გამოსახულებას და ორ ცნობილ მითიურ პერსონაჟს: დიონისეს და არიადნეს. არიადნეს ხელში სიუხვის ყანწი უპყრია, დიონიეს კი მისთვის მარჯვენა გადაუხვევია. ერთი სიტყვით, დიდ ლხენაში არიან. ამ მითოსური წყვილის თავზე გამოსახულია ორი მანდილოსანი, რომელთაც სხვადასხვა ებანი უკავიათ. აქვეა ე.წ. ქტიტორული ლათინური წარწერა, რომელიც მხატვარ-დეკორატორს გვაცნობს: „გაიხსენე პრისე, რომელმაც ეს გააკეთა“. ეს მეორე უცხოელი ოსტატია, რომელმაც თავისი სახელი დაგვიტოვა. პირველი ანტიკური მცხეთის ხუროთმოძღვარი აქოლისია.

ოცი საუკუნის შემდეგ ჩვენ დღესაც გვახსოვს აქოლისიც და პრისკეც.

### ქსოვრისი

მუხრანის ველის უკიდურეს ჩრდილოეთ–დასავლეთში სოფელი ქსოვრისია (მანამდე ტყვილიანას ქედის კალთებში პატარა სოფელი ერედაა). იგი ძალისიდან 8, წილკნიდან კი 12 კილომეტრშია და დასავლეთიდან მდინარე ქსანი ჩამოუდის. ერთ-ერთმა ასურელ მამამ ისე წილკნელმა სწორედ აქედან გაიყვანა რუ წილკანში (სარწყავი არხი მერეც გაითხარა ქსნიდან, მაგრამ იგი მხოლოდ ძალისამდე აღწევს). ცალკე ამ რუს გაყვანის ამბავი და ცალკე ის, რომ მეზობლად მდებარე ძალისი ანტიკური ხანის დასახლებაა, ერთ რამეზე მიგვანიშნებს: VI საუკუნეში რუს სათავეში აუცილებლად იქნებოდა მოზრდილი დასახლება. რამდენადმე მოგვიანებით არაბი ისტორიკოსი ბელაძორი აკი ისე საუბრობს ქსანზე, როგორც დიდ დასახლებაზე – სხვა მხარეებთან ერთად, არაბებმა ქსოვრისიც დაიმორჩილესო.

XVI საუკუნიდან ქსოვრისი წილკნელი ეპისკოპოსის სამწყსოში და მუხრან-ბატონთა სათავადოში შედის, თუმცა მის ერთ ნაწილზე ქსნის საერისთავოც აცხადებს პრეტენზიას. ამ მხრივ აქტიურობას იჩენენ ერისთავთა განაყოფი გვარის – რატიშვილების წარმომადგენლები – ელიზბარაშვილები და გლურჯიძეები. XVIII საუკუნიდან მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობენ რატიშვილები, რომელთაც ამის უფლებას ლეკთა წინააღმდეგ ხმალჩაუგებელი ბრძოლა აძლევს. როგორც იოანე ბატონიშვილი წერს, ქსნის ხეობაში მოსახლე ეს რატიშვილები ადრე ჟამურის ხეობაში ბატონობდნენ და ისეთივე თავადები იყვნენ, როგორც ქვენიფნეველ-ბიბილურები. 1569 წლის მერე, რაც ბიბილურები ერისთავები გახდნენ, რატიშვილები ჩვეულებრივი აზნაურებად დარჩნენ და ქვევით ჩამოსახლდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-მ ერთ-ერთ რატიშვილს ბეჟნის საპატიო წოდება მისცა და თავადობა დაუბრუნა. თავის მხრივ რატიშვილების განაყოფი გვარია შალვასშვილები, რომლებიც აზნაურებად დარჩნენ. ასე ჩამოყალიბდა სამუხრანბატონოში ახალი სათავადო ცენტრი. სწორედ ამ დროს არის აშენებული ქსოვრისში მოზრდილი ციხე-დარბაზი თავისი კარის ეკლესიით. ამჟამად XVIII საუკუნის სასახლე მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია ეკლესია, გალავნის ფრაგმენტები და მაღალი, ორსართულიანი (13 მ.) კოშკი. კომპლექსის წინ რატიშვილების სასაფლაოა. ქსოვრისში მეგზურობა ერთმა კეთილშობილმა მოხუცმა ვალიკო მახარაშვილმა ითავა, რომელიც გარეგნობით ცნობილი ჯარისკაცის მამას გიორგი მახარაშვილს წააგავს. ქსოვრისის ციხე-დარბაზის შემდეგ იგი გაცილებით ძველ ტაძრისკენ – ჯვარიპატიოსნისკენ გაგვიძღვა. ეს ტაძარი, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრში, თელოვანად წოდებულ ადგილზეა აგებული და გალავანში ზის. გალავანი გვიანი შუასაუკუნეებისაა და აღდგენილია. ასევე აღდგენილია VIII-IX საუკუნეების ტრიკონქის ტიპის ტაძარი, რომელსაც შიგნიდან ნალისებრი და გარედან შვერილი ფორმის აფსიდი აქვს. აფსიდებით სრულდება სამკვეთლო და სადიაკვნო ოთახებიც, რომლებშიც საკურთხევლის ბემიდან შეიძლება მოხვედრა. ეს ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (9,7X10,5 მ.) კახეთის რომელიმე მთავრის (ქოროკოზის) დროს რომაა აგებული, ამას სამშენებლო მასალაც ცხადყოფს: კედლები ამოყვანილია კარგად შერჩეული რიყის ქვებით, კუთხეები და დეკორატიული თაღები კი ქვიშაქვის და შირიმის გათლილი კვადრებით.

მართალია ინტერიეში არსებული მხატვრობა მიმქრალია, მაგრამ იგი ერთ-ერთი უადრესია. საკურთხევლის აფსიდის სარკმლის ორსავ მხარეს, ნაცრისფერ ფონზე, გამოსახულია მოციქულთა ფრესკები.



ქსოვრისი. თელოვანის „ჯვარიპატიოსანი“

### ლამისყანა

ლამისყანა ქსოვრისიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქსანგალმა სოფელია. იგი ერთხანს მუხრანბატონებისა და ქსნის ერისთავების ცილობის საგანი იყო, მას შემდეგ კი, რაც ქსნის საერისთავო გაუქმდა, XVIII საუკუნის ციხე-გალავანი ერისთავთა სიძეს, ნინო თორნიკეს ასულის მეუღლეს, ივანე ორბელიანს მოზრდილ სასახლედ გადაუკეთებია და წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესიაც აღუდგენია. ამ ეკლესიის გარდა სოფელში არის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც თავდაპირველად ჩვეულებრივი, მცირე დაბაზული საყდარი იყო, მაგრამ მერე ჩრდილოეთიდან ტყუპისცალივით მიუდგამთ მეორე საყდარიც.

ახლანდელმა ლამისყანამ ჩრდილოეთით მდებარე ის პატარა სოფელიც შეიერთა, რომელსაც ირტო ერქვა და რომლის წყაროდანაც 1728 წელს დავით გურამიშვილი გაიტაცეს დაღესტნელმა მეკობრეებმა. რაკი ლეკებისაგან არც მერე ჰქონდა მოსვენება ამ მხარეს, მამა-შვილმა თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა იქვე, ქსანს გაღმა არსებულ მსგავსი სახელწოდების სოფელ ილტოზაში საგანგებო სამდევნო სამსახურის ქვედანაყოფი ჩააყენეს.

### ბენისი

ჩვენი გადამღები ჯგუფი ლამისყანიდან დასავლეთით მდებარე ხვითისაკენ დაიძრა. ნასოფლარ ბენისისკენ მივეშურებით, სადაც ერთი ძველთაძველი ეკლესია გვეგულება. 2-3 კილომეტრის შემდეგ მინდორში მცირე ბორცვზე შემომდგარ რაღაც ნაგებობას ვამჩნევთ შორიდან და გეზს იქით ვიღებთ. შუა გზაზე ორი მწყემსი გვხვდება. ერთი, ცხენოსანი რომაა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მანქანის გვერდით აღმოჩნდა, მეორემ – ქვეითად მავალმა შორიდან გვკიდა თვალი და ჩვენკენ მორბის. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცია, მწვანე მუშამბის სამხედრო ლაბადიდან ვენახის საფრთხობელასავით იქნევს უსაშველოდ გრძელ მკლავებს და ყვირის:

– აი, თქვენი წირიმე! აი, თქვენნაირი ხალხი მიყვარს!... აი, თქვენ გენაცვალეთ რომ ნახეთ!...

სანამ მოგვიახლოვდა, ცხენოსანი მწყემსი გვიხსნის:

– არ გეწყინოთ, ერთი შერეკილი ოსია, ცალ-ცალ თხასა და ცხვარს დასდევს. ისეთი ცოლი ჰყავს, შინ არ დაედგომება...

– აი, თქვენი წირიმე, – მოგვიახლოვდა მწვანელაბადიანი მოხუცი, – ნახე როგორი ეკლესია აქვს. ბერძნული სიტყვები წერია მაგაზე, სენი წირიმე!...

– ვნახოთ, – ვეუბნები მისალმების შემდეგ და შემაღლებულზე მდგარი ეკლესისკენ მივყვები.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნაგებია რიყის ქვითა და შირიმის თლილი კვადრებით (კონსტრუქციულ ნაწილეში). საკუთრეხევლის აფსიდი და ტრიუმფალური თაღი ნალისებრი მოყვანილობისაა. ორივე კარი – სამხრეთსა და დასავლეთისა გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანია. დარბაზი ვიწრო და სიმაღლეზე ორიენტირებულია. თაღების ქვებზე მოწითალო საღებავით სხივებია დახატული. სარკმლები ვიწრო და თაღოვანია. VIII-IX საუკუნეების ე.წ. კახური ხუროთმოძღვრების ნიმუშია. გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილოეთიდან კიდევ უფრო ვიწრო სამლოცველო მოუშენებიათ, სამხრეთიდან კი ორსართულიანი სამრეკლო. ყველაზე უფრო საინტერესოა აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე, ჩასმული წენგოსფერი ქვიშაქვის ფილები, რომლებზეც გამოსახულია ღვთისშობელი ყრმა იესოთი, ქტიტორი ეკლესიის მაკეტით და ანგელოზები. ეს ფილები ოდნავ გვიან უნდა იყოს ჩასმული კედელში, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამაა – იგი აჭრელებულია ქართული ნუსხური ასოებით. ასოები ძალიან დაუდევრადაა ამოკვეთილი და ბევრი მათგანი დამდნარია. შინაარსის წაკითხვა შეუძლებელია.

– ეს ბერძნული კი არა, ძველი ქართული წარწერაა, – ვუხსნი მწყემსს და ცალკეული გრაფემების შესაბამის ბგერებს ვეუბნები. იგი ყურადღებით მისმენს, მიჯერებს და შემდეგ ისევ ყვირის. არა, მე კი არ მიყვირის, არამედ ზოგადად ბრაზობს ადამიანებზე:

– რატო დაანგრია, სენი წირიმე, რა ხელი უშლიდა. ქვები სად წაიღო. ამაზე კარგი ვინ ააშენოს რამე? მაშ, ეს საქმეა? ყოფილიყო თავისთვის, ვის ხელი უშლიდა? ვაი, ვაი!... აქ, ზევით, ქვევით, მაღლა, დაბლა სულ ეკლესიები, ეგეთი ქვებია. ძალიან ძველი. ვაჰ!... ვაჰ!...

ნეტავი, ყველა ასეთი შერეკილი იყოს, შერეკილი კი არა, ყველა ჩვეულებრივი კაცი ასე წუხდეს ტაძართა ბედით! – ვფიქრობ და თვალს ვერ ვაცილებ მწვანელაბადიანს, ვეება ხელის მტევანში ჩხირივით რომ მოუჩანს კეტი. გარეგნობით ტიპიური ოსია – მოუსვენარი თვალები, ჟღალი წვერი, დამჭკნარი, მაგრამ ფართო ყვრიმალები...

მისი უშორესი წინაპრებიც მწყემსებად მოვიდნენ ჩრდილოეთიდან, მაგრამ ყველა ამ მოხუცივით კეთილი როდი აღმოჩნდა. იჩოჩეს, იჩოჩეს და ჰა, რუსთა დახმარებით, ოძისამდე ტერიტორია მიითვისეს. იქ არათუ ტაძარი და ნებისმიერი გალავანია ქართული, არამედ რიყის უბრალო ქვაც. წარმოიდგინეთ, ახლა ისიც ვერ მომიხერხებია, რომ წარმოსახვითი მოგზაურობის მარშრუტიც კი რაიმე ლოგიკას დავუმორჩილო: ხეობათა ერთი ნაწილი აქეთაა, მეორე ნაწილი იქით – ოკუპირებულ ზონაში, სადაც ახლა ცხვირსაც ვერ შეყოფ. კიდევ კარგი, რომ 2002 წლიდან 2004 წლამდე ასე თუ ისე თავისუფლად შევძელი სამაჩაბლოს ძეგლების გადაღება, ხოლო 2008 წლამდე ქსნის ხეობის შემოვლა, რომელიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შედიოდა.

...ბენისიდან ხვითში, ხვითიდან კი ლამისყანაში ვბრუნდებით. ოძისში გადავდივართ.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

ბენისის „ღვთისმშობელი“ და მისი რელიეფი





ჩვენ გამოვიარეთ საბჭოეთი.

ახალგაზრდები ვიყავით და ვიბრძოდით თავისუფალი საქართველოსთვის.

საბჭოეთი ჩაბარდა წარსულს, მასთან ერთად ჩვენი — ილუზიებიც თავისუფალ საქართველოზე, ეტყობა, საბჭოეთთან ერთად დაინგრა და დაიმარხა...

სად და როდის შევცდით, ძნელი სათქმელია...

რომ შევცდით, იმის აღიარებაც გვიჭირს.

ჩვენ რევოლუციურ ეიფორიაში ვიყავით...

გვეგონა, ჩვენი უფროსი თაობა, ანუ მამები ხელისუფლების ინტერესებს იცავდნენ და ჩვენს თვალში ისინი კორუმპირებულები იყვნენ.

ცუდად შემოგვიბრუნდა.

„ვარდების რევოლუციამ" იმდენი მოახერხა, ჩვენი შვილების თაობა, ანუ ჩვენი მომავალი დაგვიპირისპირა.

სამწუხაროდ, ხელისუფლებაზე მეტად ხელისუფლების ინტერესებს ისინი იცავენ. არც კორუმპირებულობა აკლიათ (ნაციონალური ბანაკები მოდერნიზებული კომკავშირის სახით თუ უნივერსიტეტების თვითმმართველობები). მათი გულგრილობა და ინდიფერენტიზმი ყოველგვარი ეროვნულობისადმი უსაზღვროა.

გასახსენებლად მარტო ამ წლის 26 მაისის მოვლენები კმარა.

ახალგაზრდობას, ვისი უპირველესი მოვალეობა იყო საკუთარი ქვეყნისა თუ მშობლების დაცვა, რბილად რომ ვთქვათ, მშვიდად ეძინა იმ ღამეს... მშვიდი ძილი ჯანმრთელობისთვის კარგია, მაგრამ არა დაქცევამდე მოსული ქვეყნისთვის!

რაც პოლიტიკაში გვაქვს წინსვლები და მიღწევები, იმის ადეკვატურია დღევანდელი ლიტერატურა, ხელოვნება...

რა ხანია არ ჩანს კინო, სპექტაკლი... მწერლის დაწერილი წიგნიც (ლექსი, მოთხრობა, რომანი, კრიტიკული წერილი) გაიშვიათდა...

წიგნის გამოცემა იოლია...

მამა, ბიძა, ნათლია ან შეძლებული მეგობარი გამოგიჩნდება და წიგნს დაგიფინანსებს, მერე ადგები, შენს ახლობლებს ჩამოურიგებ შესაფერისი წარწერით და პოეტის სახელი გარანტირებული გაქვს.

მსგავსი პოეტები მოგვიმრავლდნენ.

წიგნის ბაზარი გადაძეძგილია მსგავსი ავტორებით.

მათ (როგორ ვთქვა, სამწუხაროდ!) მკითხველიც ჰყავთ.

მარტო ოთხასამდე პოეტია მწერალთა კავშირის წევრი. აქედან რამდენია მართალი პოეტი, ნათელი სათქმელია, მაგრამ ნახევარზე მეტს პოეზიასთან არაფერი აქვს საერთო, ეს ყველამ და, რაც საკვირველია, თავად მიმღებებმა მშვენივრად იციან. რა პრინციპია ეს, მომკალით და ვერ ვხვდები. მიღება, ანუ მწერლად კურთხევა კვლავ გრძელდება, მთავარია, განცხადება დაწერო, ლექსის ქონა არ არის მაინცდამაინც აუცილებელი.

ამ რამდენიმე წლის წინათ მე და



# leqsebs poetebi weren!

პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ფოთში მიგვიწვიეს. ჩავედით. ქალაქის მერიის ღონისძიება იყო, რომელიც პრესტიჟულ სკოლაში თუ მოსწავლეთა სასახლეში დამწყებ პოეტებს შეგვახვედრეს. ჩვენ, როგორც სტუმრები, პრეზიდიუმში ვზივართ შემფასებლებად. გამოვა მეხუთე-მეშვიდე-მეათე კლასის მოსწავლე, წაიკითხავს ორსამ ლექსს (?!), მერე საჩუქრად დაგვიდებს საკუთარ წიგნს ცალკე ვახტანგს, ცალკე — მე მაგიდაზე შესაშური წარწერით. ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა საღამო. ათ-ათი წიგნი დაგვიგროვდა და ხელოვანის მოზრდილი პარკები დაგვჭირდა მოგვიანებით. მთავარი ის არის, ზოგიერთი ისეთი ძვირადღირებული გამოცემა იყო, ბევრ კლასიკოსს ხომ არ ღირსებია ცხოვრებაში. მახსოვს, ვახტანგს გადავუჩურჩულე, ამათ უკვე დაუმთავრებიათ მწერლობა და ჩვენ რა შევაფასოთ-მეთქი.

ჩვენც სტუმრის სტატუსი დავიცავით, არც მწვადი დავწვით, არც შამფური...

კარგია, რომ ბავშვი ლექსებს წერს და, ვთქვათ, ქვებს არ ისვრის, ფანჯრებს არ ამტვრევს სკოლაში... მაგრამ თუ პოეტად არ არის მავანი დაბადებული, მასში პოეზიის სიმი არ კრთის, უნდა დავფიქრდეთ, ძალიან დიდ ცოდვაში ხომ არ ვდგამთ ფეხს მისი მომავლის წინაშე.

ეტყობა, მეტნაკლებად ყველა ვცოდავთ.

არადა, ლამის ნახევარი საქართველო ლექსს წერს.

ლექსს წერს ყველა, ვინც წერა იცის და ვინც არ იცის.

ვიღაცამ ხელიც გაიწაფა, ლექსის ავანჩავანი ისწავლა. გალაკტიონისა არ იყოს: „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი..." ისეთი ლექსი, გენიოსი პოეტი რომ წუხს, სანატრელია, იშვიათად ჩანს.

მეორე უბედურებაც არის. რახან შთაგონება ეწვია და დაწერა, მერე გადაათეთრა და დასაბეჭდად მიიტანა, უკვე პრეტენზიაა. შემოქმედია, პოეტი, სულ ცოტა, ახალი სამყაროს აღმომჩენი.

სხვა რამეშიც არის პრობლემა.

ლექსის კარგი მცოდნე, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ექსპერტი ძალიან ცოტა მეგულება. შეიძლება რამდენიმე ათეული იყოს საქართველოში. მიუხედავად იმისა, მთელი ცხოვრება ლექსების კითხვა მიწევდა და მიწევს, ამ ერთეულებში ჩემს თავს მაინც ვერ ჩავთვლი.

ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა ერთი გამორჩეული, ნიჭიერი ქართველი კაცი ნიკო გომელაური. ვიცნობდი, მის გასვენებაში ვიყავი. დიდუბის ეკლესიიდან გამოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. ეკლესიის ეზოში ვიდექით მსახიობები, მწერლები, ნაცნობ-უცნობები. აზრი ორად იყო გაყოფილი. ვიღაცამ განხეთქილების ვაშლი გამოაგორა — როგორც მსახიობს ერგო ეს პატივი თუ როგორც პოეტსო. ჩუმად ვიდექი,



მისი ცნობილი ლექსი-ჰიტი მქონდა აკვიატებული: ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, ჯონდომ ბონდო დააორსულაო... მიმიხვდებით, იმაზეა საუბარი, კაცმა კაცი რომ დააორსულა. ახლახან „რუსთავი-2"-მა თუ „იმედ-
რიამ" უჩვენა რომელიღაც ქვეყანაში სარეცელზე მწოლიარე ფეხმძიმე მამაკაცი. მადლობა ღმერთს, ჯერ ჩვენთან ეს ფაქტი არ შემდგარა. ერთ-ერთმა მსახიობმა პანთეონიდან გამოსვლისას მკითხა, როგორც „ცისკრის" რედაქტორს, ალბათ: რა აზრისა ხართ ცხონებულის პოეზიაზეო? რაიმეს თქმა გამიჭირდება-მეთქი. როგორო? — გაუკვირდა.

რაღაცა გამახსენდა და მოუყევი.

ცნობილი მხატვარი კორნელი სანაძე ლექსებს წერდა. თავად ბატონ კორნელს აქვს რომელიღაც მოგონებაში აღწერილი და რახან ვერ ვპოულობ, ჩემი ინტერპრეტაციით მივყვები: ადრიანი დილაა. მწერალთა კავშირის ბაღში ზის ბატონი კორნელი, ვიღაცას ელოდება, სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტია, თან ლექსებსაც წერს. ბაღში გალაკტიონი შემოვიდა. სულ რამდენიმე წლით არის გალაკტიონი უფროსი, მაგრამ იცის, რომ ის უკვე „მეფე-პოეტია". პოეტი მის გვერდით დაჯდა, ისიც ვიღაცის მოლოდინშია. ახალგაზრდა მხატვარი აწრიალდა, მისი გაცნობა უნდა, თან ახალდაწერილი ლექსი ეწვის ჯიბეში. ვერ მოითმინა და წარუდგა — მხატვარი კორნელი სანაძეო. მხატვარი ხარ, ძამიკო! — გაეხარდა გალაკტიონს. მე, ბატონო გალაკტიონ, მარტო მხატვარი კი არა, პოეტიც ვარო! — გაუთამამდა. მიდი, ძამიკო, წამიკითხე, აბა, ლექსი... ისიც ადგა და მთელი რიხით წაუკითხა. — ამ დონის მხატვარი ხარ, ძამიკო? — მოიღრუბლა გალაკტიონი.

ბატონ კორნელს არ შეუწყვეტია ლექსების წერა. რამდენადაც მახსოვს, წიგნიც დასტამბა, არც ისე ურიგო ლექსებია, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ის უფრო დიდი და გამორჩეული მხატვარია, ვიდრე პოეტი.

დავასრულე.

— რა დაუნდობლები ხართ მაინც მწერლებიო, გამინაწყენდა მეგობარი მსახიობი.

ახლაც ასე ვფიქრობ, ჩემთვის ნიკო გომელაური კოლორიტული ქალაქელი ბიჭი და ნიჭიერი მსახიობია, ვიდრე...

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!...

პოეტად წარმოჩენის, პოპულარობის სხვა ხერხებიც არსებობს.

ვიღაცისთვის მისაღები, ვიღაცისათვის — არა.

ვიცნობ პოეტსა და პროზაიკოსს დავით გოგიბედაშვილს, ადრე „ცისკარში" მოჰქონდა ლიტერატრული ესეები, განათლებული კაცია. ნაციონალურ არხებზე ხშირად ჩანს, ვიგებთ, რომ მოგზაურობს ევროპულ ქვეყნებში, ამერიკაშიც. პოეზიის საღამოებში მონაწილეობს, ერთგან ინგლისურად წაიკითხა საკუთარი ლექსი. კარგია, ინგლისურს რომ ფლობს. შეიძლება ინგლისურად უკეთესად გამოსდის წერა, შეიძლება თარგმანიც იყო. ნობელის პრემიაზეც წარუდგენია ვიღაცას, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? იქნებ იმისი იმედი აქვს, ინგლისურიდან თარგმნის სკოლა ძლიერია ჩვენში და ვინმე გადმოთარგმნის, ისე ხომ არ დაგვტოვებს, მე რაც ქართულად მაქვს წაკითხული, იმაზე ვიტყვი: წამიკითხავს, მაგრამ აღფრთოვანებული არ დავრჩენილვარ. წერს... არც ეს არის ტრაგედია, ჩვენში ვინ არ წერს... სხვა ხიბლი აქვს ევროპაში აღიარებას!... იქ აღიარებულ პოეტს აქ ხომ არ დაიწუნებ. ჩვენ ხომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, თუ უცხოეთიდან არ მოგივიდა აღიარება, კაპიკია შენი ფასი... ამ ეჭვს ისიც ბადებს, ახლახან გვარიც შეიცვალა პოეტმა... პოეტი დავით დეფი გახდა. ეს მისი უფლებაა, რაც მთავარია, მოკლე გვარი იოლად ამახსოვრდებათ იქ...

ამასთან დაკავშირებით სხვა ვარიანტს გავიხსენებ.

ერთი ჩემი თაობის პოეტი მახსოვს, გელა კიკოლაშვილი, საინტერესო, ნიჭიერი კაცი. გრანელის პოეზიაზე ჰკარგავდა ჭკუას, სულ მისი წიგნი ეჭირა ხელში. გლდანში ცხოვრობდა, კერძო სახლში, ხშირად ვსტუმრობდით მეგობრები. ამ რამდენიმე წლის წინათ ბუკინისტურ წიგნებს ჰყიდდა რუსთაველზე, მერე საერთოდ გაქრა, ველარ ვხვდები. შეიძლება რამე სხვა ხელობა იპოვა, რაც დასანანია.

მოკლედ, გელა კიკოლაშვილმა ყმაწვილკაცობაში გვარის შეცვლა გადაწყვიტა, მამას განუცხადა. — რა გვარს ირჩევო? — სახე მოეღრუბლა ბუხართან მიფიცხებულ მამას. — უკვე ავირჩიე გრანელიო! — მიუგო. — ეს რა გვარიაო? — იყო ასეთი პოეტი — ტერენტი გრანელიო! — ერთი შენი და შენი ტერენტის დედაცო... შვილს და ცოლს ცეცხლმოკიდებული მუგუზლით გამოეკიდა.

გელას საყმაწვილო სენმა გაუარა და დარჩა კიკოლაშვილად და კარგ პოეტად.

მე ასე ვფიქრობ.

. . .

შამილმა აკრძალა ლექსის წერა.

მე ომი მაქვს. ვინც ლექსს დაწერს, სიკვდილით დაისჯებაო.

ნაიბებმა მორიდებით უთხრეს, ეს არ გამოვაო...

ვინც ამ კანონის შემდეგ დაწერს, ის არის პოეტიო.

* * *

გამოდის, არც კანონი შველის ლექსს და არც უკანონობა.

იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ლექსს პოეტები წერენ.

ცუდი ის არის, რომ პოეტები გაგვიიშვიათდნენ...

**ზაურ კალანდია**

## ალექსანდრე თვალჭრელიძე: საქართველოს განხილვა იტალიის ან სხვა მსგავსი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ალტერნატივად, აბსოლუტურად არასწორია

ეკონომიკის ექსპერტ ალექსანდრე თვალჭრელიძეს დღეს პარლამენტში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ გაკეთებული განცხადების სისწორეში ეჭვი ეპარება. როგორც ალექსანდრე თვალჭრელიძემ "მედიანიუსს" განუცხადა, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ბიზნესში ფულს დებენ, თუმცა გადაჭარბებული იქნება, თუ მათ ინვესტორებს ვუწოდებთ. „სიტყვა „ინვესტორი" საქართველოში არასწორად გვესმის. რა თქმა უნდა, ფულის ჩამდები ხალხი აქაც არის, მაგრამ როგორც ინვესტორი, ნაკლებად. ინვესტიცია არის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდის ყიდვა, ჩვენთან კი ასეთი საერთაშორისო ბირჟა არ არსებობს. მე ნამდვილად არ მჯერა, რომ ბიზნესმენების მიერ საქართველოსადმი დაინტერესება 1000-ჯერ არის გაზრდილი. რასაკვირველია, ჩვენ ქვეყანაში რაღაც თანხები შემოდის, მაგალითად, ენერეგიტიკის სფეროში იმიტომ, რომ ენერგეტიკა საკმაოდ კარგად იმართება, მაგრამ სხვა სფეროებში ინვესტიციების ხარისხი ბევრად დაბალია, განსკუთრებით მრეწველობაში", — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ იგი გილაურს არც იტალიასთან მიმართებაში გაკეთებულ განცხადებაში ეთანხმება. "იტალია ევროკავშირის წევრია, მე ჟურნალებს ვადევნებდი იქ განვითარებულ მოვლენებს და მინდა გითხრათ,



რომ არავითარი ინვესტიციების ვარდნა იტალიაში არ შეინიშნება, მეტიც - იტალიის კაპიტალური ბაზარი დაცულია და აქციების კოდირებაც ნორმალურია. მას შემდეგ რაც იტალიაში პრემიერი შეიცვალა, აქციების კოდირება კიდევ უფრო გაიზარდა. საერთოდ, საქართველოს განხილვა, როგორც იტალიის ან სხვა მსგავსი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ალტერნატივად, აბსოლუტურად არასწორია, იმიტომ, რომ დღეისათვის მსოფლიოში 50-დე კაპიტალური ბაზარი არსებობს, ინვესტორები კი სწორედ იმ ბაზრებზე ატრიალებენ კაპიტალს. ძირითადი ინვესტიციები მიდის საერთაშორისო კომპანიების აქციების შესყიდვაში", - განაცხადა თვალჭრელიძემ. შეგახსენებთ, რომ დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო დადებითად შეაფასა. მისი თქმით, საქართველოში კაპიტალდაბანდებით 100-ჯერ და 1000-ჯერ მეტი ინვესტორია დაინტერესებული. გილაურმა აღნიშნა, რომ ეს ინვესტორები ინვესტიციას ველარ ახორციელებენ საბერძნეთში, ეგვიპტეში, ე.წ. არაბული გაზაფხულის ქვეყნებში. პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, ინვესტორების ნდობა საქართველოსადმი უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იტალიისადმი.

**30 ნოემბერს, ოთხშაბათს, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართება შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატთან პოეტ ვახტანგ ხარჩილავასთან.**

**დასაწყისი 19.00 საათზე.**

**დასწრება თავისუფალია.**

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# rodemde SeiZleba dabrecili sarkiT Tavmowoneba!



*გაზეთის სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე ბატონი* ***კლიმენტი შელია.***

**— ბატონო კლიმენტი, ერთმა სომეხმა კაცმა მითხრა, რომ ნაპოლეონის დაცვის უფროსი, თბილისში დაბადებული სომეხი, რუსტამ ჰონანი იყო. ამის შესახებ უთითებს წყაროც, 1911 წელს ფრანგულად გამოცემული პაულ კოტინის (Kottin) წიგნი „ნაპოლეონის მამლუქები", თქვენ კი ამბობთ, რომ ქართველი, როსტომ (რუსტან) რაზმაძე იყოო...**

— მართლა სომეხი რომ ყოფილიყო, კი, ბატონო, მაგრამ ყოველივე ქართულის მითვისება რა უკურნებელ სენად შეეყარათ, თუმცა, ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებით" რომ იხელმძღვანელებ, რომელშიც კოლხეთი და იბერია ნახსენები არ არის და ქართველი ერის დამცირება-შეურაცხყოფისა და არმენთა წარსულის ხელოვნური განდიდების თვალსაჩინო ნიმუშია, რაღაზეა საუბარი.

**— ... და რა რჯიდა ლეონტი მროველს?**

— ვინ გაისარჯა ამ სიცრუის დამკვიდრებისთვის, არ ვიცი, მაგრამ სიყალბეს ხომ ვხედავთ? ლეონტი მროველი ამტკიცებს „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული", — წარმოგიდგენიათ? ახლა იმას შეხედეთ, თურმე, მაკედონელი ქართლშიც რომ ყოფილა „ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი... გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩანდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკვდარსა შეჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი".

**— რაზე მიანიშნებთ ბატონო კლიმენტი?**

— არ მივანიშნებ, პირდაპირ ვამბობ, — ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ვინ იყო ლეონტი მროველი და როდის მოღვაწეობდა, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ათონის ივერიის მონასტრის ერთადერთ ხელნაწერში, ნიკო მარის თქმით, მოხსენიებული ყოფილა „ლეონტი მროველი მთავარეპისკოპოსი", მაგრამ მის შესახებაც არანაირი ცნობა არ არის, ანუ ერთსა და იმავე პიროვნებასა და ერთსა და იმავე დროზეა საუბარი თუ არა. ასეა თუ ისე, ლეონტი მროველის თხზულებას ჩვენამდე იმ სახით არ მოუღწევია, როგორც თვით ავტორს უნდა დაეწერა. ამას გარდა, „ჩვენი ავტორი" უხვად სარგებლობს თხზულებით „ცხოვრება სომხითისა", რომელიც გრიგოლ პართელის ცხოვრებაა და ალბათ, იგივე წიგნი უნდა იყოს, რომელიც წოდებულია „მოქცევა სომეხთად".

**— „ქართლის ცხოვრების" და საერთოდ, ისტორიის გაყალბებაზე ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე ვისაუბრეთ და ახლა რატომ გაიხსენეთ ისევ...**

— ერთ რამეს გეტყვით და მიხვდებით, — 34 წლის წინ, 1977 წელს მარიამ ლორთქიფანიძე წერდა: „დავას იწვევს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა ურთიერთმიმართების საკითხი, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი, აგრეთვე ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მოღვაწეობის დათარიღება და სხვა... მაგრამ თითქოს უდავო უნდა იყოს ის, რომ XI საუკუნის ისტორიკოსები სარგებლობდნენ წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებით. შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად, თავის წინამორბედთა ნაშრომები თითქმის მთლიანად და უცვლელად შეჰქონდათ თავის საისტორიო თხზულებებში". 2011 წელს კი, ჟურნალისტის (ჟურნალი „სარკე" №30 გვ 11) კითხვაზე: „მეფეთა ცხოვრების„ ავტორ ლეონტი მროველზე რა არის ცნობილი?" ასეთ პასუხს იძლევა: „მეფეთა ცხოვრება" არამარტო საქართველოზე, სამხრეთ კავკასიაზე და სხვებთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საისტორიო ნაწარმოები. ახალგაზრდა უნდა იცნობდეს მას. რაც შეეხება ლეონტი მროველს, საქართველოს ისტორიაში ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, რუისის ეპისკოპოსი გახლდათ. როცა საქართველოს სელჯუკები შემოესივნენ, ყველა საეპისკოპოსოდან შეკრიბა მნიშვნელოვანი ხელნაწერები და ერთ-ერთ გამოქვაბულში გადამალა. ეს ძალიან დიდი რამ იყო. ქვაზე წარწერა აღმოჩნდა, სადაც წერია როგორ წამოიღო მან ეს ხელნაწერები, სად და როგორ შეინახა. ლეონტი მროველის საქციელი თითოეული ჩვენთაგანისთვის მაგალითი უნდა იყოს".

მინდა ვიკითხო, როდის ცრუობდა მარიკა ლორთქიფანიძე, 1977 წელს თუ 2011 წელს, როცა ამ სიტყვებს ამბობდა. იმას ვინ დაიჯერებს, რომ მარიკა ლორთქიფანიძეს „ქართლის ცხოვრება" არ წაუკითხავს, ან წაიკითხა და ისტორიის ვერანაირი გაყალბება ვერ შენიშნა...

**— აბა, რასთან გვაქვს საქმე?**

— რაც მოგახსენეთ, იმასთან!

**— კარგით, დავუბრუნდეთ როსტომ რაზმაძეს, მის წარმოშობაზე იგივე ინფორმაციას ვხვდებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ქ-ნ ირინე ნაჭყებიას წერილში „საფრანგეთ-სპარსეთის დიპლომატიური ურთიერთობები 1804-1810 წლებში და საქართველო".**

— სამწუხაროა, რომ განათლებულ ქალბატონს სხვა მრავალ დოკუმენტურ მასალასთან ერთად, გამორჩენია ლევ ტოლსტოის, მიხეილ ჯავახიშვილის, რაჟდენ გვეტაძის, თემურ მიბჩუანის და სხვათა ინფორმაციები რუსტამის შესახებ და მხოლოდ ვინმე კოტინს ეყრდნობა. ასე რომ მოვდგეთ და ისტორია ხან გადავაკეთოთ, ხან ცალკეული ფაქტები ვმალოთ, რას მივიღებთ, სიცრუეს, რაც კაცობრიობის წარმოშობის კვლევისგან აცდენას იძლევა.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის არცერთ ხელისუფლებას არ უნდა იმის „გახსენება", რომ ნაპოლეონი ბასკი იყო, თუმცა, როცა სჭირდებოდათ „კორსიკელ ურჩულს" უწოდებდნენ. ნაპოლეონის თანამედროვე წერს, რომ იგი საუბრისას ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვებში კავკასიური სისხლი ჩქეფდა და წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო. ამჟამადაც „ქართს" („ქორთუ") უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას ნაპოლეონის მოდგმის კორსიკელები. ნაპოლეონი „ქორთუ" იყო. მხოლოდ იქაურმა „ქორთუებმა" შეინარჩუნეს ჩვენი საერთო წინაპრებისეული მრავალხმიანი მუსიკა, კეთილშობილი ქცევა, სილამაზე...

**ნაპოლეონის კარის უფროსი გამრიგე კონსტანი** **იხსენებს:** „იმპერატორის მამლუქის სახელით ცნობილი რუსტანი კარგი ოჯახის შვილი იყო. საქართველოდან 6-7 წლისა მოუტაციათ და ქაიროში გაუყიდიათ. სრულწლოვანებამდე ისე იზრდებოდა, როგორც მონა, შემდეგ მამლუქი გახდა. ეგვიპტეში ლაშქრობისას შაჰმა იმპერატორს ძღვნად მიართვა რამდენიმე ბედაური და ორი მამლუქი, რუსტანი და იბრაჰიმი. ნაპოლეონმა რუსტანი თავის ამალაში დაიტოვა, ხოლო იბრაჰიმი, შემდგომში ალის სახელით ცნობილი, ჟოზეფინას მხლებლად გაამწესა. ნაპოლეონი უსაზღვროდ ენდობოდა რუსტანს, რომელმაც ერთხელ მტრის მოქნეული ხმალი ააცილა იმპერატორს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. მათი ურთიერთობა ახლო მეგობრულ-ნათესაური იყო და არა როგორც იმპერატორისა და დაცვის უფროსისა. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ რომანი „კლისონი და ეჯენი" ნაპოლეონის დაწერილი იყო. მან ცოლად შეირთო ჟოზეფინას კამერდინერის, დუვილის ქალიშვილი, რის შემდეგაც იგი ნაპოლეონის ამალაში აღარ ჩანს. 1827 წელს ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოწმედ ყოფნისას რუსტანმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ დაიბადა ტფილისში, 44 წლის არის და წარმოშობით ქართველია. როსტომ (რუსტან) რაზმაძე გარდაიცვალა 1845 წლის 7 დეკემბერს და დაკრძალულია ქალაქ დურდანში.

**— ბატონო კლიმენტი, ჩემს მიერ ნახსენებ წერილში ასეთი რამ წერია, ნაპოლეონი დაინტერესებული იყო, პირად გვარდიაში ქართველი მებრძოლები ჰყოლოდა, რადგან ეგვიპტეში ყოფნისას დარწმუნდა, რომ ისინი უკეთ იბრძოლებდნენ ინდოეთში, ვიდრე ევროპელებიო. თუმცა, აქვეა თბილისში დაბადებული, ეროვნებით სომეხი რუსტამ ჰონანის, იგივე ნაპოლეონის დაცვის უფროსად ცნობილი კაცის მემუარიდან ამონარიდი „კარგ მამლუქებად ქართველები და მეგრელები ურჩევნიათ, არ ვიცი რატომ, რადგან სომხები კიდევ უფრო მამაცები არიან, ვიდრე სხვა ერები", — ამას მხოლოდ სომეხი იტყოდა სომხებზე, რადგან ცნობილია, რომ სომეხი ერი არ არის მებრძოლი ერი.**

— არ ვიცი ვინ არის ვინმე ჰონანი, მაგრამ ის, რომ ნაპოლეონის ჯარისკაცებში ბევრი იყო ქართველი, ძირითადად სამეგრელოდან, ფაქტია. ხანდაზმულმა ქალბატონმა ნათელა ხორავამ, როგორც ისტორიული ფაქტი, რომ არ დაკარგულიყო, გამოამზეურა მისი შორეული წინაპრების სურათი, მეგრელები ნაპოლეონის არმიაში. გაგეცინებათ და, იგივე სურათი თავის დროზე რუსეთის იმპერიას საფოსტო მარკად გამოუცია წარწერით „მეგრელები ბოროდინოს ომში".



**— ბატონო კლიმენტი, რაც მთავარია, სხვის ომში ხომ იყვნენ და ფრანგების გამო ღვრიდნენ სისხლს თუ რუსების გამო, რაღა მნიშვნელობა აქვს... ამავე წერილში აღნიშნულია, რომ 1801-1809 წლებში თეირანის კარზე მყოფი ევროპელები ქართველებს ასახელებდნენ კარგ მებრძოლებად. მათივე ცნობებით, სომხები, რომელთაც ქართველებისგან განსხვავებით სპარსეთში თავიანთი ეკლესიები ჰქონდათ, ძირითადად ვაჭრობით, სოფლის მეურნეობითა და მევახშეობით იყვნენ დაკავებულები. მათ შორის იყვნენ რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის საიდუმლო ჯაშუშებიც...**



— იქნებოდნენ ყველანი და ყველაფერნი, მაგრამ არა ისეთი მეომრები, რომ ნაპოლეონს რომელიმესთვის ენდო საკუთარი სიცოცხლე...

**— ბატონო კლიმენტი, გავიგე, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ში" დაგირეკავთ ერთგვარი პრეტენზიით...**

— დიახ, ბატონო. ერთ საღამოს ჯუმბერ აბრამიამ დამირეკა, ტელევიზორს თუ უყურეო, მერე სხვებმაც დამირეკეს. მე და თქვენი საუბრის გაზეთში გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე გადაცემა „პოსტ სკრიპტუმში" სიუჟეტი იყო ტუტანჰამონზე. გაზეთის გამოსვლიდან ერთი კვირის თავზე მირეკავდნენ უცხოელი მეცნიერები, კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ ჩემით და ამათ სიტყვად არც მე მახსენეს, არც „საერთო გაზეთი". ინტერვიუში გითხარით, რომ ეხნატონი, მისი მამა (ამენჰოტი), მისი მეუღლე (თათუ), მათი შვილი (თუთანჰამონი) თათუს ბიძა (აიე) და ეგვიპტის ფარაონები: რამზეს I, რამზეს II, რამზეს III და მათი მემკვიდრეები კოლხები იყვნენ; მე გითხარით, „რუსთავი-2-მა" გაიმეორა, რომ შვეიცარიელმა მეცნიერებმა დნმ-ის შესწავლის საფუძველზე დაამტკიცეს, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცთა 50% იმავე დნმ-ისაა, რომ ინგლისში ეს პროცენტი 70-ია, ესპანეთშიც 70, საფრანგეთში 60. სამწუხაროდ, გადაცემის „გამკეთებელს" გამორჩა ჩემი სხვა ნათქვამი, კერძოდ, ის, რომ აშშ-ის ადამიანის გენეტიკის კვლევის სპეციალისტებმა პროფესორ ბრაიან საიქსის ხელმძღვანელობით ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში იმ დროს კოლხები სახლობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას; ინგლისელი მეცნიერი, ინგლისის ისტორიის ავტორი ა. მორტინი წერს, რომ იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში.

ახლა გადმოგცემთ ამონარიდს სწორედ იმ შოლცის მოწერილი წერილიდან ბატონ მ. რატიშვილისადმი, რომელიც „პოსტ კრიპტუმში" ჩანდა. „შედეგები, რომლებიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, ეხება ტუტანჰამის წმინდად მამრობით ხაზს. გასულ წელს გამოქვეყნებული დნმ-ის ანალიზით ვიცით, რომ მუმია სახელწოდებით „V35yI (მეფეთა აკლდამა №35) „ახალგაზრდა ქალბატონი" იყო მისი დედა. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ეს ქალი იყო ეხნატონის ღვიძლი და, რომ მათი მშობლები იყვნენ ამენჰოტეპ III და თიიე. მე არ შემიძლია გითხრათ, აქვს თუ არა ამას რაიმე კავშირი მეფე რატისთან. რამდენადაც ჩვენ ძალიან მცირე დამადასტურებელი მასალა გვაქვს, ამგვარი დასკვნების გამოტანა არ შეგვიძლია. ჩვენ ვეძებთ ტუტანჰამონის მსგავს ხაზებს, რაც შესაძლოა, მისი მამის ხაზის აღდგენაში დაგვეხმაროს. სამწუხაროდ, სხვა ხაზების გამოკვლევა, ამ დროისთვის, შეუძლებელია. თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ თქვენ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, ამ ტესტების ჩატარებაში თუ იგი დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებას. სიამოვნებით ვუპასუხებთ ნებისმიერ კითხვას, რაც შეიძლება რომ გაგიჩნდეთ. პატივისცემით რომან ს. შოლცი"

**— ბატონო კლიმენტი, „ქსენიდალის" გენები ხომ ინდიელთა ზოგ ტომშიც აღმოჩნდა...**

— რაში აინტერესებთ რა არის „„„ქსენი-ზანა", „დალი" და „ვალადა", არათუ სად, როდის და რომელი ჩამოყალიბდა, ინტერესი პოლიტიკოსების უკან დევნაა მათსავე გასაპოპულარებლად. ქართული არაფერი უნდათ, საკუთარი წარმოშობა არ აინტერესებთ, ისტორია და მეცნიერება... ზრდილობაც რომ არ აქვთ? დავრეკე „რუსთავი-2-ში" და კაცმა მიპასუხა. ვუთხარი კლიმენტი ვარ, შელია-მეთქი. მერეო, რა გინდა, ისტორია უკუღმა რომ დაატრიალოო? თან, „კლიმენტიო" ისე გამოთქვამდა, დასცინოდა ჩემს სახელს. იმან წაღმა არ იცის ისტორია და უკუღმა ვატრიალებ თუ ვაქანავებ, ძაან გაიგებს... რა სახელის ბრძანდებით-მეთქი, — მეც უზრდელი ხომ არ ვარ. ნიკოლოზი მქვიაო. ის ისე იყო ნიკოლოზი, როგორც მე მქვია ნიკიტა. არ შედგა ჩვენი საუბარი, ბოლომდე არ მომისმინა. მეორე დღესაც დავრეკე, „ნიკოლოზი" მოვიკითხე და ბოდიში მოვუხადე შეწუხებისთვის...

**— ეგებ არ აქვთ კოლხური გენი და ამიტომ არ უყივით — ვხუმრობ.**

— ეგეცაა, ხომ იცით... აბა, რატომ არ უნდა გაინტერესებდეს რას ამბობს მირიან ქართველი, ამასაც კლიმენტი შელია ხომ არ ამბობს, ეგვიპტის იმპერია ქართველი შუმერების შექმნილია და ფარაონები კლეოპატრამდე, ყველანი ქართველები იყვნენ, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანესო. ეს რომ გაინტერესებდეს, იმასაც გაიგებ, რომ კოლხური ცივილიზაციის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტის დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა სარკოფაგებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი კოლხური წარმომავლობისაა და კიდევ ბევრი რამ, რაც მთელ მსოფლიოს საქართველოსთან აკავშირებს, კერძოდ, კოლხეთთან და არა პირიქით.

არაქართველს თუ თავსმოხვეული ქართველობა არ უნდა, ამაში არაფერია დასაძრახი, პირიქით, მივესალმები მის პატრიოტიზმს, მაგრამ ქართველი თუ ხარ, ქართველზე წინ სხვა ეროვნების წარმომადგენელს რატომ უნდა აყენებდე? კლიმენტის ნაცვლად სემს (რითი სჯობს ვითომ კლიმენტის) რომ დაერეკა, ასე აგდებით დაელაპარაკებოდა „ნიკოლოზი"?

როდემდე შეიძლება დაბრეცილი სარკით თავმოწონება!

**მაია ჭელიძე**

# rogor movuaroT kbilebs

ალბათ, ყველას გამოუცდია კბილის ტკივილით გამოწვეული სიმწარე, განსაკუთრებით, ბავშვობიდან ე.წ „მშიშრებს“ (ჩემი ჩათვლით), და ოღონდ სტომატოლოგთან არ მივსულიყავით, რა არ გვიღონია, – დაწყებული სხვადასხვა სავლებით, დამთავრებული კბილის წვეთებით. ყველა გზა ბოლოს მაინც დანტისტთან მიდის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ ე.წ „გულადებიც“ ფიზიკურად ვერ ახერხებენ ექიმთან მისვლას, სპეციალისტის რჩევები ყველასთვის ერთნაირად სასარგებლო იქნება.

უპირველესად, არ გაითბოთ მტკივნეული კბილი გარედან! – იგულისხმება ყბის ახვევა და ნებისმიერი სათბურის დადება, ასევე მტკივანი კბილის მხარეზე ლოყით ბალიშზე დაძინება. კბილი, შეიძლება, ერთგვარად დაამდეს, მაგრამ დიდი ალბათობაა, დილას იმდენად დაგისივდეთ სახე, რომ შინიდან გასვლის პრობლემა გაგიჩნდეთ;

მტკივანი კბილი შიგნიდან გაითბეთ ნებისმიერი ცხელი სავლებით, მაგალითად: გვირილით, მუხის ქერქის ნახარშით, სალბით და ა. შ მაგრამ თუ ამის საშუალება არ გაქვთ, შეგიძლიათ ჩაი, ყავა ან სულაც კალიუმის პერმანგანატის („მარგანცოვკა“) სუსტი ხსნარი გამოიყენოთ. სავლები დღეში 7-10-ჯერ მაინც უნდა გამოივლოთ, მაგრამ არ უნდა იყოს იმ სიმხურვალის, რომ პირის ღრუ დაგეწვათ, მაგრამ არც ნელთბილი უნდა იყოს, შვებას არ მოგცემთ. რაც შეეხება სოდიანი წყლის გამოვლებას, სოდას ანტისეპტიკური თვისება კი, აქვს, მაგრამ შეიძლება, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქიმიური დამწვრობა გამოიწვიოს. პაროდონტიტის შემთხვევაში მავნებელია. (სხვათაშორის, ლორწოვანის დამწვრობას სპირტიანი სასმელის ჩაგუბებაც იწვევს).

თუკი ძლიერი ანთებითი პროცესია, მას ვერანაირი სავლები ვერ ჩააქრობს, ამდენად, საჭიროა მედიკამენტური ჩარევა. შეგიძლიათ მიიღოთ სულფადიმეტოქსინი, რომელიც ანტიბიოტიკი არ არის და ნაკლები გვერდითი მოვლენა აქვს. თავდაპირველად, ჭამის შემდეგ მიიღეთ 2 აბი დილას და საღამოს, მომდევნო ოთხ დღეს მიიღეთ თითო აბი. ასევე შეგიძლიათ მიიღოთ ბისეპტოლი 1-3 აბი ორჯერ დღეში. (მხოლოდ, ანოტაცია უნდა ჰქონდეს) თუ ვერც ერთი მათგანი ვერ მოიძიეთ და მხოლოდ ანტიბიოტიკი გაქვთ ხელთ და მისი მიღება დაიწყეთ, აუცილებლად ჩაათავეთ კურსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელს შეუწყობთ ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ბაქტერიების გაჩენას ორგანიზმში, რომლებიც განმეორებით მკურნალობას ძნელად ემორჩილებიან.

„მშიშარების“ საყურადღებოდ შეიძლება ითქვას, რომ საანესთეზიო საშუალებებისა და ტექნიკის დახვეწიდან გამომდინარე, სტომატოლოგთან ვიზიტი, პრაქტიკულად, უმტკივნეულო გახდა. ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნოვოკაინს და ლიდოკაინს დაემატა არტიკაინის (ულტრაკაინი, უბისთეზინი, სეპტანესტი) და მეპივაკაინის (სკანდიკაინი, სკანდონესტი, მეპივასტეზინი) საფუძველზე დამზადებული ანესთეთიკები, რომელთაც ახასიათებთ მაღალი ეფექტურობა, გახანგრძლივებული მოქმედება და მინიმუმამდეა დაყვანილი ტოქსიკურობა.

გართულება, რომელიც შეიძლება ზოგიერთ პაციენტში გამოიწვიოს ანესთეტიკმა, არის ალერგიული რეაქცია, რომელიც შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. შესაბამისად, პირველი ინექციის წინ განისაზღვრება ორგანიზმის მგრძნობელობა კონკრეტულ ანესთეტიკზე.

კბილების მოვლის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გავრცელებული, მაგრამ რამდენად მართებულად?

აუცილებლად გავიხეხოთ კბილები დღეში 2-ჯერ – კბილების გახეხვა იმდენჯერ არის საჭირო, რამდენჯერაც მოითხოვს პირის ღრუს სისუფთავის პირადი შეგრძნება. ეს დამოკიდებულია იმაზე, რას მივირთმევთ და რამდენად სწრაფად გროვდება ნადები კბილებზე. ყოველი კვების შემდეგ სასურველია კბილების გამოხეხვა თუნდაც კბილის პასტის გარეშე.

კბილები დილით, საუზმის შემდეგ უნდა გავიხეხოთ – ჰიგიენის თვალსაზრისით, საუზმემდეც უნდა გავიხეხოთ, რაც საშუალოდ 5 წუთამდე დროს მოიცავს. იმის შესამოწმებლად, რამდენად სწორად ვიხეხავთ კბილებს, არსებობს სპეციალური დასაღეჭი ტაბლეტები, ნადების ინდიკატორი, რომელიც წითლად ღებავს ხეხვის შემდეგ დარჩენილ ნადებს.

საკუთარ კბილს რა სჯობს, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ – შევინარჩუნოთ კბილი ნებისმიერ შემთხვევაში, ანუ ქრონიკული ანთების კერა რომ შევინარჩუნოთ, დიდი ალბათობაა დავიზიანოთ გული, სახსრები და თირკმელები. ამ გართულებების ასაცილებლად, აუცილებელია კბილის ამოღება. ამ გადაწყვეტილებას ექიმი იღებს, რადგან არცთუ იშვიათად, პაციენტის აზრით ჯანმრთელი კბილი, სინამდვილეში, ამოსაღებია.

კარიესი ჩნდება ტკბილეულისგან – კარიესი ჩნდება იმ მიკრობებისგან, რომლებიც პირის ღრუში არიან და თქვენსავით „უყვართ“ ტკბილეული. ისინი გამოყოფენ მჟავებს, რაც აზიანებს კბილის მინანქარს. მიირთვით ტკბილეული და დააყოლეთ გაზიანი სასმელიც (კუჭს თუ არ უფრთხილდებით), მაგრამ შემდეგ გამოივლეთ წყალი, მიირთვით ვაშლი ან სტაფილო.

საკვების მიღების შემდეგ უნდა დავღეჭოთ საღეჭი რეზინი – საკვების შემდეგ პირის ღრუში იცვლება მჟავატუტოვანი ბალანსი, რაც ხელს უწყობს კარიესის განვითარებას. ბალანსის აღდგენა შესაძლებელია საღეჭი რეზინით, მაგრამ არაუმეტეს 10 წუთისა, რადგან მისი ღეჭვა მავნებელია კუჭისთვის. მისი ღეჭვისას გამოიყოფა კუჭის წვენი, მაგრამ რადგან არაფერი აქვს „საჭმელი“, საკუთარ თავს ანუ, კუჭის ლორწოვან გარსს ჭამს, გარდა ამისა, ზედმეტად ტვირთავს ქვედა ყბის სახსარს, რაც მისი დაავადების წინაპირობად იქცევა ხოლმე.

ჯანმრთელი კბილები მემკვიდრეობით გადაეცემა – კი, კბილის შენების თავისებურება გადაეცემა, მაგრამ კბილების მდგომარეობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: გადატანილ და თანმხლებ დაავადებებზე, კვების რაციონზე, სარძევე კბილების მკურნალობის ხარისხზე, პირის ღრუს ჰიგიენაზე და ა. შ. კბილების სიჯანსაღისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფტორის შემცველობას წყალში. ამის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხმძიმეებისთვის, რადგან, სარძევე და მუდმივი კბილების ჩანასახის ფორმირება მუცლადყოფნის მე-6 თვიდან იწყება (ერთ წლამდე გრძელდება). ფტორის ნაკლებობისას მინანქრის სტრუქტურა არასრულფასოვნად ფორმირდება, რაც კარიესის სიმრავლედ აისახება, ხოლო ფტორის მეტობა ფლუორიზს იწვევს. ფტორის ნორმა იმ წყალში, რომელსაც იყენებთ სასმელად 1 მგ/ლ-ია. თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, წყალში 0,3 მგ/ლზე ნაკლებია ფტორის შემცველობა, აუცილებელია მისი დამატებით მიღება. ამისთვის არსებობს: ფტორირებული საკვები მარილი, ფტორირებული კბილის პასტა, ფტორლაკის აპლიკაციები, ფტორის ტაბლეტები. თუ ფტორი ნორმას აჭარბებს, სხვა გზა არ არის, უნდა შეიძინოთ ბოთლის წყალი და ის გამოიყენოთ დასალევადაც და საჭმლის მოსამზადებლადაც.

სარძევე კბილები მაინც მოსაცვლელია, მისი მკურნალობა არ ღირს – აბსოლუტურად მცდარი შეხედულებაა, რადგან, სარძევე კბილებს ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი. მათი მოცვლა ხდება ფესვების ფიზიოლოგიური გაწოვის ხარჯზე. ფესვების სიახლოვეს მთელი ამ ხნის განმავლობაში განლაგებულია მუდმივი კბილების ჩანასახები და გაწოვისთანავე იწყებს ამოჭრას. თუკი ბავშვობაშივე არ ვუმკურნალეთ კარიესს, გამოიწვევს მუდმივი კბილების პრობლემებს.

თუ კბილი არ გვაწუხებს, სტომატოლოგთან მისვლა საჭირო არაა – კარიესის გარდა არსებობს სხვა პათოლოგიებიც, რომელთა მკურნალობა საწყის ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ღრძილების დაავადების მკურნალობა. გარდა ამისა, აუცილებელია კბილის განთავისუფლება რბილი ნადებისა და ქვებისგან, რომელიც შეიძლება ღრძილქვეშაც იყოს.

ძვირადღირებული კბილის პასტა უკეთესია – ყველა შემთხვევაში ასე არაა, აუცილებლად უნდა იცოდეთ პასტის წარმომავლობა, თორემ, მიკრობების მოშორების ნაცვლად, შესაძლოა, ახალიც შეიმატოთ. საერთოდ კი კბილის პასტა ხშირად უნდა ცვალოთ, რადგან მიკრობებმა შეჩვევა იციან, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი შეიცავს ისეთ ანტისეპტიკებს, როგორიცაა ტრიკლოზანი და ქლორჰექსიდინი.



პირის ღრუს სავლებისა და ფლოსის (ძაფი) გამოყენება აუცილებელია – სავლებები, ბალზამები და ელექსირები პირის ღრუს მოვლის დამატებითი საშუალებებია, რომლებიც სურვილისამებრ გამოიყენება.

ჯანმრთელი კბილი თეთრი კბილია – აბსოლუტურად თეთრი კბილი ბუნებაში არ არსებობს. მის ფერს განსაზღვრავს დენტინი და იგი მემკვიდრეობით გადაეცემა. თეთრ კბილს აქვს 4 ვარიანტი, მოყავისფრო, მოყვითალო, მორუხო და მოწითალო.

კბილის გათეთრება შეიძლება სოდით – მხოლოდ კვირაში ერთხელ, რადგან სოდა მაღალაბრაზიული საშუალებაა, თუმცა, თვალისმომჭრელი სიკაშკაშის იმედი ნუ გექნებათ, კბილები უბრალოდ, გაპრიალდება. გაყიდვაშია სოდის შემცველი კბილის პასტები, რომლებიც ნაკლებად აზიანებენ მინანქარს, მაგრამ მათი გამოყენებაც შეზღუდულია 1 თვემდე.

კბილის გათეთრება მავნეა კბილისთვის – გათეთრებას უკუჩვენება აქვს იმ შემთხვევაში, თუ პირის ღრუში არის კარიესული კბილები, ღრძილების დაავადება, კბილის ქსოვილების არასრული განვითარება. კბილების გათეთრების პროცედურის გადავადება აუცილებელია ფეხმძიმობის და ლაქტაციის დროს.

თანკბილვის გასწორება შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში – თუ საუბარია ცალკეულ კბილზე, შესაძლებელია, მაგრამ არსებობს თანკბილვის მძიმე პათოლოგიები, როდესაც ჩათრეულია ყბის ძვლებიც, ასეთ შემთხვევაში არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა.

**მაია ჭელიძე**

# facebook

# xalxis azriT

იმდენი ნაგავი დააგროვეს ამათ (ბათუმში შლოპანცები, თბილისში ველოსიპედი, რეიგანის ძეგლი) სანამ აქაურობას მთლად არ დაალაგებენ და ამ ნაგავს არ გაიტანენ, არ უნდა გავუშვათ!ლენინური შაბათობა მოვაწყობინოთ, შევსვათ თავიანთ ველოსიპედზე, გავაყოფინოთ ფეხი თავიანთ შლოპანცებში და გაუშვათ საიდანაც მოვიდნენ

არ იქნება სამართლიანი არჩევნები?.. მაშინ იქნება რევოლუცია სამართლიანობისათვის! ცალ მუხლზე დაჩოქილი ვართ ამდენი ხანი, ამ მდგომარეობაში მუდმივად ვერ ვიქნებით, ან ორივე მუხლზე უნდა დავიჩოქოთ, ან წამოვდგეთ

ეხლა ახალ ამბებს ვუსმენდი და ნუგზარა წიკლაურის მორიგი მარგალიტები მოვისმინე: “მაინტერესებს ომთან დაკავშირებით... აღზევებული მდაბიო ბიძინა ივანიშვილის პოზიცია...”. მე ის უფრო მაინტერესებს, რატომ გადმოუგდო რუსეთმა, ჩვეულებისამებრ, მაშველი რგოლი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მიშას? შე მართლა მდაბიოვ და უტუვ, შენ ტლაპოში ამოსვრილო ტლუვ... შენ მართლა სულელი ხომ არ გგონია ქართველები? ყველა კარგად ვხედავთ, როგორ უწმინდავს რუსეთი ერთ ადგილს მისთვის ასე ძვირფას და სანუკვარ განძს... უჭირს ასეთი ერთგული შვილის მიტოვება მძიმე წუთებში

ტირანო პუტინ... აირჩიე მიშას სხეულის ნაწილი... არამად შეგერგოს და ყელზე დაგადგეს ამ პაწია კაცუნას ის პაწაწუნა ნაწილი, რომელზეც ასე ნერწყვმომდგარი საუბრობდი ... მიიღე იგი წართმეული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ... თუ მარტო ის ნაწილი არ გყოფნის, ეგებ მთლიანად წაიღო, დაუნაწევრებლად?

ნაციონალებო, რევოლუციის მე-8 წლისთავს გილოცავთ... მიშას მადლით გეცხოვროთ ამ და იმ ქვეყნად....

რა თქვა ისეთი მედვედევმა, რამაც ასე გაახალისა ნაციონალური უმრავლესობა? მან თქვა, რომ რუსეთი ემზადებოდა ამ ომისათვის (განა ქართულმა მხარემ არ იცოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობდა 58-ე არმიის წვრთნები). მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მაინც წამოეგო ანკესზე და ქართული სოფლების დაბომბვას იერიშზე გადასვლით უპასუხა ანუ გაება დაგებულ მახეში, რუსებსაც სწორედ ეს უნდოდათ. ეს თქვა ივანიშვილმა და მისმა პოლიტიკურმა პარტნიორებმა. ვერ ვგებულობ, რა არის ახალი და ორგინალური მედვედევის ნათქვამში. ღიად თქვა მედვედევმა, რომ ეს ავანტიურა დაგეგმეს ნატოს გაფართოების ხელშეშლის მიზნით და სამწუხაროდ, მიაღწიეს კიდეც ჩვენი სიბეცის წყალობით სასურველ მიზანს.

პატრიარქი ჩვენს მტერს რატომ შეხვდაო და მაინტერესებს: რატომ ელაპარაკებოდნენ და ხვდებოდნენ ქართველი პატრიარქები ირანის შახებს, თურქეთის პადიშახებს და სულთნებს, იგივე რუს მეფეებს იმ პერიოდებში როდესაც საქართველოს უჭირდა ... მაშინ (ან ეხლა) რატომ არავინ დაგმო ეს?

სანამ საზოგადოება არ გაითავისებს მის უფლება-მოვალეობებს და სოლიდარული არ გახდება ეროვნულ განწყობაში - მანამდე დამოკიდებულები ვიქნებით, ვინ, სად რას გადაწყვეტს ! არადა, რეალურად რას წყვეტს საზოგადოება, მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული დემოკრატიული ქვეყნების ბედ-იღბალი ...

„წინააღმდეგობის შემთხვევაში ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებს სკოლა-პანსიონში პოლიცია გადაიყვანს'' - მთელი ეს„ახალი ამბავი''ე.წ.„ვარდების რევოლუციის''შედეგის ანალიზისთვის ძალიან კარგი მასალაა!მალე „მოდერნიზებულ საკონცენტრაციო ბანაკებს''ვიხილავთ,სადაც ამ ბავშვებს შეყრიან!!!

მიშამ – ''სადაც მივდივარ, ცა მეხსნებაო'' - წმინდანია აბა რა არის? :)))))))))))) ცა არ ვიცი, მაგრამ, ტვინი ნამეტნავად ეკეტება ამ ბოლო დროს.:)რა ეს უკვე რეაქტიული ფსიხოზია...ამაგარი ბოლი დააყენა პლეხანოვზე :))))))))))))) პლეხანოვი კაი, დავიჯერეთ რომ ხალხი ''თავისი ნებით'' მივიდა, და აი, ''ნიუ-თბილისის'' ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრში როგორ მივიდა ხალხიო??? მარშუტკა კი არა, ტაქსი არ წაგიყვანს იქ.

დღეს ჩვენმა მაღალმა ბრძანა,რომ მისი ხელისუფლების წევრები საკუთარ დიდ სახლებს არ იშენებენო. მოკლედ, ეგეთი ცრუპენტელა ევროპას მართლა არ უნახავს.კუბლაშვილების სასახლის კრიშიდან უნდა გადმოაგდო და მერე უნდა ჰკითხო, ეს სასახლეა თუ ქოხი?)



ბანკი ქართუ
CARTU BANK

## სათავო ოფისი

ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

## ვაკის სერვისცენტრი

ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

## საბურთალოს სერვისცენტრი

პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

## მთაწმინდის ფილიალი

ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

## ისნის სერვისცენტრი

ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

## ქუთაისის ფილიალი

ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

## ბათუმის ფილიალი

გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

## გორის სერვისცენტრი

სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

## თელავის სერვისცენტრი

ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge





# გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მე-10 ნომერი




„ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“ – ამ რუბრიკით გარეკანის მე-2 გვერდზე მოთავსებულია არჩილის ლექსი „ასე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ განა მცირეთა“...

რუბრიკით „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები“ იბეჭდება რაჟდენ გვეტაძის ლექსი „მარო მაყაშვილს“.

„პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი“ – ამ რუბრიკაში წაიკითხავთ თემურ ჩალაბაშვილისა და მარიამ წიკლაურის ლექსებს „ახალი ლექსების“ რუბრიკით გამოქვეყნებულია ელგუჯა მარღიას და გენრი დოლიძის ლექსები.

„გახსოვდეს აფხაზეთი“ – ამ რუბრიკაში იბეჭდება ირმა მებურიშვილის ლექსები.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ გაეცნობით საუბარს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი ღვალაძესთან –„ავტორებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები“.

„ლიტერატურული მესხეთის“ რუბრიკაში წაიკითხავთ ავთანდილ ბერიძის, ვახტანგ ინაურის, მერაბ ბერიძის, ალიოზ ოკოშვილის, ბექა ოთანაძის, კობა მოდებაძის, შალვა კელოშვილის, თამარ ლომიძის, მარიტა ჯიქიას ლექსებს და წერილებს, აგრეთვე ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტების მაია ბლიაძის, ნინო ჯიქურაშვილის, ნინო გვირჯიშვილის და ნინო კაჭკაჭიშვილის ლექსებს.

„თეატრი“, „კრიტიკა“ – ამ რუბრიკით წარმოდგენილია გოგი დოლიძის წერილს „გლახა ჭრიაშვილის არღანი ანუ...“ „პროზა“ – ამ რუბრიკაში მოთავსებულია მიხეილ ანთაძის მოთხრობა „უჯრაში ჩაკეტილი რომანი“ – ამ რუბრიკით გრძელდება ავთანდილ კვასხვაძის რომანი „სიკვდილ-სიცოცხლის როკვა“.

„მემუარების“ რუბრიკაში გრძელდება ჩეკას პირველი თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოგონებები.

„ასი სამარცხვინო ლექსის“ რუბრიკით წაიკითხავთ გიორგი მაისურაძის ლექსს „დამკვრელის სიტყვა“, რომელიც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა 1931 წელს. ◆